აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საზოგადოებასთან და მასმედიასთან
ურთიერთობის განყოფილება

ბონდო არველაძე
✝ თეიმურაზ მიბჩუანი

# ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში

თბილისი
2007

უაკ(UDC) 894.631-0
ა 795

ცნობილი მეცნიერების ბონდო არველაძისა და თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომში საარქივო მასალების საფუძველზე დასაბუთებულია მარშალ ი.ქ. ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის აქტიური მონაწილეობა აფხაზეთის პროვოკაციულ ომში (1992-1993 წწ. და შემდგომ წლებში) ქართველთა წინააღმდეგ მოწყობილ ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში, რომლის გამო სომხურ მხარეს ქართველებისთვის არა თუ ბოდიში არ მოუხდია, პირიქით, აქეთ უყენებს სხვადასხვა პრეტენზიებს, რომელიც ყოველგვარ ეთიკურ, ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს სცილდება მაშინ, როდესაც საუკუნეების განმავლობაში სომეხი ხალხის გადარჩენაში უმთავრესი როლი საქართველომ შეასრულა. ის, რაც სომხურმა დიასპორამ ჩაიდინა აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ, საჭირო და შესაბამის შემთხვევაში მოსალოდნელია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში განმეორდეს მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, სადაც კი სომხური დიასპორებია. ამას არაერთი ისტორიული ფაქტი ადასტურებს.

რედაქტორი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თეიმურაზ მჟავია

რეცენზენტები: აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,
პროფესორი ჯემალ გამახარია
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,
მწერალი სერგო საჯაია

ISBN 978-99940-37-16-2

წიგნში გამოყენებულია ფოტოები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფოტოარქივიდან

წიგნის ან მისი რომელიმე ნაწილის პუბლიკაცია ავტორის წერილობითი
ნებართვის გარეშე დაუშვებელია.

# შესავალი

აფხაზეთი საქართველოს ისეთივე ძირძველი კუთხეა, როგორც სამეგრელო, სვანეთი, გურია, კახეთი და ა.შ. ისტორიულად აფხაზებიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მეგრელები, სვანები გურულები და ა.შ. დღევანდელი აფხაზების 72,7% ქართველია, ქართულ გვარებს ატარებენ და მოგვარეებიც მხოლოდ ქართველებში ჰყავთ. ასეთ გვართა რაოდენობა აფხაზეთში 400 აღემატება. აფხაზთა დაახლოებით ოცი პროცენტი არიან აფხაზები, ანუ ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან შუასაუკუნეებში ჩამოსახლებული ადიღური ეთნიკური ჯგუფი, რომელთა გვარები (მაგალითად, აღლეიბა, შინკუბა, ძიბა, არძინბა, ცვიჟბა, ბღაჟბა, გიცბა და სხვ.) აფხაზეთში 1621 წლამდე არ გვხვდება. ასეთი გვარების რაოდენობა 150-საც არ აღწევს. უფრო მეტიც, ამ რიცხვში შედის გადაკეთებული ქართული გვარები: ხუბუა — ახუბა, ოკუჯავა — ოკუჯბა, ერისთავი — არისთა, გუნია — გუნბა, მიქენია — მიქანბა, ჩიჩუა — ჩიჩბა და სხვ; ლაზური (ქართული) გვარები: ბაბალიში, ტრაფში, ცარგოში, ბაგაფში, ფაზილიში და სხვ.

XVI საუკუნემდე აფხაზეთში არ გვხვდება არც ერთი ადიღურ-აფსური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი; აფხაზეთის ყველა მეფე-მთავარი იყო ქართველი; XIX საუკუნემდე აფხაზეთის ყველა მატერიალური კულტურის ძეგლი, ყველა ქრისტიანული ტაძარი და ეკლესია ქართულია ქართულივე ეპიგრაფიკით და სხვ.

მას შემდეგ, რაც საქართველო XV საუკუნიდან მტერთა მუდმივი შემოსევების შედეგად ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ხდება ქართული მოსახლეობის გამეჩხერება, განსაკუთრებით მის განაპირა, ბუფერულ რეგიონებში — აფხაზეთში, სამხრეთ საქართველოში, კახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სადაც მეზობელი მხარეებიდან გადამთიელთა შემოსახლება იწყება. ყოველივე ამას კი ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ქართველი ფეოდალები, რომელთაც მუშახელი და მეომარი ძალა სჭირდებოდათ. აფხაზეთში ქართველი მთავრები შარვაშიძეები აფსუებს ხელს უწყობდნენ აფხა-

ზეთის მთიან ადგილებში დასახლებულიყვნენ. დროთა განმავლობაში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის აღმნიშვნელი ეთნონიმი „აფხაზი“ მექანიკურად ჩრდილო კავკასიელ აფსუებზე გავრცელდა, მაგრამ მათ თვითსახელი მაინც შეინარჩუნეს. უფრო მეტიც, ისტორიულ აფხაზეთს, თავიანთი თვითსახელიდან გამომდინარე, „აფსნის“ ეძახიან. მსგავს ქვეყანას ან კუთხეს კავკასიის ხალხების ისტორია არ იცნობს. აფხაზეთის ისტორიაში გათვითცნობიერებულ ადამიანში ირონიას იწვევს ის ფაქტი, რომ აფხაზ სეპარატისტებს საზღვრებზე მდ. ფსოუსთან და ენგურთან აღმართულ აბრებზე „აფხაზეთის“ ნაცვლად „აფსნი“ უწერიათ. ასეთი თვითშემოქმედებით შეთხზეს მათ მთელი თავიანთი ისტორია. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ XIX საუკუნიდან, როცა აფხაზეთის ანექსია მოხდა რუსეთის მიერ (1801 წ.), მთელ საქართველოსთან ერთად. მანამდე საქართველოს ერთგულებაში აფხაზი არც ერთი კუთხის ქართველს არ ჩამოუვარდებოდა. უფრო მეტიც, ანტიქართული და ანტიაფხაზური რუსული პოლიტიკით განაწყენებული აფხაზები ცარიზმს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, რაც 1866 წელს სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა. შემდეგ რუსეთის ცარიზმმა აფხაზებს მუჰაჯირობა მოუწყო. ისინი იძულებულნი გახდეს XIX ს-ის 60-70-იან წლებში თურქეთში გადასახლებულიყვნენ. ეს გადასახლება ძირითადად აფსუებს და გააფსუებულ აფხაზებს შეეხო. ქართულმა ინტელიგენციამ ამ არაადამიანური პოლიტიკური ავანტიურის წანააღმდეგ თავდაუზოგავად გაილაშქრა, გასახლებული ნაწილის დაბრუნებაც მოახერხა და აფხაზი, როგორც ეთნოსი, გადარჩა (იხ. Г. Дзидзариа, Махаджирство и проблемы Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982). 1880 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზები „დამნაშავე ხალხად“ აღიარა. გადასახლებულ აფხაზთა ნაფუძარზე სახლდებოდნენ რუსები, სომხები, ბერძნები და სხვ. აფხაზეთი აქციეს ჭრელ ეთნიკურ რეგიონად, რათა იქიდან ქართული ენა განედევნათ და რუსული დაემკვიდრებინათ. 1907 წელს აფხაზებს „დამნაშავეის“ ბრალდება მოუხსნეს და სამაგიეროს გადახდა ქართველების წინააღმდეგ დაიწყეს. აფხაზური ანბანი, რომელიც ქართულ გრაფიკაზე იყო შექმნილი,

რუსულით შეცვალეს. იმ პერიოდიდან იწყება აფხაზთა მოწამვლა და ქართველების სახით მტრის ხატის შექმნა, რათა აფხაზეთი საქართველოსაგან ჩამოეშორებინათ. ამისათვის ბრძოლას საუკუნეზე მეტი ხანი დასჭირდა. საბოლოოდ იგი სსრკ ცკ გენერალური მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროს აღწევს კულმინაციურ წერტილს. ი. სტალინზე განაწყენებული ნ. ხრუშჩოვი (ცკ გენერალური მდივანი 1954-1964 წწ) ამბობდა კიდეც: „Абхазов натравлю на грузин“, ხოლო სსრკ ცკ მდივანი იდეოლოგიის დარგში მიხეილ სუსლოვი 1961 წელს ცკ-ის წინაშე გაკეთებულ საიდუმლო მოხსენებაში ამბობდა: „დღეს თუ არა, ხვალ ქართველები დაიწყებენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მათთან ბრძოლა აფხაზეთით უნდა დავიწყოთ. სამეგრელოს, სვანეთს უნდა მიეცეს ავტონომიები. მათში ცალ-ცალკე უნდა გავაღვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ ქართველები აფხაზეთში ჩამოსახლებული არიან. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთ საქართველოს. ამის შემდეგ უნდა შევასრულოთ მომრიგებლის მისია.“ დღეს ასეთ რეალობასთან გვაქვს საქმე, თუმცა მთელი დასავლეთ საქართველო არა, მაგრამ მისი ნაწილი — აფხაზეთი, დიახაც, დაუპირისპირეს დედასაქართველოს, რისთვისაც პროვოკაციული ომის გათამაშება დასჭირდათ. შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ მეომარმა რუსეთმა თავისი, ვითომ სამშვიდობო, ჯარი ჩააყენა ე.წ. კონფლიქტის ზონაში. ალბათ უპრეცედენტო შემთხვევაა მსოფლიო ისტორიაში, როცა ერთ-ერთი მეომარი მხარე თავის ჯარს სამშვიდობოების მანდატით აღჭურავს მაშინ, როცა მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ იცის, რომ აფხაზეთის ომი იყო რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და არა ეთნოკონფლიქტი. რუსეთმა ფაქტობრივად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია მოახდინა, იქაურ მოსახლეობას თავისი მოქალაქეობა მიანიჭა, რაც მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხის ეთნიკური გაქრობის წინაპირობაა. ასეთი საფრთხე აფხაზებს რუსეთმა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში შეუქმნა, როცა აიძულა თურქეთში გადასახლებულიყვნენ („მუჰაჯირობა“). მაშინ აფხაზები ქართველებმა იხსნეს. დღეს ეთნიკური გაქრობის

საფრთხის წინაშე აფხაზები ისევ რუსეთის ხელისუფლებამ დააყენა, ამჯერად, ვითომ მათზე ზრუნვის მოტივით. მაგრამ ამ „ზრუნვაში" მეტი მზაკვრობაა, ვიდრე „მუჰაჯირობის" პოლიტიკაში იყო. აფხაზების, როგორც ეთნოსის, გადარჩენა მათ ერთმოგვარე და სისხლით მონათესავე ქართველებს შეუძლიათ, რუსეთს კი არ აქვს უფლება საქართველოს ტერიტორია მიითვისოს, ხოლო „რუსეთის მოქალაქეები" რუსეთის ხელისუფლებამ რუსეთში წაიყვანოს და იქ დაიცვას, მით უმეტეს ეს პროცესი მან უკვე დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ სსრ კავშირში აფხაზები ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხი იყო (1989 წლის მონაცემებით — 93 267 კაცი), მთელ მსოფლიოში ალბათ ყველაზე მეტი პრივილეგიით სარგებლობდა. კერძოდ, გააჩნდათ თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკა; აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 45,7% შეადგენდნენ ქართველები, 17,8% აფხაზები და ა.შ. მიუხედავად ამისა, სსრკ უმაღლესი საბჭოს 15 დეპუტატიდან 8 იყო აფხაზი; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 140 დეპუტატიდან 57 იყო აფხაზი, 53 ქართველი, 14 რუსი და ა.შ.; აფხაზეთის 12 მინისტრიდან 8 იყო აფხაზი, 2 ქართველი; აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში დელეგირებული იყო 28 აფხაზი, 26 ქართველი, 11 — დანარჩენი ეროვნების წარმომადგენელი და ა.შ.; აფხაზებს გააჩნდათ უნივერსიტეტი, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, საკუთარი ტელევიზია, თეატრი, სკოლები, გამომცემლობები, ჟურნალ-გაზეთები, მაშინ, როდესაც აფხაზებზე ავტონომიური რესპუბლიკის საერთო შემოსავლის მხოლოდ 3% მოდიოდა.

რუსეთის ხელისუფლებამ ასე თუ ისე მაინც მოახერხა აფხაზური ინტელიგენციის ერთი ნაწილის გადაბირება, მათგან აგრესიული სეპარატისტული ფრთის ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობითაც აფხაზი ხალხი უფსკრულის გზას გაუყენა, რადგან აფხაზეთი რუსეთს სჭირდება აფხაზებისა და ქართველების გარეშე. აფხაზეთის ქართველებს გენოციდი და ეთნიკური წმენდა მოუწყვეს, აფხაზეთში დარჩენილი აფხაზების ნაწილს კი მშვიდობიანი გზით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს აფხაზეთის სეპარატისტული ხელი-

სუფლების მხარდაჭერით, რომლებიც თავიანთი კარიერისა და კეთილდღეობის იქით ვერ იხედებიან.

„Мы заставим вас (грузин) стрелять в нас (абхазов)", – წერდა აფხაზ სეპარატისტთა გაზეთი „აიდგილარა" და ასეც მოხდა. ამ ანკესზე საქართველოს მაშინდელი უნიათო ხელისუფლება წამოეგო. თავიანთ მოქმედებას ისინი იმით ამართლებენ, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა ბლოკადაში მოაქციეს რკინიგზა, აფხაზეთის ქართველების აყრის ფერგანული ვარიანტიც გაითამაშეს და სხვ. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლებას უფლება ჰქონდა თავის ქვეყანაში, თავის ტერიტორიაზე ჯარის ნაწილების გარკვეული კონტიგენტი გადაეყვანა იქ, სადაც ამას საჭიროება მოითხოვდა, მით უმეტეს ეს შეთანხმებული იყო აფხაზეთის ხელისუფლებასთან. მაგრამ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ჯარის გამოჩენა აფხაზმა სეპარატისტებმა პროვოკაციისათვის გამოიყენეს, სროლა აუტეხეს და... რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა მთელ მსოფლიოს ამცნეს, რომ მცირერიცხოვან აფხაზ ხალხს თავს დაესხნენ ქართველები და ა.შ.

აფხაზების დასახმარებლად დაძრეს მთელი ჩრდილო კავკასია. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჩეჩნები, რაც შემდეგ სანანებელი გაუხდათ, რადგან საკუთარ თავზე იწვნიეს რუსეთის ხელისუფლების „სიკეთე".

ახლა, რაც შეეხება ამ პროვოკაციულ ომში ქართული მხარის წინააღმდეგ სომხების მონაწილეობას, ანუ იმ გენოციდის შესახებ, რომელიც სომხებმა აფხაზეთის ქართველებს მოუწყვეს. ქართველები არ დაინდეს მონათესავე იბერიულ-კავკასიური მოდგმის ჩეჩნებმა, ჩერქეზებმა, ყაბარდოელებმა, ადიღეელებმა და რატომ დაინდობდნენ ინდოევროპული მოდგმის სომხები (არმენები)? ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში სომხებს და სომხეთს საქართველო და ქართველი მეფეები იცავდნენ, ხან შემოიერთებდნენ კიდეც, რომ გადაერჩინათ, ამიტომაც ქართველ მეფეთა ტიტულატურა ასე ჟღერდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა და მოვაკნელთა, შაჰან-შა და შირვან-შა". ქართული კუთხეების გარდა მასში მოიხსენიება სომხეთი და აზერბაიჯანის ნაწილი. სომხები

ინდოევროპული მოდგმის და ენის ხალხია, რომელთა წინაპრები (არმენები) ე.წ. „ზღვის ხალხების" შემოსევის დროს მოვიდნენ მცირე აზიაში და ბოლოს, ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ (ძვ. წ. VI ს.), დამკვიდრდნენ დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე. ურარტუელები ხურიტების მონათესავე ხალხი იყო. ხურიტული ენა კი ახლოს დგას ქართველურ ენებთან. აკად. ნ. მარმა თავის დროზე გამოაქვეყნა ნაშრომი სვანთა (ძირძველ ქართველთა) ურარტუდან წარმომავლობის შესახებ. სომხებს ამ ხალხს მხოლოდ ჩვენ ვეძახით. მათ ჩვენი ტერიტორიები მიიერთეს და 1918 წელს ომიც კი დაგვიწყეს, მაშინ, როცა საუკუნეების განმავლობაში ვინ იცის რამდენი გადმოხვეწილი სომეხი შევიკედლეთ და ვმფარველობდით. ისინი კი ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებენ ქართველების წინააღმდეგ. ცხადია, ეს არ ითქმის იმ სომხებზე, რომლებიც მთელი სიცოცხლე საქართველოს ერთგულობდნენ, მათ ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს, მაგრამ ასეთები გამონაკლისებია.

სომეხი ხალხის ფორმირების პროცესში ქართველმა ეთნიკურმა ელემენტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. სწორედ ამ ქართული ეთნიკური ელემენტის წიაღში იშვა სომეხთა ეთნარქოსი ჰაოსი — ქართლოსის უფროსი ძმა. ყოვლად წარმოუდგენელია, ინდოევროპულ ენათა ოჯახს ეკუთვნოდეს ერთი ძმა, მეორე კი იბერიულ-კავკასიურს.

რაც შეეხება აფხაზეთის სომხებს, ისინი იქ XIX საუკუნიდან ცხოვრობენ, ხოლო დიდი ნაწილი ჩასახლდა XX საუკუნეში. ივანე სტეფანეს ძე ხატისოვის (სომეხთა დაშნაკური მთავრობის ლიდერის ალ. ხატისოვის მამა, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა XIX ს-ში ამიერკავკასიის რუსულ მმართველობაში) სომეხთა აფხაზეთში (არამარტო აფხაზეთში) მზაკვრულად ჩასახლების ისტორია გადმოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილს 1925 წ. საბჭოთა მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც სახელმწიფო არქივში ინახება (გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში" 1988 წ., № 43). ეს წერილი შევიტანეთ წიგნის ბოლო განყოფილებაში — „დამატებითი მასალები".

აფხაზეთის ა/რ სომეხთა ჩასახლებას ხელს უწყობდნენ თანამდებობის მქონე ქართველები და აფხაზები, რომლებიც ამით ჯიბეებს

ისქელებდნენ. სომხების ჩასახლება კი მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდა სომხეთის მხრიდან. მათ სომხეთის ეკლესიაც ეხმარებოდა და ა.შ. არაერთი ისტორიული ფაქტით დასტურდება, რომ, როცა საქართველოს მტერი შემოესეოდა, სომხები ძლიერი მტრის მხარეზე დგებოდნენ, მაგრამ როდესაც საქართველო იმარჯვებდა, ქართველებს ეხმარებოდნენ. ასეთი სომხური პოლიტიკა დღემდე თამაშდება. ასე იყო აფხაზეთშიც.[1] აფხაზეთის სომხებმა მარშალ ი. ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი შექმნეს აფხაზთა მხარის დახმარების მიზნით, ომის მეორე პერიოდში, როცა დარწმუნდნენ, რომ გაიმარჯვებდა რუსეთი. თუ დარწმუნდებოდნენ იმაში, რომ ამ ომში გაიმარჯვებდა ქართული მხარე, მაშინ სომხური ბატალიონიც ქართველების მხარეზე დადგებოდა.

ი. ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პოლკოვნიკ ვ. გ. არშბას ბრძანებით გაფორმდა 1993 წლის 9 თებერვალს.[2] სომხური ბატალიონის შესახებ სოხუმში გამოვიდა რ. ხოჯაას წიგნი,[3] სადაც ავტორი მათ „საგმირო საქმეებს“ აღწერს.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ მკითხველი დარწმუნდება, თუ როგორ ულმობლად ხოცავდნენ ბაგრამიანის ბატალიონის სომეხი ბოევიკები ქართველებს — კაცებს,

---

[1] როგორც ჩანს, ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე იყო საიდუმლო შეთანხმება აფხაზეთის სომხური დიასპორას და აფსუა სეპარატისტებს შორის.

[2] ამ ზეიმს დაესწრო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტი, ამჟამად აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. არ არის შემთხვევითი სერგეი შამბამ ომის შემდეგ სადოქტორო დისერტაცია — დასავლეთ საქართველოს მონეტების შესახებ დაიცვა ერევანში. სომეხმა კოლეგებმა ქართულ თემაზე დაწერილი სადისერტაციო ნაშრომის ოპონენტად ქართველი სპეციალისტი არ მიიწვიეს და ასე „ობიექტურად“ მიანიჭეს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ამ ქართველთმოძულე უმადურ არსებას...

[3] Р. Ходжаа, Армянский батальон Отечественной войне народа Абхазии 1992-1993 гг., 2005 (მეორე გამოცემა).

ქალებს, ბავშვებს, როგორ სადისტურად აწამებდნენ, თავებს ჭრიდნენ, გოგონებს და ქალებს აუპატიურებდნენ, ქართველთა ქონებას ისაკუთრებდნენ და აფხაზ სეპარატისტებთან ერთად მკვიდრი 300 ათასამდე ქართველი დევნილად აქციეს. ქართველების მიმართ მათ მიერ მოწყობილი გენოციდი უსაშინლესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

დაე, იცოდეს მთელმა მსოფლიომ, ვინ ვინ არის.

*დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვინც ქართველთა გენოციდი მოაწყო აფხაზეთში. ესენი არიან აფხაზები, რუსები, სომხები, ჩეჩნები, ოსები, კაზაკები, გადაგვარებული ქართველები და სხვები. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ როცა ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის ჩადენილ დანაშაულს აღვნუსხავთ, არ გვავიწყდება ის ფაქტიც, რომ სომეხთა გარკვეული ნაწილი ქართველთა გვერდით იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. მათ თანადგომას ქართველი ხალხი სათანადოდ აფასებს და არ ივიწყებს. მათ შესახებ მზადდება წიგნი, რომელიც უახლოეს მომავალში გამოვა.*

*ხაზგასმით გვსურს შევნიშნოთ, დროა ქართულმა ეროვნულმა უშიშროების სამსახურმა გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ის სომხები, რომლებმაც აფხაზეთში ქართველთა გენოციდში მიიღეს მონაწილეობა და დაუსჯელად დასეირნობენ ქართულ მიწაზე. ისინი ჩადენილი დანაშაულის გამო სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგნენ.*

ავტორები

**P.S.** წიგნის მომზადების პროცესში მოულოდნელად გარდაიცვალა ჩემი თანაავტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. თეიმურაზ მიბჩუანი. ის წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სოხუმის უნივერსიტეტში, სადაც განაგებდა საქართველოს ისტორიის კათედრას. აფხაზეთიდან დევნილს მშობლიურ მხარესთან განშორების სევდა მუდამ თან სდევდა, დაბრუნების იმედი კი ოდნავადაც არ შერყევია, მაგრამ ტანჯულმა გულმა უმტყუნა.

რარიგად გაიხარებს მისი სული, როცა აფხაზეთი კვლავ საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდება!

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული!

# ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის სისხლიან ნაკვალევზე

აფხაზეთის პროვოკაციული ომის (1992-1993 წწ.) დროს და შემდგომ ქართველთა წინააღმდეგ მოწყობილმა გენოციდმა და ეთნიკურმა წმენდამ ათიათასობით ქართველი იმსხვერპლა, მათ შორის ბავშვები, ქალები, მოხუცები. კაცობრიობის წინაშე ჩადენილია უდიდესი დანაშაული, რისთვისაც დღემდე პასუხს არავინ აგებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღიარებული და დაგმობილი იქნა ეუთოს ბუდაპეშტის (1995 წ.), ლისაბონის (1997 წ.) და სტამბოლის (1999 წ.) სამიტების დასკვნით დოკუმენტებში. ქართველებს, მხოლოდ მათი ქართველობის გამო, სადისტურად, წამებით ხოცავდნენ აფხაზი სეპარატისტები, რუსები, კაზაკები, სომხები, ჩეჩნები, ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები და ა.შ. ქართველების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ სომხები, მათ მიერ შექმნილი ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის წევრები. ეს ის სომხებია, რომელთა დიასპორამაც აფხაზეთში მკვიდრი ქართველების ხელშეწყობით XIX-XX სს. ცხოვრება ააწყვეს, გაახსნევინეს სომხური სკოლები, დაურიგეს მიწის ნაკვეთები, უფლებრივად ადგილობრივ მოსახლეობას გაუთანასწორდნენ და სხვ. მათ კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან, რომლებიც აფხაზეთის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარს წარმოადგენდნენ. მაგრამ სომხები ქართველების მიმართ ბოღმას მალავდნენ, რაც მათთვის ხელსაყრელ დროს გადმოანთხიეს. თურმე ანტიქართულ ძალებთან მანამდე იყვნენ შეკრულნი. ეს იმის პირობაა, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც კი სომხური დიასპორა არსებობს, საჭირო შემთხვევაში ნებისმიერ ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას ანალოგიურ განაჩენს გამოუტანენ. ამას სომეხი ხალხის ისტორიული წარსულიც აშკარად ამტკიცებს. სომხური დიასპორები კი დღეს მთელ მსოფლიოში არსებობენ.

აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შესახებ გამოძიებული მასალები მრავალ ტომს მოიცავს. მასალები ინახება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. კაცობრიობის

წინაშე ჩადენილ ამ დანაშაულში განსაკუთრებით მძიმეა ბაგრამიანის ბატალიონის წევრთა წვლილი, რაზედაც ქვემოთ მოყვანილი ფაქტები მეტყველებს (მოწმეთა და თვითმხილველთა მონათხრობის ენა და სტილი დაცულია).

## გულრიფშის რაიონი

*მოწმე* — ქობალია ლუდა შალვას ასული (დაბ. 1957 წ., გულრიფშის რაიონი):

„სომხები აფხაზებზე უარესები იყვნენ. შექმნეს სომხების ბატალიონი და ომობდნენ ჩვენს წინააღმდეგ. მთლიანად გადაუწვიათ ჩვენი სოფელი, მათ შორის ჩემი სახლი." (ტ. 31, გვ. 26)

*მოწმე* — თოლორდავა გიორგი ისიდორეს ძე (დაბ. 1924 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. განახლება):

„ქ. სოხუმის ჩელუსკინელების ქუჩაზე მცხოვრები გვარად ცატურიანი, რომელიც დასაქმებულია ბიზნესში, აგროვებდა ფულს და აფხაზებისათვის იძენდა იარაღს. გარდა ამისა გულრიფშის რაიონის სოფ. მიასნიკოვში მცხოვრებმა ტოპოლიანმა შექმნა დივიზია და იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ." (ტ. 31, გვ. 33).

*მოწმე* — დოლიძე თეიმურაზ შალვას ძე (დაბ. 1955 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. დრანდა):

„გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდაში გადამწვარია ქართველთა სახლები თითქმის მთლიანად... საომარ ოპერაციებში, ჩემი გაგებით, ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა სომხების ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი ტოპოლიანის მეთაურობით, რომლებმაც კარგად იცოდნენ საცხოვრებელი ადგილები და მათი მეზობლები." (ტ. 31, გვ. 40).

*მოწმე* — ომიაძე ვენერა ფარსადანის ასული (დაბ. 1950 წ., სოფ. წებელდა):

„...საომარ მოქმედებაში ძირითადად მონაწილეობდნენ რუსები და სომხები. ისინი, როგორც წესი, დადიოდნენ 8-10 კაცის შემადგენლობით, რომლებშიც მხოლოდ ერთი ან ორი იყვნენ აფხაზი. განსაკუთრებით ბევრი იყვნენ სომხები, რომლებიც არ გვანდნენ ადგილობრივ სომხებს როგორც გარეგნობით, ისე მეტყველებითა და კილოთი. ისინი ძირითადად შეიარაღებული იყვნენ სნაიპერის ვინტოვკებითა და ე.წ. გრანატამიოტებით.

სამჯერ ჩემი თვალით დავინახე, თუ როგორ ესროლეს სომხებმა, მხედველობაში მაქვს სომეხი „ბოევიკები“, ქართველთა სახლებს გრანატამიოტები და დაწვეს ისინი. ვიცი, რომ ერთი სახლი ეკუთვნოდა ქართველ სახელაშვილს.“ (ტ. 31, გვ. 51).

*მოწმე* — ოგანიანი სერგო ისაკის ძე (დაბ. 1953 წ., გულრიფში, გულიას ქ. №3/1):

„...ჩვენს რაიონში შეიქმნა ეროვნული გვარდია აფხაზი ეროვნების მოსახლეობის შემადგენლობით... საომარ მოქმედებაში, როგორც მე ვიცი და ჩემი თვალითაც მინახავს, იღებდნენ მონაწილეობას აფხაზების გარდა ჩეჩნები, ადიღეელები, კაზაკები, რუსები, სომხები. ბოლო დროისათვის თურქი-მესხებიც გამოჩდნენ, ასევე ოსები.“ (ტ. 31, გვ. 56-57).

*მოწმე* — ჯგერენაია გრიგოლ ნესტორის ძე (დაბ. 1941 წ., სოფ. გულრიფში):

„1993 წლის 29 სექტემბერს აფხაზეთში შემოიჭრნენ ჩვენს სოფელში. აფხაზების გვერდით იდგნენ კაზაკები და სომხები. მათ დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორიზება და ხოცვა ეროვნების მიხედვით. სახლებიდან გაჰქონდათ ყველაფერი... მე უშუალოდ შევესწარი ჩემი მეზობლების ახალაია ეთერის, გულო ახალაიას, პერტია თამაზის, პერტია რენოს, ჯოხაძე გოგის, გოგოხია თამარის, მურღულია ვალერის და სხვათა მკვლელობის ფაქტებს. განსაკუთრებული სისასტიკით მოექცნენ გულო ახალაიას. იგი აწამეს, მოაჭრეს თავი. თავი და ტანი ცალ-ცალკე ჩააგდეს ახალაიების ოჯახის

ეზოში არსებულ ჭაში. ასევე მოკლეს ცქვიტარია ავთო, მაკა რუხაია, დათო ბაღათურია, რომელიც მოკლეს ადგილობრივმა სომხებმა, ვალოდია ალაზიანის ვაჟმა, სახელი არ მახსოვს და ვინმე რუსლანმა, რომელიც მძღოლად მუშაობდა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში. ქართველების მკვლელობაში ასევე მონაწილეობდა ჩვენი სომეხი თანასოფლელი, რომელსაც სახლში ჰქონდა სამღებრო... თავიდან ჩვენ ვცადეთ გავსულიყავით სვანეთში, მაგრამ ადგილობრივმა სომხებმა აგვიტეხეს სროლა იარაღიდან და ჩვენ ისევ ტყეში დავბრუნდით...

30 სექტემბერს, ღამე, პროფილაქტიკასთან მოყვანისთანავე აფხაზებმა დაიწყეს მანქანებზე მსხდომთა ხალხში ამორჩევა ახალგაზრდა ქალებისა და მოზარდი ბავშვების, რომლებიც წაიყვანეს პროფილაქტიკის შენობაში გასაუპატიურებლად. რამდენიმე ახალგაზრდა ქართველმა ბიჭმა სცადეს შეწინააღმდეგებულიყვნენ ასეთ ალვირახსნილობას, მაგრამ ისინი ადგილზევე იქნენ დახვრეტილნი. ამის შემდეგ აფხაზებმა და სომხებმა დაიწყეს სროლა ხალხის მიმართულებით და ხალხი გაიფანტა და თავს შველოდა შეძლებისდაგვარად. მე მსურს აღვნიშნო ის, რომ გოგონათა შორის, რომლებიც წაიყვანეს აფხაზებმა და სომხებმა გასაუპატიურებლად, იყვნენ 12-14 წლის გოგოები. თუ რა ბედი ეწიათ მათ, ჩემთვის უცნობია. იმ პერიოდში, რაც მე იქ ვიყავი, აფხაზები და სომხები აწიოკებდნენ ქართულ მოსახლეობას. ახალგაზრდებს საერთოდ არ ინდობდნენ" (ტ. 31, გვ. 107-110).

*მოწმე* — ბელოუსოვა ნანა მიხეილის ასული (დაბ. 1949 წ., სოფ. დრანდა):

„1993 წლის 20 სექტემბერს სოფ. ახალდაბაში შემოსულან სომხები, კაზაკები, აფხაზები, დაუყვირიათ სოფელში, გამოდითო ყველანი გარეთ. ხალხი გამოვიდა ქალები და ბავშვები, შერეკეს სტადიონზე. 10-დან 14 წლამდე ბავშვები გააუპატიურეს და მერე დახოცეს." (ტ. 31, გვ. 67-68).





*მოწმე* — კუბეცია მამუკა შოკოდეს ძე (დაბ. 1969 წ., სოფ. ვარჩე):

„...ამ კონფლიქტის დროს, სანამ ქართული სამხედრო ფორმირებები შემოვიდოდნენ სოხუმში, ჩვენ გვავიწროვებდნენ აფხაზები და სომეხი მოსახლეობა, კერძოდ, ჩემი მეზობელი ვალოდია კანსუზიანი გამოდიოდა მოწოდებით აფხაზებისა და სომხების წინაშე, რომ ისინი იარაღით გაგვისწორდებოდნენ ქართველებს. ვალოდია კანსუზიანი ცხოვრობს ზემო ვაჩეში, სოხუმის ქუჩაზე." (ტ. 31, გვ. 174).

*მოწმე* — შელია სულიკო ანტონის ასული (დაბ. 1928 წ., სოფ. ფშაფი):

ჩემს მეზობლად ცხოვრობდა ეროვნებით სომეხი კასპარ კასპარიანი, რომელიც ხელს უწყობდა, ეხმარებოდა სამხედროფორმიან ჯარისკაცებს (აფხაზური მხარის). კერძოდ, ის ეუბნებოდა, რომ დაწვით ამა და ამ კაცის სახლი, კარნახობდა თუ ვინ რა ეროვნების ხალხია და სად ცხოვრობდა. კუნდაქჩიანი ხაჩოც (პენსიონერი) ჩადიოდა ამგვარ საქმეებს. მან მე პირადად მითხრა, რომ შენ რას უდგეხარ, წაეთრიე აქედან, ეს ჩემი მიწა არისო. ჩემი სახლის გარდა დაწვეს შვილის სახლიც, აგრეთვე დაწვეს ჩემი მეზობლის სახლებიც. ამის შემდეგ ჩვენ მივატოვეთ ჩვენი საცხოვრებელი და გავიქეცით." (ტ.31, გვ. 224).

*მოწმე* — სორდია თამაზი დომენტის ძე (დაბ. 1949 წ., სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი):

„...დაბა გულრიფშში მოკლეს დაახლოებით 400 კაცი. ამ ხალხის მკვლელობაში მონაწილეობდნენ აფხაზები, ჩრდილო კავკასიელები. კაზაკები და აფხაზეთში მაცხოვრებელი სომხებისაგან შემდგარი ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის სამხედრო შენაერთის წევრები... ბოევიკებმა მოკლეს გულრიფშის რაიონის საავადმყოფს თანამშრომლები: ზახაროვი ალექსანდრე, კაკო სიჭინავა — მთავარი ექიმი, ქირურგი თემურ ბერაია, ჯლამაძე — პროფესორი, სანატორიუმის მთავარი ექიმი. თითქმის მთლიანად დახოცეს იქაური სამედიცინო პერსონალი." (ტ. 31, გვ. 234)

*მოწმე* — გვალია მზიური ტიტიკოს ასული (დაბ. 1955 წ., უმაღლესი განათლებით, სოხუმი):

„...1993 წლის 25 სექტემბერს, იმ დღეს, როდესაც მე წამოვედი, ჩვენთან ოჯახში მოსულან სომხური ეროვნების პირები იარაღით და მათ წაუყვანიათ. ჩემი მეუღლე და მეზობელი გიორგი კაჭარავა 60 წლის და იმ დღიდან ისინი არავის უნახავს.

ჩემ დედამთილს უხვეწნია სომხებისთვის, რათა მათ არ წაეყვანათ შვილი. ის ყოფილა სახედაკაწრული, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩემი მეუღლე მაინც წაუყვანიათ." (ტ. 31, გვ. 278-279)

*მოწმე* — აკიშბაია ოთარი მაკარის ძე (დაბ. 1943 წ., გალი, სოფ. გუდავა, უმაღლესი განათლებით):

„...სისასტიკით და ზნეობრივი დაცემის თვალსაზრისით აფხაზებს ეჭირათ პირველი ადგილი, მეორეზე იყვნენ სომხები და შემდეგ კონფედერატები, რომელთა შორის კაზაკები, შეიძლება ითქვას, მეტი სირბილით და რაღაც ადამიანური თვისებებით გამოირჩეოდნენ." (ტ. 31, გვ. 284).

*მოწმე* — ბებია ნუგზარი ალექსანდრეს ძე (დაბ. 1955 წ., სოხუმის ფიზიკა-ტექნ. ინსტ. თანამშრომელი):

„...სოფელ წებელდაში სომხებს დაუხოციათ ჩემი სიმამრის დედინაცვალი ურიდია-ჭოჭუა ლილი 78 წლის და მისი მეზობელი ჩალიგავა-ღიბა 65 წლის." (ტ. 31, გვ. 326)

*მოწმე* — სიჭინავა გიორგი (კაკო) შალვას ძე (დაბ. 1937 წ., სოფ გულრიფში, საშუალო განათლებით):

„1993 წლის 27 სექტემბერს გულრიფშში შემოიჭრნენ ტანკებით, ჯავშნოსანი მანქანებით. აფხაზ დაქირავებულ მეომრებთან ერთად სოფ. გულრიფშში შემოიჭრნენ ჩემი ყოფილი მეზობლები ტანკისტი ალიკ არშაკის ძე დავითიანი, რომელიც ადრე მუშაობდა სოფელში ტრაქტორზე, მისი ძმა აზიკ დავითიანი, სერგეი ოვანესიანი შვილებთან — ალიკასთან და მეორე ვაჟთან ერთად; არშაკ ოგანიანის ვაჟები —

არშაველი და როზიკი, ჟორა ოგანიანის ვაჟები, მიხეილ მარტიროსიანი და მისი ვაჟი, რომელიც ადრე მუშაობდა სოფელში გინეკოლოგად, სახელად ჰქვია ალასიკი; მამა და ძმები თულუმჯანიანები, ერთს ჰქვია გრაჩი, მეორეს კი რუსლანი; რობიკ ჩოლოქიანის ვაჟი, საკრი აზარაპეტიანი, სერგეი სააკიანი, მინასიანების სამი ოჯახი, ჩოლოქიანების ოჯახი, სახელებად ხორენი და არდაში; თოფჩიანების ოჯახი, ერთ-ერთი ვაჟი მუშაობდა მომმარაგებლად კოლმეურნეობაში; ოგანიანების ოჯახი ვალოდია და მისი ვაჟები; კეკენძიანი არსენი და ანდრეი, ალაზიანი არუთი და მისი ვაჟი. აღნიშნული პიროვნებები აფხაზ სეპარატისტთა და მათ დაქირავებულ მეომრებთან ერთად შემოიჭრნენ სოფელ გულრიფშში. როგორც კი შემოვიდნენ სოფელში, დაწვეს პოლიციის თანამშრომლის ანზორ ბორცვაიას ბინა, შემდეგ დაწვეს პიტავას ბინა. ოჯახის დიასახლისმა ლიდამ მოახერხა სიმინდის ყანაში მიმალვა და ცოცხალი გადარჩა. მივიდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლის იური ვოლცოვის სახლში, დააბეს და ცოცხლად დაწვეს მისი დედა დუსია ვოლცოვა. შეიჭრნენ აეროპორტის ინჟინრის გივი დავითაიას სახლში და რადგან იქ არავინ დახვდათ, დაწვეს სახლი. დაწვეს მძღოლის მურთაზ კოკაიას სახლი. დაწვეს პოლიციელი გია პერტაიას სახლი. ასევე დაწვეს პირადად ჩემი და ჩემი ვაჟის ზურაბის სახლები. ტანკებით დაანგრიეს თამაზ პერტაიას სახლი. თავის სახლში მოკლეს 56 წლის ნ. გულუა. მე ამ დროს მეუღლესთან ერთად ვიმალებოდი სიმინდის ყანაში და რადგან გზები კარგად ვიცი, ღამით შეუმჩნევლად მივდიოდით მდინარე კოდორისაკენ, რომ გადავსულიყავით აფხაზეთის სვანეთში. გზაზე მრავალად იყო წამებით მოკლულ ქართველ კაცთა, ქალთა და სულ პატარა ბავშვთა გვამები. მათ შორის ამოვიცანი მიხეილ შურღაია, რომელიც მუშაობდა აეროპორტში ელექტრიკოსად; თენგიზ სიჭინავა, რომელიც ცხოვრობდა სოფ. ვარჩის პლატფორმასთან, იყო პენსიონერი; შალიკო ხუფენია, ცხოვრობდა დრანდაში და მუშაობდა ხის გადამამუშავებელ საამქროში. ვნახე ღობის მარგილზე ჩამოცმული პატარა ბავშვი, ე.წ. „ტოლიატის" დასასვენებელ სახლთან. სადისტური ქმედებების განხორციელებაში სეპარატისტებს

ეხმარებოდნენ ჩემი მეზობლები რაისა ხაბურზანია ტამიშიდან და ევგენია ჩემია, ასევე ტამიშიდან. ყოველი სადისტური ქმედების განხორციელებისას მოძალადეები გაიძახოდნენ: „ეს მიწა ქართველებისგან უნდა გავწმინდოთო“. აფხაზ სეპარატისტებს ეხმარებოდა ზოია ჭკადუა... მოძალადეებმა ჟორა ოგანიანის მითითებით მიისაკუთრეს ქართველთა ყველა სახის ქონება — სახლები, ავეჯი, საქონელი და სხვ.“ (ტ. 31, გვ. 79-80)

*შენიშვნა* — ქართული გვარების მატარებლები (ხაბურზანია, ჩემია და ჭკადუა) აფხაზები არიან.

*მოწმე* — ნანავა რამაზი ავთანდილის ძე (სტუდენტი, გულრიფშის რაიონიდან):

„...მამიდაჩემისაგან და ბიძაჩემისაგან გადმოცემით ვიცი, რომ ბადრი მინაძე, რომელიც ცხოვრობდა ეშერაში და იყო აფხაზების მხარეზე და ის აწამებდა ხალხს. კონკრეტულად მან აწამა მამიდაჩემი, ვისგანაც ითხოვდა მანქანას, ხოლო ბიძაჩემი სასტიკად ცემეს. აფხაზებთან ერთად შევამჩნიე, რომ ბრძოლობდნენ სომხები, ჩეჩნები, რუსები, კაზაკები. განსაკუთრებით სომხები იყო მეტი, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გვეპყრობოდნენ.“ (ტ. 51, გვ. 31).

*შენიშვნა* — ე.წ. აფხაზთა 70%-ზე მეტი წარმოშობით ქართველია და მოგვარეებიც მხოლოდ ქართველებში ჰყავთ. მათ რიცხვს ეკუთვნის ვინმე ბადრი მინაძეც.

*მოწმე* — კვარაცხელია ხუხტი არსენას ძე (დაბ. 1940 წ., სოფ. ზემო ფშავში):

„...ისინი შემოიჭრნენ 1993 წლის 29 სექტემბერს... ჩემს სახლში შემოვიდნენ სამი კაზაკი და ორი სომეხი, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ კბილებამდე. მე დამაყენეს კედელთან და სომხებს უნდოდათ ჩემი დახვრეტა, მაგრამ ერთ-ერთმა კაზაკმა თქვა, ჯერ ადრეაო და გამიშვეს. მითხრეს, რომ არსად არ წავსულიყავი. ამ სომხების გვარები მე არ ვიცი... სოფლის უმრავლესი სახლ-კარი დამწვარია,

პირადი ქონება და საქონელი კი გაიტაცეს. დახვრიტეს შემდეგი ჩემი თანასოფლელები: სამუშია ჯოჯუა — 60 წლის, სამუშია რევაზი — 60 წლის, ბებია გოჩა — 23 წლის, ჩემია ლუბა — 65 წლის, სამუშია გოჩო — 38 წლის, სამუშია ხუტა — 63 და სხვა მრავალი... ვხედავდი, რა საშინელებას ჩადიოდნენ აფხაზი ექსტრემისტები და სომხები." (ტ. 51, გვ. 33).

*მოწმე* — შონია გალინა ტრიფონის ასული (დაბ. 1932 წ., სოფ. მერხეული):

„...ჩემს სოფელში მხეცობას ჩადიოდნენ სომხები და აფხაზები. დახვრიტეს შემდეგი ჩემი თანასოფლელები..." (ჩამოთვლის მათ. ტ. 51, გვ. 35):

*მოწმე* — როგავა ლელა გრიგოლის ასული (დაბ. 1952 წ., გულრიფში, ლასურიას ქ. №18):

„...მე ვარ იმის მხილველი, რომ ჩემი მეზობელი ბაღათურია და გაგუა დახვრიტეს სომხებმა, რომლებიც სასტიკად ექცეოდნენ ქართველ ხალხს. იმასაც ლაპარაკობდნენ სომხები, რომ ქართველობა არ უნდა გამრავლდესო. ასევე მოკლეს ჯალაღონია შალიკო, ჯალაღონია იროდი, თოდუა შოთა, ჩიტაია ნოდარი, ხოლო ბოლო დროს ოჯახში ცოცხლად დაწვეს 17 წლის ბავშვი და 4 ადამიანი. ეს სისასტიკე გააკეთეს სომეხმა ბოევიკებმა... მინდა აღვნიშნო სომეხი ბოევიკების განსაკუთრებული სისასტიკე." (ტ. 51, გვ. 49)

*მოწმე* — ტყებუჩავა ეთერი ჟორჟის ასული (დაბ. 1949 წ., სოფ. ვარჩე):

„...ასევე მინდა აღვნიშნო სომეხი ხალხის მოქმედება, რომელიც სასტიკად ექცეოდა ქართველ ხალხს, კერძოდ, ჭრიდნენ თავებს, ხელ-ფეხს, რომლითაც მერე ფეხბურთს თამაშობდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ ქართველი ერი არ უნდა გამრავლდესო... აფხაზ სეპარატისტებს ჰქონდათ ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ სომეხი ეროვნების ხალხი...

ჩვენ მეზობლად არის სოფ. ფშაფი. ამ სოფელში ცხოვრობს სომეხი ეროვნების ხალხი, რომლებიც ფულს აგროვებდნენ და აძლევდნენ აფხაზებს, რათა შეეძინათ იარაღი.“ (იქვე).

*მოწმე* — ბერია გურამი თეოფანეს ძე (დაბ. 1953, სოფ. მერხეული):

„...აფხაზებთან ერთად საომარ მოქმედებაში იღებდნენ მონაწილეობას ჩეჩენი, კაზაკი, რუსი და სომეხი ბოევიკები. ამასთან ერთად მინდა აღვნიშნო სომეხი ბოევიკების ქცევა, რომლებიც სისასტიკით გამოირჩეოდნენ, კლავდნენ ქართველებს, აუპატიურებდნენ გოგონებს და თან ლაპარაკობდნენ, რომ ქართველები არ უნდა გამრავლდნენო.“ (იქვე, გვ. 56).

*მოწმე* — ლაშხია მზია ექსევის ასული (დაბ. 1956 წ., გულრიფში):

„..გულრიფშის რაიონის წერეთლის ქუჩაზე 29 სექტემბერს სომხები, დაახლოებით 15 კაცი, თავს დაესხა ყურაშვილების ოჯახს, სადაც იმყოფებოდნენ გული ყურაშვილი და მისი ორი ქალიშვილი. გამოიყვანეს ისინი სახლიდან და უნდოდათ მათი გაუპატიურება და მოკვლა. კივილზე გამოვიდნენ ქართველები, რომლებიც იმალებოდნენ ტყეში. მათ შორის იყვნენ ათულა გოგინავა და როდიკო შელია და სთხოვეს თავდამსხმელებს არ წაეყვანათ ყურაშვილები, რაზედაც სომხებმა უთხრეს: — კარგი ჩვენ ამათ არ წავიყვანეთ, მაგრამ მოგვეცით მაშინ ა. გოგინავა და მხეცურად მოკლეს გოგინავა და რ. შელია...

ხუტა ლემონჯავა ასევე სომხებმა მოკლეს 1993 წლის 29 სექტემბერს გულრიფშის რაიონის წერეთლის ქუჩაზე. შეუვარდნენ სახლში და მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი იყო. დაწვეს მისი სახლი. ასეთი ფაქტები უამრავი იყო.“ (იქვე, გვ. 73).

*მოწმე* — გულუა ავთანდილ მამანტის ძე (დაბ. 1928 წ., სოფ. ფშაფი):

„...ორი სომეხი ჩემი ძმის სახლს ძარცვავდა. ძმა მათთან იყო. არ ვიცი, რა მოხდა მათ შორის, შემოგვესმა სროლა ქვედა სართუ-

ლიდან, უკანა ოთახიდან. თურმე ჩემი ძმა დაუხვრეტია ერთ-ერთ ბოევიკს. მგონი სახელად ერქვა არამი. რომ შევედი, ვნახე ჩემი ძმა ლოგინის რკინის თავის ჩხირებს ჩასჭიდებია და სულს ღაფავდა. ამ დროს იმ სომეხმა მითხრა მე და დერეფანში მჯდარ უმწეო დედაჩემს: „ნახეთ, რა კარგად მიიძინაო, რა კარგად დაისვენაო". სულ ამას უმეორებდა დედას, მაგრამ დედაჩემს ხმაც ჩაუწყდა და ცრემლიც გაშრობოდა. მკვლელი კი დაემუქრა: „Старушка, откроешь рот, тебя тоже рядом положу!" და საშინელ გინებას აყოლებდა. შვილის სიკვდილი დედას არ სჯეროდა და მე მეძახდა.

ძმის სახლის ზედა სართულს რომ ძარცვავდნენ, ერთმა მათგანმა, უსაშველო გრძელცხვირამ, სომხურად უთხრა დანარჩენებს: „ჩქარა წაიღეთ, რაც მოგეწონოთ, თორემ ეს ორივე სახლი და ცოცხლებიც ცაში უნდა ავაფრინოო!" (იქვე, გვ. 80-81)

სომხებს მეთაურობდა და უმარცხენახელო ახალგაზრდა ავტომატით და ხელყუმბარებით, მკერდზე დაკიდული დიდი ვერცხლის ჯვრით, ძელზე გაკრული მაცხოვრის გამოსახულებით... ზოგ მათგანს ქუდზე ეწერა: „Батальен имени И. Х. Баграмяна." გაგრელები ვართო. რა ვიცი, იქნებ ტყუოდნენ და ლაბრელები იყვნენ, რადგან გულრიფშის რაიონში პარპაშობდნენ ლაბრელი ბოევიკები, ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის არდაშ აველიანის მეთაურობით. მას ოქროზე და დოლარებზე ფსოუზე და ენგურზე გადაჰყავდა ქართველები. იქაურ ბოევიკთა სადაურობა და ვინაობა იცის ჟორა ოგანიანმა (სახლი №9), არამ მელქონიანმა (სახლი №15) და სხვ.

ჩემი იქ ყოფნისას და სხვა დღეებში (6.10. 93 წ.) ფშავის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გაჩნდა საშინელი ტერორი, გენოციდი უდანაშაულო ხალხის მიმართ, რადგან ისინი ქართველები იყვნენ." (ჩამოთვლილია ქართველ დახოცილთა სია, გვ. 27-29).

...სომეხი ბოევიკი გვსაყვედურობდა, რა გინდათ აფხაზთა მიწაზეო. ის კი არ იციან, რომ აფხაზეთი ისეთივე ძირძველი საქართველოს ნაწილია, როგორც სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი და ა.შ.

აფხაზთა ნაწილებს ჩამოყვნენ ჩვენი მეზობელი სომეხი ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდნენ თურმე.

ესენია: ალიკ არშაკის ძე დავითიანი, გამარჯვების ქ. №27 და ხორენ ჩოლოქიანის შვილი (სახელი არ მახსოვს).

განსაკუთრებით მძვინვარებდა ალიკ დავთიანი, რომელსაც არაერთი დაუხვრეტია, თან ამბობდა თურმე: „Я это село буду до конца чистить от менгрельцев" და გინებას აყოლებდაო. (გვ. 84-85).

ასევე მძვინვარებდა არდაშ აველიანის ლაბრის ბატალიონი. ოქტომბრის პირველ რიცხვებში მათ ფშაფის ცენტრში დახოცეს დაახლოებით 60-ზე მეტი ადამიანი (ჩამოთვლილია მათი გვარსახელები). მათ შორის სომეხი ფოსტალიონი ირიციან შაღდიკ, რომელიც ქართველებს ემსახურებოდა.

*მოწმე* — გურჩიანი სტანისლავი შაქროს ძე (დაბ. 1969 წ., სოფ. მერხეული):

„...ომამდე სომხები უგროვებდნენ ფულს. რაც შეეხება ომის პერიოდს, სომხები მათზე არანაკლები სისასტიკით ექცეოდნენ ქართველებს. ქ. სოხუმში ძიძარიას ქუჩაზე მცხოვრები ცატურიანი იყო არძინბას ნდობით აღჭურვილი პირი და სოხუმში ფულის შეგროვება მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა... იგი საქმიანი კაცი იყო... ომის დაწყების შემდეგ სომხები იარაღით ხელში იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ" (იქვე, გვ. 107-108).

*მოწმე* — წულაია ლალი გრიშას ასული (დაბ. 1937 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. ბაბუშერა):

„...სომხები უფრო მეტად სჩადიოდნენ სისასტიკეს ჩვენს მიმართ, ვიდრე აფხაზები. ამას იმიტომ გიჩვენებთ, რომ 18 ოქტომბერს, მას შემდეგ, როცა სომხებმა მცემეს, ერთ-ერთა აფხაზმა გუდაუთიდან რუდიკო ჩხოტუამ მირჩია წასვლა სახლიდან და მითხრა, რომ მოდის სხვადასხვა რჯულის ხალხი, ისინი არა მარტო სცემდნენ და კლავდნენ მოხუცებს, არამედ გაუკუღმართებული ფორმით აუპატიურებდნენ მათ. ჩემთან, სოფელში, ალბათ, 10-12 ოქტომბერს სომხებმა სოფ. ფშაფთან გააუპატიურეს ჩემი მცირეწლოვანი მეზობლები გ. კ.-ის ასული ჟ., ნ. კ.-ის ასული ჟ., მათი ოთხმოცი წლის

ბებია, შემდეგ დახოცეს და მამას ძალით დაამარხვინეს ცოლ-შვილი და დედამთილი, ხოლო თვითონ დატოვეს ცოცხალი. მე ამ სომხების ზუსტი ვინაობა არ ვიცი... აფხაზებისა და სომხების გარდა სხვა ეროვნების ხალხი ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლები არ მინახავს." (იქვე, გვ. 126-127)

*მოწმე* — კვარაცხელია ლინდგარი ნიკოლოზის ძე (დაბ. 1937, გულრიფშის რაიონი, სოფ. განახლება):

„...უფრო აქტიურობდნენ სომხები. მათ რიცხვში ბევრი იყო ჩვენი თანასოფლელი, რომლებიც ხოცავდნენ და აუპატიურებდნენ ქართველებს." (იქვე, გვ. 130)

*მოწმე* — ჟვანია ზაური ალექსანდრეს ძე (დაბ. 1938 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. დრანდა):

მისი ცნობით აფხაზები და სომხები ომამდე იყვნენ მოლაპარაკებულნი (იქვე, გვ. 170).

*მოწმე* — ნაჭყებია ნარი შარდენის ასული (დაბ. 1964, გულრიფშის რაიონი, სოფ. ზემო ფშაფი):

„განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ სომხები. სომხები ზემო ფშაფში შევიდნენ სოფ. ლაბრიდან. მათ მიერ მოკლული იქნა მრავალი უდანაშაულო მოსახლე სოფ. ზემო ფშაფში. ზაირა სამუშია წერს, რომ სომხებმა მოუკლეს მას დედ-მამა, მან ძლივს მოახერხა დამალვა. დედ-მამა მან თვითონ დამარხა ხის ძირში. სომხებმა მოკლეს ცოლ-ქმარი შოთა და ლილი წურწუმიები — 75 და 65 წლისა. ზაირას დაუნახავს, რომ ერთ-ერთ სომეხს მკერდზე „პალაჩის" მედალი ეკიდა. ზაირა სამუშიამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა სოფ. ზემო ფშაფიდან გამოსვლა. ზემო ფშაფში დარჩნენ და გამოსვლა ვერ მოასწრეს ჩემმა დედამ, დამ და ძმამ, რომელთა ბედი ჩემთვის დღემდე უცნობია." (ტომი 111, გვ. 231 ან 12; ჩაწერილია 6.02.1994 წ.).

*მოწმე* — ჩილაგავა ჟუჟუნა ერმინეს ასული (დაბ. 1940, გულრიფშის რაიონი, სოფ. მაჭარა):

მისი ცნობით განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ სომხები (ტომი 111, გვ. 235, ან 15).

„...1993 წლის 27 სექტემბერს ოჯახთან ერთად მთელი სოფელი გავედით მაჭარის ხიდთან, რათა წავსულიყავით სვანეთის გზით. მაჭარის ხიდთან წამოგვეწივნენ აფხაზები და სოფელ ესტონკის, განახლების სომხები. მაჭარის ხიდთან გაიმართა ბრძოლები, სადაც 30-35 კაცი დავკარგეთ." (ტომი 111, გვ. 241 ან 20).

*მოწმე* — პაპასკირი ანზორ ვლადიმერის ძე (დაბ. 1948, გულრიფშის რაიონი, სოფ. დრანდა):

„სოხუმის აღების შემდეგ... დრანდაში შემოვიდნენ აფხაზები, სომხები, კაზაკები და ჩრდილო კავკასიელები. ისინი სოფელში შემოვიდნენ ერთი ჯავშანტრანპორტიორით. როცა ისინი შემოვიდნენ, ჩვენ მებრძოლი მამაკაცები — მეზობლები ბავშვებთან და ცოლშვილთან ერთად ვიმალებოდით პლანტაციებში და უბრალოდ შემსწრე ვარ, როგორ გააუპატიურეს ჩემი მეზობელი გაუკუღმართებული წესით. ეს ჩაიდინა სომეხმა სხვების თანდასწრებით. მე ამ სომხის ვინაობა არ ვიცი. იგი ტანად იყო მაღალი, მარჯვენა ლოყაზე ზემოდან ქვემოთ გააჩნდა იარა, სახეზე იყო შავგვრემანი. ისინი იყვნენ ლაბრელი ან გაგრელი სომხები. სოფელში იყვნენ სომხები და აფხაზები." (ტომი 111, გვ. 242 ან 22)

*მოწმე* — ხასია ნორა მირიანის ასული (დაბ. 1940, გულრიფშის რაიონი, სოფ. ვლადიმიროვკა):

ხასიას ცნობით აფხაზებმა და სომხებმა მოკლეს მისი მეზობლები ხოთო ხასია — 62 წლის, ვენერა ხასია — 52 წლის, ვერა ხასია — 80 წლის.

„...დასაფლავებული არიან ჩემს ეზოში. მეზობელი სომხებიდან ყოფილან ბასტიან ვაზგენ, კანდარჩიან სარგისი." (ტომი 111, გვ. 128 ან 346)

*მოწმე* — ბერიშვილი ინდიკო სტეფანეს ძე (დაბ. 1934 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

შეესწრო, თუ როგორ დახვრიტეს ნოდარ გულუა ავტომატით სომეხმა ბოევიკებმა (გამარჯვების ქ. №10).

„...სომხებს ქუდებზე ეწერათ: „Батальон имени Баграмяна" — შავი ტუშით. ერთი მათგანი იყო ცალხელა (მარცხენა არ ჰქონდა); მეორე — გრძელცხვირა, მაღალი; მესამეს ეძახდნენ „პოლკოვნიკს", ჩაფსკვნილი, საშუალო ტანის; მეოთხეს და მეხუთეს ისე გამოვიცნობ, რომ მანახა. სომხები იქცეოდნენ სასტიკად. მათ ჩეჩნებმა ნება არ მისცეს ჩემი და ნოდარ გულუას ძმის, მასწავლებლის ავთანდილ გულუას მოკვლისა და მათი სახლების დაწვისა. ადგილობრივი სომხები იტაცებდნენ და ითვისებდნენ ქართველთა ქონებას, საქონელს. გაჰყავდათ საქონელი, ყოველდღე კლავდნენ რამდენიმე ძროხას და ყაურმას ხარშავდნენ. ასე იქცეოდნენ გამარჯვების ქუჩიდან (ул. Победы) ოგანიანი ჟორა, ოგანიანი ეფრემი, ხაჩატურიანი ლევონი, მელქონიანი არამი, შევლიკოვი სერგეი, ოგანიანი არშაველ და სხვ. ძროხის პარვაში გამოვიჭირეთ არუთ კალენჯიანი და არუთ იანუკიანი. ყველა მეზობელი სომეხი მხიარულად და შეძახილებით ხვდებოდა სომეხ ბოევიკებს, კოცნიდნენ, ულოცავდნენ გამარჯვებას და პურ-მარილს უმართავდნენ. აფხაზთა შემოსვლისთანავე ყველა მათ ჭიშ-კარზე ვნახეთ ტრაფარეტები გაახლებული წარწერებით, ჭიშკრებზე წითელი მატერიის ნაჭრები ეკიდა, ხოლო პირადად სამკლაური და გულისჯიბე იმავე ფერის ნაჭრებით ჰქონდათ აწითლებული." (ტომი 111, გვ. 351 ან 133).

*მოწმე* — ჩიქოვანი მარგო მიხეილის ასული (დაბ. 1941 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. ვლადიმიროვკა):

„...სომეხი და აფხაზი ბოევიკები რამდენჯერმე შემოვიდნენ ჩვენს სოფელში და მთლიანად გადაწვეს ის. წვავდნენ ქართველების სახლ-კარს და საქონელს იტაცებდნენ... აფხაზებთან ერთად იყვნენ სომეხი „ბოევიკები", რომლებიც გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სიმკაცრით. 1993 წლის 24 ოქტომბერს ნაცნობმა სომეხმა ჩაგვსვა მანქანაში და მიგვიყვანა მდ. ენგურამდე და გამოვედით ზუგდიდში." (ტომი 111, გვ. 145 ან 363).

*მოწმე* — ძაძუა ენვერი დომენტის ძე (დაბ. 1952, გულრიფშის რაიონი, სოფ. მეორე ბაბუშერა):

„1993 წლის დეკემბრის თვეში აფხაზებმა და სომხებმა სადისტურად მოკლეს იპოლიტე გარწკია და მისი მეუღლე. ი. გარწკიას გამოჭრეს ყელი, მისი მეუღლე მოკლეს ავტომატით და წაუკიდეს სახლს ცეცხლი, იმისათვის, რომ მათი შვილები იბრძოდნენ ქართველების მხარეს.“ (იქვე, გვ. 179 ან 395).

*მოწმე* — ახალაია ლალი მაქსიმეს ასული (დაბ. 1945 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. ბაბუშერა):

„...სოხუმის აეროპორტის მუშაკებმა ბარბოი ანდრეი პეტრეს ძემ და დოპუამ, რომლის და ცოლად ჰყავს ბარბოის... მოკლეს სოფელ ვარჩეში საყვავილე მეურნეობის მცხოვრები, აეროპორტის მუშაკი ტერ-დანელიანი, მისი მეუღლე და ორი მათი შვილი, ქალ-ვაჟი 12-14 წლის. მათ მკვლელობამდე გააუპატიურეს ტერ-დანელიანის ცოლი, მცირეწლოვანი გოგო, რის შემდეგ ამოხოცეს მთელი ოჯახი.“ (ტომი 25, გვ. 124).

შენიშვნა: დოპუა აფხაზია, ბარბოი ვიღაც ბოევიკი. ამ ფაქტითაც დასტურდება, რომ აფხაზმა სეპარატისტებმა სომხები გამოიყენეს ქართველების წინააღმდეგ, რადგან ამის არანაკლები სურვილი თვით სომხებსაც ჰქონდათ, მაგრამ აფხაზი სეპარატისტები შესაძლო შემთხვევაში არც სომხებს ინდობდნენ.

*მოწმე* — ლიპარტია ზურაბ შაქროს ძე (გულრიფშის რაიონი, სოფ. ბაბუშერა):

„...რაც შეეხება ეროვნული ნიშნის მიხედვით ქართველთა მკვლელობის, გაუპატიურების შესახებ, მინდა აღვნიშნო შემდეგი: ოჩამჩირის რაიონის სოფ. ახალდაბაში ამა წლის 23-24 სექტემბერს არაადამიანურად კლავდნენ ქალებს და პატარა ბავშვებს, აუპატიურებდნენ ქალებს და შემდეგ კლავდნენ. ჩემს მეზობელს მურღულია მიტუშას ჯერ ესროლეს ყუმბარმტყორცნი, რომელმაც ცალი მხარი მოაგლიჯა და ძირს

დაცემულთან არ მიუშვეს ხალხი, რომ დაემარხათ. მიესივნენ ღორები და შეჭამეს. ხალხს არ მისცეს იმის უფლება, რომ საკუთარ ეზოში დაემარხათ. აფხაზებთან ერთად ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ და აწამებდნენ ჩეჩნები, რუსები, სომხები, აისორები, თურქები...“ (ტ. 37, გვ. 12)

*მოწმე* – ხვადაგიანი მერაბი კიმოთეს ძე (გულრიფშის რაიონი, სოფ. ბაბუშერა):

„უნდა აღვნიშნო... ავტომატის სახელური დამარტყეს კბილებში, კბილები ჩამომაყრევინეს. მოკვლას მიპირებდნენ, ჩემ მეზობელს (სომეხი იყო) რომ არ შევეეფარებინე.“ (ტ. 37, გვ. 16)

*მოწმე* – კუხალაშვილი მედიკო ამბროსის ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. ამტყელი):

„1992 წლის 30 აგვისტოს აფხაზმა სეპარატისტებმა მოახდინეს სოფ. ამტყელზე თავდასხმა. იყო ძლიერი შემოტევები. მაგათ უნდოდათ, სოფ. ამტყელში მცხოვრები ხალხის აწიოკება. ამტყელის გვარდიელებმა დააკავეს 14 აფხაზი სეპარატისტი, დანარჩენები კი გააპარეს მოღალატე სომხებმა.“ (ტ. 37, გვ. 23)

*მოწმე* – მატახელია ელზა კაკონის ასული:

„...ვიღაც სომხის ოჯახში იდგა მანქანასთან ორი აფხაზი. ამათმა გაგვაჩერეს და ვინ ხართ, საიდან მოდიხართო. ამ დროს გადმოვიდა სომხის ქალი ოჯახიდან. ეს ქალი კარგად მოგვექცა, შიგნით შეგვიყვანა და პატივი გვცა...“ (ტ. 37, გვ. 44)

*მოწმე* – ზანთარია კლიმენტი კაცის ძე (გულრიფშის რაიონი):

„ჩემი ნაცნობიფ სომეხი კესიანი რაფიკა, რომელმაც გამოგვაცილა ინგურის ხიდამდე და სხვათა შორის კარგად გვექცეოდა. დანარჩენი სომხები, ვინც ჩვენს ახლომახლო ცხოვრობდნენ, არ დატოვეს არაფერი ჩვენს ოჯახებში, ბარი და თოხიც კი წაიღეს ჩემი ოჯახიდან და სხვისგანაც.“ (ტ. 37, გვ. 50)

*მოწმე* – გერლიანი თალიკო ასლანბეკის ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. აჟარა):

„ჩვენ სოფელში ცხოვრობდნენ ქართველების გარდა სომხები და ესტონელები. ესტონელებს უფრო მეტად ქართველთა პოზიცია ეკავათ, ხოლო სომხები კი თითქმის ყველა იმათ მხარეზე იყვნენ. ისინი გვეუბნებოდნენ, რომ ეს მიწა არძინბასი არის და წადით აქედანო. სომხები ყოველნაირად იმათ მხარეს იჭერდნენ ომის დაწყების შემდეგ. ჩვენი ბიჭების გვარდიაში ჩაწერილთა სია მეზობელმა სომეხმა სანდრო ხანდარჯიანმა და ლევონ დიპელოიანმა ჩააბარეს აფხაზებს, რითაც ფაქტობრივად ქართველების გენოციდს უწყობდნენ ხელს. ასევე ყოველგვარ დახმარებას უწევდა აფხაზებს სანდრო ხანდარჯიანი.“ (ტ. 37, გვ. 68)

*მოწმე* – ზარანდია ჯამბული რეზოს ძე (გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი, მშენებლობის ქ. № 31):

„ჩვენ სახლი დაგვიწვეს სომხებმა.“ (ტ. 37, გვ. 153)

*მოწმე* – ბოლქვაძე ალექსანდრე მიხეილის ძე:

„სოხუმში მცხოვრები სომხები ჩვენი მოღალატეები გახდნენ. ისინი აფხაზ სეპარატისტებს ეხმარებოდნენ ყოველნაირად, რითაც შეეძლოთ. როცა ქართველი ხალხი სოხუმიდან გავიდნენ, სომხები უძღვებოდნენ წინ აფხაზ ხალხს და უჩვენებდნენ იმათ სახლებს, ვინც გვარდიაში იყვნენ და წვავდნენ და დარჩენილებს კი კლავდნენ.“ (ტ. 37, გვ. 163)

*მოწმე* – კუხალაშვილი შურა ალექსანდრეს ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. წებელდა):

„ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ და ქართველებს ახოცინებდნენ ვალოდია გრიგორიანი, გრიშიკი მინასიანი. სოფ. წებელდის გამცემი და ქართველების იქიდან გამომსახლებელი იყო მარკოზი თოფჩიანი, ისიც სომეხი ეროვნების. იგი იყო წებელდის შტაბის უფროსი და გვაწიოკებდა ქართველებს. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რომ სომხებმა გააუპატიურეს ჩემი მეზობელი გ. ნ., რომელიც შემდეგ დაწვეს ცოცხლად ტყეში.“ (ტ. 37, გვ. 164)

*მოწმე* – ცქვიტაია მარინა ვასილის ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

„მე ვმუშაობდი დრანდის საგამომძიებლო იზოლატორში. ვარ მოწმე, თუ როგორ ეპყრობოდნენ ქართველები აფხაზი ეროვნების ტყვეებს. ომის დაწყების პირველი დღიდან ჩვენ იზოლატორში იმყოფებოდნენ ტყვეები, როგორც აფხაზი ეროვნების, ასევე სომხები, რუსები, ჩეჩნები. ტყვეებს ვუწევდით სამედიცინო დახმარებას, თუ ისინი ამას საჭიროებდნენ. იმყოფებოდნენ მედპერსონალის ყურადღების ქვეშ. ჰქონდათ სამჯერადი კვება, ისევე როგორც პატიმრებს." (ტ. 37, გვ. 180)

*მოწმე* – ლუკავა ვალიდა დავითის ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. დრანდა):

„ჩემს სახლში პირველად შემოვიდნენ სომეხი ბოევიკები, როგორც თავიანთ თავს უწოდებდნენ, ბაგრამიანის ბატალიონის წევრები. უფრო მეტად სომხები იყვნენ ახალციხიდან. ეს მე გავიგე ჩვენი მეზობელი რუსი ეროვნების ქალისგან. მას ერქვა მარინა. გვარი არ მახსოვს." (ტ. 37, გვ. 251)

*მოწმე* – სხულუხია თამარი თედოს ასული (დაბ. 1929 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. წებელდა):

„...მოგახსენებთ, რომ ჩვენ სულ სახლში ვიყავით. ადგილობრივ მეზობელ სომხებს საჭმელი მოჰქონდათ, მაგრამ სომხები უკრძალავდნენ. მახსოვს, ამბობდნენ, რომ გაგრის ბატალიონის სომხები იყვნენ ჩვენ სოფელში მძარცველები და მკვლელები." (ტ. 37, გვ. 35)

*მოწმე* – ჭელიძე ეთერი თედოს ასული (დაბ. 1926 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. დრანდა):

„...60-70 ქართველი... დრანდის ციხესთან ახლოს თამაზ თოლორდავას სახლში სომეხ მეომრებს გაუხსნიათ შტაბი და გაუკეთებიათ გზაზე პიკეტი. ხალხი ჩვენ ყველა ჩამოგვსვეს ავტობუსიდან და ყველას შემოწმება დაიწყეს. ამ დროს მე და ჩემმა შვილი რეზო ჭედია გავიქეცით და დავიმალეთ ტყეში. ვინც მათ, სომხებს, ჩაუვარდათ ხელში, ყველა უწამებიათ და

ქალები გაუუპატიურებიათ სომხებს. მთელი ღამე იქ ყოლიათ ყველა სომხებს. ჩემი მეუღლე იყო სახლში, ხოლო ჩვენ ვიმალებოდით ტყეში. ჩემი მეუღლის მკვლელობის შემდეგ ჩემი ბიჭი მოელაპარაკა მეზობელ სომეხს რაფიკი კესიანს, რუსული სკოლის მასწავლებელს დრანდაში, რომელსაც შევუგროვეთ ფული და ოქროები ძალიან ბევრი და ორი ავტობუსით 17 ოქტომბერს იქ კესიანმა ჩვენ გამოგვაყოლა თავისი ხალხი, რომლებმაც მოგვაცილეს ენგურის ხიდამდე. იქიდან კი თბილისში ჩამოვედით." (ტ. 37, გვ. 9)

*მოწმე* – ბერულავა ვახტანგი ერგინეს ძე (დაბ. 1929 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. განახლება):

„...სოფ. განახლებაში 1993 წლის 1 ოქტომბერს შემოვიდნენ შეიარაღებული აფხაზები და სომხები და იმ დღეს ვინც ნახეს ქართველი სოფელში, ყველა დახოცეს. ჩვენ ამ დროს 18 დღე ვიმალებოდით ტყეში. აფხაზებმა და სომხებმა ამ დროს მოკლეს ზურაბ დავითის ძე ბერულავა 48 წლის, ცაავა ვალერი ვასილის ძე 45 წლის, მიქავა ხოჩო ილიას ძე, დაბ. 1931 წ. მათ დაიწყეს ოჯახების ძარცვა და სახლების დაწვა. მათ ცოცხლად დაწვეს სახლში გოგოხია ილია 75 წლის. მათ დახოცეს 25-მდე ქართველი.

...მე ვიცი ჩვენი მეზობლები, მძარცველები, ძირითადად სომხები – მხითარიანი ჟორიკ ალბერტის ძე, რომელმაც გაძარცვა თოლორდავა დავითის, თოლორდავა შალვას, ელოშვილი ამირანის და სხვების ოჯახები.

კირაკოსიანი რაფიკი ლუდვიგის ძემ გაძარცვა ვეკუა იროდი პეტრეს ძეს ოჯახი, ვეკუა ბორისი იროდის ძის, ვეკუა ნუგზარი იროდის ძის და სხვების ოჯახები. მძარცველები იყვნენ ასლანიანი ანდრო არმენაკის ძე – მეტსახელად პუშკინი; კალენჯიანი ვაგანი ვაგრამის ძე, ოვაკისიანი ტომოჯ მანუკის ძე, ოლოიანი ანდრეი, ტოპოლიანი იშხანი არუთიუნის ძე, რომლებმაც გაქურდეს მიშა და ილუშა ბერულავების სახლები; ქურდიანც სუმბაათი სტეფანეს ძემ გაქურდა იუზა რობაქიძის, ვაჟა რობაქიძის, ნუნუკა კვირკველიას სახლები. ასლანიანმა რიფსიმემ წამართვა ცხენი, კონდაქჩიანმა აიკუშმა წამართვა ტრაქტორი. კონდაქჩიანი აიკუშის ოჯახში ასევე ვნახე ჩემი ხალიჩები.

...მინდა აღვნიშნო, რომ ყველაზე პირწავარდნილი მძარცველი იყო ასლანიანი არდაში მესროპის ძე, რომელმაც გაძარცვა ამირანი ეჯია-

შვილის, თოლორდავა ნელის და სხვა მეზობლების ოჯახები, წაიყვანა მათი პირუტყვი." (ტ. 61. გვ. 3-13)

*მოწმე* – ხარბედია რიმა გიორგის ასული (დაბ. 1947 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. მაჭარა):

„...ჩემი დედამთილი და მამამთილი 1993 წლის 3 ოქტომბერს პირდაპირ თავიანთი სახლის ერთ ოთახში მოუკლავთ სომხებს... ისინი ჩემი დის მულს შონია ალექსანდრა ერმალოზის ასულს დაუსაფლავებია უკანა ეზოში.

...უნდა აღვნიშნო, რომ სოფ. ახალსოფელში აფხაზებისა და სომხების მიერ მოკლული არიან 60-ზე მეტი კაცი, გადამწვარია სახლები." (ტ. 61, გვ. 27-28)

*მოწმე* – ღვინჯილია ლამზირა ვახტანგის ასული (დაბ. 1952 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. განახლება):

„...დედაჩემმა ზუსტად იცის, რომ ძირითადად მკვლელები და მძარცველები ჩვენ სოფელში ყოფილან ჩვენი მეზობლები, ეროვნებით სომხები, ძმები ჩამიანები." (ტ. 61, გვ. 58)

*მოწმე* – გვარამია ტარიელ სევერიანის ძე (დაბ. 1954 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. მერხეული):

„...ბორის ბერულავას მეუღლემ და მისმა დამ ფოთოლა ბერულავამ და სხვებმა შემატყობინეს, რომ გულრიფშის რაიონის სოფ. ზემო ფშაფში შეიარაღებული აფხაზები და სომხები შემოსულან 29 სექტემბერს, 1993 წელს და იმ დღესვე მათ დაუწყიათ ადგილობრივი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წამება და ხოცვა. მათ დაუხოცავთ უამრავი ქართველები. მათ შორის ბორის იოსების ძე ბერულავა, 33 წლის." (ტ. 61, გვ. 73)

*მოწმე* – ხურცილავა ნაზიკო პლატონის ასული (დაბ. 1951 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. წებელდა):

„...1993 წ. 5-6 ოქტომბერს მე ერთ-ერთმა აფხაზმა მკითხა, სადაური ხარო. მე მას ვუპასუხე, რომ ვარ სოფელ წებელდიდან. აფხაზმა მითხრა:

— წებელდაში სპეციალურად გავაგზავნეთ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი იმისათვის, რომ წებელდაში არ დაეტოვებინათ ცოცხალი არავინ. სპეციალურად იმ ბატალიონში არიან სომხები და ჩეჩნები. მეტწილად სომხები არიანო. ამას მეუბნებოდა აფხაზი გუდაუთიდან, გვარად აძლეიბა." (ტ. 61, გვ. 75-76)

*მოწმე* — კვარაცხელია ციალა მამანტის ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. მერხეული):

„...მამაჩემის ბიძაშვილი ვაჟა ალექსანდრეს ძე კვარაცხელია ჩვენი წამოსვლის შემდეგ თავის სახლში ცოცხლად იქნა დამწვარი სომხების მიერ." (ტ. 61, გვ. 80)

*მოწმე* — სამუშია ნატო იონას ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

„...1993 წლის 29 სექტემბერს, როცა ყველამ დავტოვეთ, სოფელში დარჩენილებს შემოესია სომხების ბატალიონი, დაუწვავთ ჩვენი სახლი, ჩაუხოციათ იქ დარჩენილი ბავშვები და ქალები, თუ ხანდაზმული ადამიანები. მაგალითად დაგისახელებთ რამდენიმეს: ხუტა სამუშია და მისი მეუღლე რაისა გოგუა, ბოჩია და ლეილა სამუშიები, ლუბა ჩემია თავისი პატარა შვილიშვილებით." (ტ. 61, გვ. 4)

*მოწმე* — ჩიტაია გულნარა ნიკოლოზის ასული (გულრიფშის რაიონი, სოფ. მაჭარა):

„...ამ სოფელში მცხოვრები ისაკი ოგანიანს შეუფარებია ქართველები. ეს გაუგიათ გუდაუთელ სომხებს და მოუკლავთ ოგანიანი (დაბ. 1928 წ.)" (ტ. 61, გვ. 1-2)

*მოწმე* — ტორჩინავა ზაირა აპოლონის ასული (დაბ. 1952, გულრიფშის რაიონი, სოფ. მაჭარა):

მოწმე ყვება, რომ 1993 წ. 27 სექტემბერს წასულა სოფ. ფშაფში. „...1993 წ. 1 ოქტომბერს სამი სომეხი ბოევიკიდან ერთერთმა ბებიაჩემს შენგელია ეკატერინე სისოს ასულს (დაბ. 1909) კისერზე მიაბჯინა ავტომატი და ესროლა და მოკლა.

1993 წლის 26 ოქტომბერს სომეხი ბოევიკების მიერ მოკლული იქნა სამუშია აპოლონ ანდრიას ძე, დაბ. 1926 წ., სამუშია ეთერი აბრამის ასული, დაბ. 1984 წ." (ტ. 61)

*მოწმე* – ვეკუა მელიტონი ალექსის ძე (დაბ. 1930 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. მერხეული):

„...1993 წლის 29 სექტემბერს დილის 10 საათზე სოფელ მერხეულში შემოვიდნენ ბოევიკები. ძირითადად ისინი იყვნენ სომეხი ბოევიკები. ისინი თავის თავს უწოდებდნენ ბაგრამიანის ბატალიონის მეომრებს. ამას ადასტურებდნენ პირადობის მოწმობით. სოფელი ააწიოკეს, დაწვეს ქართველების სახლები." (ტ. 61, გვ. 152-153)

*მოწმე* – ბერაია თემური ვლადიმერის ძე (დაბ. 1955 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. წებელდა):

„...1993 წლის 29 სექტემბერს წებელდაში მოქმედებდა სომეხ ბოევიკთა და მკვლელთა ჯგუფი. მას მეთაურობდა სომეხი ბაგორი ქივორის ძე თოფჩიანი. თოფჩიანმა სოჭიდან (იქ ცხოვრობდა) მოიყვანა მკვლელთა და მძარცველთა ჯგუფი 80-100 კაცის შემადგენლობით. ამავე ჯგუფში შედიოდნენ ადგილობრივი სომხები – ოვიკი თოფჩიანი, ალიკ თოფჩიანი, ნერსიკი ედიკის ძე დანელიანი. ეს იყო ბაგარი ფოთჩიანის მოადგილე. ამ ჯგუფმა მოკლა უშანგი კუხალაშვილი 65 წლის, ჯღარკუ ლაშხია 60 წლის, ვალიკო ნერსესიანი და ელიშე დანელიანი. ამ ორ სომეხს წაუყენეს ბრალდება, ქართველებს შინ რატომ ინახავდითო.

ვალიკო კაილაჯიანმა და ანდრეი კაილაჯიანმა მითხრეს: – 1993 წ. 13 ოქტომბერს, დილის 11 საათზე სასაფლაოზე მოუკლავთ შენი და და დედა ორ სომეხს და ერთ აფხაზსო. ეს მკვლელები ყოფილან დაბა განთიადიდან." (ტ. 61, გვ. 46)

*მოწმე* – კვარაცხელია ავთანდილი არტემის ძე (დაბ. 1944 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. განახლება):

„...ქართველი მოსახლეობა პირწმინდად გაძარცვეს სომეხმა ბოევიკებმა, სოფ. ფშაფში მცხოვრებმა ასლანიანმა ანდრეიმ, მეტსახელით

„პუშკინამ“. მან 15 სატვირთო მანქანით გაიტანა ნაძარცვი.“ (ტ. 61, გვ. 71)

*მოწმე* – შენგელია-შონია გულნაზი ბაგრატის ასული (დაბ. 1951 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. დრანდა):

„...შემიძლია ამოვიცნო, რომლებმაც გაიტაცეს დები დ...ები და გააუპატიურეს. ესენია სომეხი ეროვნების ბოევიკები.“ (ტ. 61, გვ. 10)

*მოწმე* – სამუშია ზაზა ვლადიმერის ძე (დაბ. 1976 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. გულრიფში):

„...ბიცოლამ, ნადია ნესტორის ასულმა მე მაცნობა, რომ მამაჩემის უშუალო მკვლელია ჩვენი მეზობელი, ეროვნებით სომეხი, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ლაბრიდან, ვინმე კარაპეტა, მეტსახელად „შიროკი“. (ტ. 61, გვ. 21)

*იგივე მოწმე* – „ჩვენ ყველაფერს ვხედავდით ტყიდან. გადაწვეს სახლები. ჩვენ თვალწინ დაწვეს ოცამდე სახლი. რაც ქონება იყო, უძრავ-მოძრავი, გაზიდეს სომხებმა (ადგილობრივმა სომხებმა). წინ გაირეკეს პირუტყვი. გაანადგურეს სოფელი.“ (გაზ. „არჩევანი“, 1994, აგვისტო-სექტემბერი)

*მოწმე* – ბაღათურია რიტა დავითის ასული (დაბ. 1964 წ., გულრიფშის რაიონი):

„...ბერძენი ანასტასიადი იანგო სავას ძე იყო ქართული ორიენტაციის. ანასტასიადმა გვითხრა, მამაჩემი ჩვენივე სახლში მოუკლავთ ვიღაც სომხებს. მან განაცხადა, რომ მამაჩემის მკვლელებს ის არ იცნობს.“ (ტ. 61, გვ. 9)

*მოწმე* – ლეთოდიანი ჯემალი ალექსანდრეს ძე (დაბ. 1958 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ. კელასური):

„...ჩემი მეორე ბიძა ვლადიმერ ლეთოდიანი ამჟამად ცხოვრობს ქ. რუსთავში, რუსთაველის ქ. 37. ის ცხოვრობდა გულრიფშის რაიონის

სოფ. ოქტომბერში, სადაც მას თვალწინ სომხებმა დაუხოცეს მეუღლე — მორგოშია თინა 50 წლის, მისი და — ლეთოდიანი-ქობალია ლიზა 68 წლის, ინვალიდი დისშვილი — ქობალია თალიკო 36 წლის, მამაჩემის ბიძის მეუღლე — კალანდია ოლია 75 წლის.

...ისინი, ვინც დახოცეს ბიძაჩემის სახლში, ყველა ჩამწვარია სახლშივე, რომლისთვისაც მკვლელებს წაუკიდებიათ ცეცხლი. დანაშაულის ჩამდენი ერთი მკვლელი ყოფილა სოფელ წებელდიდან. მას იცნობს ჩემი ბიძა ვლადიმერი გვარით და სახელით." (ტ. 61. გვ. 297-299)

*მოწმე* — დანელიალილი ზაურის ასული (დაბ. 1979 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ დრანდა):

„...დედაჩემმა შემატყობინა, რომ მამაჩემი 1993 წლის 2 ოქტომბერს მოუკლავს სომეხს ჩვენივე სახლში და ის დედაჩემს დაუსაფლავებია ჩვენივე ეზოში. ერთი წლის შემდეგ დრანდიდან გამოვიდა ჩვენი დრანდელი მეზობელი თალიკო ფაცია, რომელმაც შეგვატყობინა, რომ ჩვენი ბერძენი ეროვნების მეზობლებს მამაჩემი გადაუსაფლავებიათ დრანდის სასაფლაოზე, პურსაცხობის ზემოთ, დედამისის გვერდით." (ტ. 61. გვ. 314-315)

*მოწმე* — ქვარცხავა ჯემალი კონდრატეს ძე (დაბ. 1908, გულრიფშის რაიონი, სოფ. მერხეული):

„...მე გადამიყვანა თავის ოჯახში მეზობელმა სომეხმა არდუშ ლევონის ძე ხოჯიკიანმა, რომელმაც მომიარა და გამომიყვანა მძიმე მდგომარეობიდან. 1993 წლის 28 სექტემბერს ჩემი მეზობელი მებონია ნუგზარი ჯოტოს ძე, 70 წლის, დასაფლავებულია თავისსავე ეზოში მეზობელი სომეხი კნუსუზიანი რაფიკო გასპარის ძის მიერ, რომელიც მუშაობდა მერხეულის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად." (ტ. 61, გვ. 342-343)

*მოწმე* — ბენდელიანი ბორისი შალვას ძე (გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

„...სამი ქართველი ჩვენი ოთახიდან სომეხმა გაიყვანა თავის ოთახში. ერთმა სომეხმა მებრძოლმა მკითხა გვარი. მე დავმალე ჩემი და დავასახელე

მეგრული გვარი (ჩემი მეუღლის). მან დაცინვა დამიწყო მეგრული კილოთი და წიხლი მომარტყა თავში, მერე კონდახი მითავაზა ისევე თავში. ორ რუს მეომარს უთხრა, ფანჯრიდან გადააგდეთო. მერე არაყი გადაკრა და უთხრა, წვალებით უნდა ამოვხადო სულიო, ჯერ ადრეა, არ მოკლათო. მე ამევსო მოთმინების ფიალა და ჩემი ხელით შემოვიხიე ტანსაცმელი და ვუთხარი, მესროლე-მეთქი, მომკალით... დამტოვეს..." (გაზ. „არჩევანი", 1994, აგვისტო-სექტემბერი)

*მოწმე* — გელანტია ნარგიზა ჯუჯუს ასული (დაბ. 1959, გულრიფშის რ-ნი, სოფ. მაჭარა):

„ჩემმა შვილმა და ბუთბამ შემატყობინეს, რომ 18 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე დედაჩემთან მოსულან სამი შეიარაღებული სომეხი, რომლებიც, როგორც ვარაუდობდნენ, იყვნენ გულრიფშის რაიონის სოფ. განახლებიდან, ჩვენი მეზობლის კესიანი როზან ანდრანიკის ძეს, რომელიც ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა მძღოლად, ნაცნობები. მათ მოუკლავთ პირდაპირ დედაჩემის სახლში ჩემი მეუღლე, დედაჩემი და ჩვენი ორი მეზობელი დიდიშვილი ვლადიმერი ვლადიმერის ძე 60 წლის და და დიდიშვილი ანგელინა ვლადიმერის ასული 50 წლის. მათი მკვლელობის შემდეგ მათ მკვლელებს წაუკიდებიათ სახლზე და მოკლულების გვამები სახლთან ერთად ჩამწვარა ისე, რომ არავითარი ნარჩენი მათგან არ დარჩენილა. მკვლელებს ასევე უნდოდათ ჩემი შვილის მოკვლა. უსვრიათ მასზე, მაგრამ ბავშვი ჩამალულა მაცივარში და გამოსულა იქიდან მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მკვლელებმა მოუკიდეს სახლს და წავიდნენ. მეზობელ ბუთბას ჩემი ბავშვი დაუმალავს თავის ოჯახში და გადაურჩენია ასე." (ტ. 37., გვ. 300-302)

*მოწმე* — შამათავა ზალიკო ბიქტორის ძე (დაბ. 1934, გულრიფშის რ-ნი, სოფ. აზანთა):

„1993 წლის 5 ოქტომბერს ჩვენთან აზანთაში ამოვიდნენ სომხები, 7 კაცი წებელდიდან ავაკის შვილთან ერთად. ის არის სომეხი, ცხოვრობს ყადაში. აი, სწორედ მისი შვილი იყო იმ 7-კაციანი

შეიარაღებული ჯგუფის რიგებში, რომელიც შემოვიდა ჩვენთან პირველად. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვინმე კარპო, ეროვნებით სომეხი, გაგრიდან. ის რომ გაგრიდან იყო, ჩვენ გვითხრეს აზანთაში მცხოვრებმა სომხებმა რაზმი ინლუზიანმა და უსტიანი ანიამ. როგორც კი შემოვიდნენ ისინი, დაიწყეს სროლა და აშკარად ძარცვა. ჩვენგან წაიღეს საბნები, ტანსაცმელი და წაიყვანეს გივი ბარკალაიას ა/მანქანა ვაზ 32106. გივი ბარკალაიამ მათ თხოვა, რომ არ წაეყვანათ მანქანა, რაზეც უპასუხეს, რომ გაჩუმებულიყო, თორემ ეხლავე მიაკლავდნენ იქვე. ყველა ისინი იყვნენ შეიარაღებული ავტომატებით და გრანატმტყორცნებით. ჩვენი სახლის გაძარცვისა და მანქანის წაყვანის შემდეგ ისინი წავიდნენ. მეორე დღეს ჩვენთან დილის 7 საათზე დაბრუნდა კარპოს ჯგუფი 8 კაცის შემადგენლობით. აზანთელი ავაკის შვილიც იყო ამ ჯგუფთან ერთად. თვითონ ცხოვრობდა გულრიფშის რაიონის სოფ. ფშაფში. როგორც კი შემოვიდა კარპოს ჯგუფი, ესროლეს ჩვენ სახლს გრანატმტყორცნი ორჯერ, რის შედეგად სახლის სახურავი მთლიანად იქნა გადახსნილი. იმ დღესვე მათ ჩვენ ყველა ქალებ-ბავშვებიანად დაგვაწვინეს ჩვენი სახლის ეზოში პირაღმა. ამ დროისათვის აზანთაში შემოვიდა მეორე, ავტომატებით შეიარაღებული სომეხთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა წებელდელი ვალიკო ნერსესიანი. როგორც კი ისინი შემოვიდნენ ჩვენთან ვალიკო ნერსესიანის ჯგუფიდან ერთ-ერთმა შაქრო კოპალიანს ჰკითხა, სადაური ხარო. აქვე იყო შაქროს ოჯახის ყველა წარმომადგენელი. მათ შორის დედა და ბავშვებიც. ასევე ამას ვუყურებდით ყველა იქ მყოფნი. შაქრო კოპალიანმა მას უპასუხა, რომ ის არის გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულიდან. როგორც კი ეს განაცხადა შაქრომ, იმავე დროს იმ პირმა თავიდან შეეკითხა მას, სადაური ხარო, ესროლა მას კარაბინიდან და პირდაპირ გაუხვრიტა თავი, რის შედეგად შაქრო იქვე გარდაიცვალა. როდესაც იმ მკვლელს შეეკითხეს, რატომ მოკალიო, უპასუხა, რომ „ხოში მქონდა ასეთიო და მოვკალიო." იმ დღეს ამ ორმა ჯგუფმა, რომელიც იყო კარპოს ხელმძღვანელობით, გაძარცვეა ჩვენი და მახიას ოჯახი. წაიღეს ყველაფერი სატვირთო მანქანით, რომლებიც ეკუთვნოდა

ზელიმი დგებუაძეს. ამჟამად ზელიმი დგებუაძე არის თბილისში და მას შეუძლია მისცეს ჩვენება. როდესაც მიმდინარეობდა ძარცვა, ამავე დროს სომხებს გაუპატიურებიათ უკვე მკვდარი შ.-ს და მისი ძმის ცოლები, ასევე მ. და სხვები. როდესაც გაამზადეს ყველაფერი წასაღებად, შ.-ს მკვლელმა მოკიდა ხელი მ.-ს და წაიყვანა თან. ის იქ სადღაც ყოლია მკვლელს 15 დღე და შემდეგ წაუყვანია გაგრაში. ამჟამად მ. არის სენაკში და თვითონ შეუძლია ჩვენების მიცემა. შაქრო კოპალიანი ჩვენ დავასაფლავეთ ჩვენივე სახლის ეზოში. კუბოც გავუკეთეთ. მე მინდა ვთქვა, რომ ადგილობრივი აზანთის სომხები ჩვენ გვიწევდნენ თანაგრძნობას და ტიროდნენ ჩვენი წამების მხილველები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ არავითარი შესაძლებლობა აღდგომოდნენ მათ. კარპოს ჯგუფმა ჩემგან წაიყვანა 30 სული ძროხა, 100 თხა. ადგილზე დაკლეს ორი ღორი. ქათმები და ყველანაირი შინაური ფრინველები დაკლეს. ერთი სიტყვით, არ დაუტოვებიათ არავითარი ქონება ჩვენთვის. მე ასევე წამართვეს 30 მილიონი კუპონი, მაგრამ მათ ეს თანხა დაუტოვებიათ ჩვენი მეზობელი სერგეის ოჯახში, რომლის შვილმა მეს ის თანხა დამიბრუნა. მინდა აღვნიშნო, რომ კარპოს ჯგუფს ეხმარებოდა ძარცვაში სოფელ ყანდას მცხოვრები სომხის სახელად ავაკის შვილი. ყველანაირი ნაძარცვი მათ მიჰქონდათ ავაკის ოჯახში და იქ აგროვებდნენ. შემდეგ კი გაჰქონდათ სოხუმის მიმართულებით. მე მქონდა იქ ტყეში დამალული ავტომატი, რის შესახებ ვუთხარი რაზმიკ იალა-ნუზიანს. მისი ბიჭი ჩვენთან ერთად ომობდა აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ. ამიტომ მე მას გავანდე, რომ თუ მე წავედი, ტყიდან გამოიტანე ის ავტომატი და კარგ ადგილას შეინახე-მეთქი. როგორც ეტყობა მან ამის შესახებ აცნობა კარპოს, რომელმაც მე ავტომატის კონდახი დამარტყა გვერდზე და მიბრძანა, წადი და მოიტანე ავტომატი, თორემ აქვე დაგხვრეტო. მე იძულებული შევიქენი მო-მეტანა და მიმეცა მისთვის ავტომატი. ამის შემდეგ მე კარპომ გამაფრთხილა, რომ ავტომატის შესახებ მე არავისთვის მეთქვა რამე და დაუმატა, ხვალ დილამდე წადი აქედან, თორემ მოგკლავო. ამ დროისათვის იქიდან ყველა წამოსული იყო. იქ დარჩენილი

ვიყავით მე, ჩემი მეუღლე და ზელიმი დგებუაძე, რომელიც იმალებოდა. იმავე ღამეს მე და ჩემი მეუღლე დგებუაძე ზაირა სევერიანის ასული ფეხით წამოვედით აზანთიდან სოხუმში. ეს იყო დაახლოებით 1993 წლის 5 ნოემბერი. ჩვენ ჩამოვედით სოხუმში, სადაც გადავიღამეთ ნაცნობი ბერძნის ოჯახში და იმავე ბერძნის დახმარებით მეორე დღეს ავტობუსით წამოვედით ენგურამდე. ბერძნის სახელი და გვარი არ მახსოვს. ავტობუსში მგზავრობაზე მე და მეუღლეს გადავიხადეთ 25-25 ათასი მანეთი. (ტ. 37, გვ. 276-279)

*მოწმე* — შამათავა ზაირა სევერიანის ასული (დაბ. 1938, დაბა გულრიფში, გეგეჭკორის ქ. 15):

„...1993 წლის 30 სექტემბერს შემოვიდნენ პირამდე შეიარაღებული სომხები და ჩეჩნები. მათ რაც მოეწონათ, ტანსაცმელი და გივი ბარკალაიას ა/მანქანა წაიყვანეს. დანარჩენი არავითარი შეურაცხყოფა იქ მყოფთათვის არ მიუყენებით. იმ დროისათვის აზანთაში იმყოფებოდა ჩვენ ორ სახლში 30-მდე ლტოლვილი აფხაზეთის სხვადასხვა კუთხიდან. მათ შორის ძმები შაქრო და მაკარი კოპალიანები მერხეულიდან თავიანთი ოჯახის წევრებით და მათ შორის დედით. 3-4 დღის შემდეგ ჩვენთან დაბრუნდა წინათ მოსული ჯგუფის წევრები და მათ მიმატებული სხვები, დაახლოებით 50 კაცამდე შეიარაღებული სომხები. მათ შორის წებელდელი ვალიკო ნერსესიანი და გულრიფშის რაიონის სოფელ ყადაში მცხოვრები სომეხი ეროვნების ავაკის შვილი, რომლის სახელი მე ამჟამად არ მახსოვს. ჯგუფს ხელმძღვანელობდა სომეხი ეროვნების გაგრელი კარაპეტი, რომელსაც როგორც მეტსახელს ეძახდნენ კარპოს. ისინი შემოსვლისთანავე მოგვადგნენ ყვირილით და გინებით, ისროდნენ ყველანაირი იარაღიდან, მათ შორის გრანატმტყორცნებიდან, რომლითაც ჩვენი სახლის სახურავი პირდაპირ გადახადეს სახლს ნახევრად და შემდეგ საღამოს გაძარცვევს ის პირწმინდად, რის შემდეგ წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს. ხოლო მანამ კი ყველა მამაკაცი, დაახლოებით 15 კაცი გამოიყვანეს ეზოში და დააწვინეს პირდაღმა. ახალგაზრდა ქალები და საერთოდ ქალები შეგვდენეს სახლში და იქიდან გამოარჩიეს

ახალგაზრდა ქალები, რომლებიც გაყავდათ, აუპატიურებდნენ. მათ გააუპატიურეს დ. მ., შ. და მ. კ.-ების ცოლები. იმის შემდეგ კი თვითონ შ. კ. იქნა მოკლული მაშინ, როდესაც ის სხვებთან ერთად იწვა პირდაღმა ეზოში. მისი მკვლელი იყო ის სომეხი, რომელმაც გააუპატიურა დ. მ. და შემდეგ ის წაიყვანა გაგრაში, სადაც იმყოფებოდა რამდენიმე დღე.

ჩვენი სახლიდან გაიტანეს ყველანაირი სიმდიდრე, დაწყებული ავეჯიდან, დამთავრებული თეთრეულით. წაიყვანეს სატვირთო მანქანა მაზი, მსუბუქი მანქანა გაზ-24, ვაზ2121, წაიყვანეს შაქრო კოპალიანის მანქანა ვაზ 21. ისინი ეძებდნენ ჩემ ძმას ზელიმი სევერიანის ძე დგებუაძეს, რომლის მოკვლაც უნდოდათ, მაგრამ ჩემი ძმა იმალებოდა ტყეში და ვერ მიაკვლიეს მას. იმ დღესვე ჩვენ ყველანი გაგვაფრთხილეს, რომ დაგვეცალა სოფელი და წავსულიყავით საქართველოში, რადგან ვიყავით ქართველები და აფხაზეთში არ იყო ჩვენი ადგილი. მე და ჩემმა მეუღლემ შევაფარეთ თავი იმ ღამეს რაზმიკ იალუზიანის ოჯახში. ხოლო მეორე დილით სომხები უთენია წავიდნენ იქიდან. ამის შემდეგ ჩვენ 20 დღე ვცხოვრობდით მეზობლის რაზმიკ იალუზიანის ოჯახში, სადაც შემდეგ მოგვაგნო კარპომ და დაგვიწყო ფულისა და ოქროს გამოძალვა, მაგრამ რადგან არ გვქონდა, ჩემი მეუღლე იძულებული იქნა მიეცა მისთვის ავტომატი, რის შემდეგ მოგვცეს წამოსვლის უფლება და გაჭირვებით მოვაღწიეთ ზუგდიდში.

შეკითხვაზე გიპასუხებთ, რომ კარპო თვითონ იყო საშუალო ტანის, საშუალო არც მსუქანი და არც სუსტი, ჭრელი ეშმაკური თვალებით, სახე წითური, მრგვალი პირით, აპრეხილი წითურიქერა ულვაშებით და წვერით. კეხიანი საშუალო ცხვირით. ავაკის ბიჭი იყო დიდი, მაღალი, მსუქანი, შავი ულვაშებით, შავი დიდი თვალებით, შავი ხუჭუჭთმიანი, მსხვილი სწორი ცხვირით, მაღალი ტანის. ჩვენ რომ გადმოვედით აზანთიდან ჩემი ძმა ზელიმი დგებუაძე დარჩა იქ აზანთაში. გამოვიდა იქიდან ჩემი ძმა 1994 წლის აპრილში და ამჟამად იმყოფება თბილისში.“ (ტ. 37, გვ. 267-269)

*მოწმე* — კვარაცხელია ინდიკო თედორეს ძე (დაბ. 1932, გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

,,...ჩვენ სოფელში 1993 წლის 29 სექტემბერს შემოვიდნენ შეიარაღებული სომხები და იმ დღესვე დაიწყეს ქართველების სახლების გაძარცვა, დაწვა და ქართველების დარბევა. შემოსვლის დღესვე, 29 სექტემბერს, სომხებმა მოკლეს ჩვენი მეზობელი ვალერი კვაშილავა 40 წლის, ცატა გეგეჭკორი 70 წლის, ცატა გეგეჭკორის ცოლის ძმა გულრიფშის რაიონის სოფელ ლათიდან კვარაცხელია, რომლის სახელი არ მახსოვს, 70 წლის, მაშო ჩიქოვანი 80 წლის, მაშოს რძალი ნანული ჩიქოვანი, 55 წლის, დაკლეს თავისი მეუღლის სასაფლაოზე; ვლადიმერ სხულუხია 80 წლის, ბიჭიკო ლატარია 60 წლის და მისი ძმა გივი ლატარია 55 წლის, ვალერი სამუშია 65 წლის; სოხუმის რაიონის სოფელ შრომიდან და-ძმა ქეთო ბებია 70 წლის და რევაზ ბებია 68 წლის, ლიდა სამუშია ზემო ფშაფიდან მოკლეს თავისი ძმის, სამუშია მიშიკოს ოჯახში; თინა ჩემია 70 წლის, ლუბა ჩემია 70 წლის, გ. ჟ. 40 წლის, მისი გოგოები — ლ. ჟ. 14 წლის, ლ. ჟ. 13 წლის. ისინი სამივე გააუპატიურეს სომხებმა და ჩეჩნებმა და შემდეგ მოკლეს სამუშია მოგელის ოჯახში. ამავე ოჯახში მოკლული იქნა 29 სექტემბერს 15 კაცი — ვლადიმერ სამუშია 55 წლის, მისი და ლუნა სამუშია 65 წლის, ლეილა სამუშია 38 წლის, სამუშია ხუტა 67 წლის და მისი მეუღლე რაია სამუშაო 60 წლის. იმ ოჯახში ასევე იყო 2 ქალი სოხუმიდან, რომელთა გვარი და სახელი არ ვიცი. ისინი მოკლეს; მურმან წურწუმია 43 წლის, მისი ბიჭი წურწუმია გია 9 წლის; მისი სიმამრი სოხუმის რაიონის სოფელ აკაფიდან მიხეილ გოგუა 70 წლის. შონია ჟორას ოჯახში მოკლეს გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარიდან 2 კაცი — ცოლ-ქმარი 80-70 წლის. ქარდავა შოთა თავისვე ეზოში მოკლეს. ის იყო 80 წლის. მისი შვილი დავით ქარდავა 50 წლის, ტარასი დარსანია 80 წლის, მისი შვილი კუკური დარსანია 50 წლის, შალვა კვარაცხელია 65 წლის, გედევან ჩხეტიანი 65 წლის; გედევან ჩხეტიანის ოჯახში ასევე მოკლეს კაცი 60-65 წლის, სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშიდან 3 და ერთი

დრანდიდან. მათი გვარები და სახელები არ ვიცი. აპოლონ სამუშია 70 წლის და მისი ცოლი ეთერ სამუშია 65 წლის, ისა იზმაილოვი 60 წლის აზერბაიჯანელი. მე როდესაც გადმოვედი აფხაზეთიდან, ფშაფში დარჩნენ ჩემი მეუღლე კვარაცხელია გულნარა ერმინეს ასული და შვილი კვარაცხელია მარინა, დაბადებული 1962 წელს, რომელიც მძიმედ დაიჭრა ბაბუშერას აეროპორტზე მისი დაბომბვის დროს, 20 სექტემბერს და იძულებული გახდა დარჩენილიყო სახლში. ჩემი ცოლი და ის დარჩნენ სახლში. 1995 წელს სოფ. ფშაფიდან გადმოვიდა ჩემი მეუღლე, რომელმაც შემატყობინა, რომ 1995 წლის 18 მაისს ჩვენი მეზობლის, ეროვნებით სომეხს კაბასაქალიან ალბერტ ერვანდის ძეს მოუკლავს თოფით გოგო.“ (ტ. 37. გვ. 333-335)

*მოწმე* — კვარაცხელია გულნარა ერმილეს ასული (დაბ. 1939, გულრიფშის რაიონი, სოფ მერხეული):

„...1995 წლის 18 მაისს ღამის 2 საათზე სომეხმა მეზობელმა კაბასაქალიანმა ალბერტ ერვანდის ძემ თოფით მომიკლა ჩემი ქალიშვილი კვარაცხელია მარინა ინდიკოს ასული, დაბადებული 1962 წელს. ჩვენ მოგვივარდა ჩვენი მეზობლის გვარად ახსილბა უჯუშის, ეროვნებით აფხაზის, ოჯახში, სადაც ჩვენ ვაფარებდით თავს. კაბასაქალიანი ჩვენ თოფით მოგვივარდა ახსილბას ოჯახში და საწოლში ესროლა პირდაპირ თავში ცალფა ტყვია. როდესაც თოფი დაუმიზნა მან რუსულად წაილაპარაკა: „შენ კიდევ უნდა დაბადო ქართველი ბოევიკი, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ იბრძოლებსო?“ და ესროლა პირდაპირ საფეთქელში. მკვლელთან ერთად იყო კიდევ ორი სომეხი, რომლებიც ასევე თოფებით იყვნენ შეიარაღებულები, მაგრამ მათ მე არ ვცნობდი და ვერც ალვწერ, რადგან იყო სიბნელე. ოჯახის პატრონი უჯუში ასეთი მკვლელობის შემდეგ გაედევნა მკვლელს უკან. მეორე დღეს მითხრა, რომ მან მკვლელობის შესახებ განაცხადა მილიციაში, მაგრამ არც მოსულან, არც პროკურატურიდან არავინ მოსულა და ჩემზე არაფერი უკითხავთ. მე ახსალბა დამეხმარა შვილის დასაფლავებაში. მესამე დღეს მან მე მირჩია წავსულიყავი აფხაზეთიდან, რადგან სომხებს მეც შეიძლება მოვეკალით. აი, ამიტომ მე 25 მაისს გადმოვედი აფხაზეთიდან.

აფხაზები და სომხები ჩვენ სოფელში შემოვიდნენ 1993 წლის 29 სექტემბერს და იმავე დღეს დაიწყეს ქართველების ხოცვა, მათი ქონების ძარცვა და სახლების გადაწვა. ჩვენ სოფელში იყო 90 მოსახლე, ამჟამად 90-ვე სახლი გადამწვარია... სახლების გადაწვაში და ჩვენი მეზობლების მკვლელობაში სხვებთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას ჩვენი მეზობელი სომხები მარკოსიანი სურენი 67 წლის, სამხედრო პირი, კაბასაქალიანი ალბერტი ერვანდის ძე, მარქარიანი არტური ალბერტის ძე, ათულიანი ბენიკოს ბიჭი. მათ მიერ მოკლულია ბებია რევაზი და მისი და ბებია ქეთო, 68 და 70 წლის; მამა-შვილი ტარასი და კუკური დარსანიები მათ მოკლეს და შემდეგ სახლშივე გამოწვეს ისინი. ყველაფერ უბედურებას სოფელში ხელმძღვანელობდნენ ლაბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აველიანი არდაში და ჩვენი მეზობელი მარკოსიანი სურენი. არდაშ აველიანი იყო შტაბის უფროსი, ხოლო მარკოსიანი სურენი მისი მოადგილე. ყველა მკვლელობას და სახლების დაწვას ისინი ხელმძღვანელობდნენ. ისინი ასევე ხელმძღვანელობდნენ ძარცვას. კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კანტორასთან აწყობდნენ ნაძარცვს, რითაც შემდეგ ტვირთავდნენ დიდ მანქანებს, რომლებიც მიემართებოდნენ სოხუმის მიმართულებით... ჩემი სახლიდან ქონება თავისი ტრაქტორით გადაიტანა თავის სახლში სომეხმა სახელად გიქორიმ, რომელიც ცხოვრობდა ჩემი სახლიდან სამ კილომეტრზე. ასევე ძარცვავდა სხვა სახლებს ჩვენი მეზობელი მარტიროსიანი რაზმიკა...

ჩვენი სოფლიდან საერთოდ არ დარჩა არც ერთი ქართველი. ვინც მოასწრო გაქცევა, წავიდა, ვინც იქ დარჩა, ყველა დახოცეს... (ტ. 37, გვ. 335-338)

*მოწმე* — ქვარცხავა გვადი ჯემალის ძე (დაბ. 1967, გულრიფშის რაიონი, სოფ. მერხეული):

„...მე ვიცი ბევრი ფაქტი მკვლელობებისა და ძარცვისა, ასევე სახლების გადაწვისა, რასაც სჩადიოდნენ სომხები, ლაბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აველიანი არდაში არუტუნის ძის ხელმძღვანელობით...

აველიანის მითითებით ბაბუაჩემის ბორია კვარაცხელიას სახლში შეკრიბეს სომხებმა თითქმის 70 კაცამდე ქართველი იმ მიზნით, თითქოსდა მათ გადაიყვანდნენ ზუგდიდში. ხალხი იქ შეიკრიბა ყველაფრით, ე.ი. ყველანაირი ქონებით და შემდეგ მიგზავნეს შეიარაღებული სომხები, რომლებმაც ყველანაირი ქონება წაართვეს, ხოლო ერთი 16 წლის გოგო, ქართველი, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, გააუპატიურა 6-მა სომეხმა. ის გოგო დაიცვა რუსი ეროვნების ქალმა, რომელიც ცემეს სომხებმა. გაუპატიურებული გოგო წაიყვანეს სადღაც. ამის შემდეგ ის გოგო იქ არავის უნახავს... ჯგუფი იყო არდაში აველიანის მიერ მოგზავნილი. მე ასევე ვიცი, რომ სომხებმა მოკლეს ჩხეტიანი გედევანი, შალიკო კვარაცხელია, კიკი ქარცხავა და მეოთხე ვიღაც სოხუმელი 50 წლის. ისინი მოკლეს 7 ოქტომბერს. ოთხივე მოკლულები შეყარეს გედევან ჩხეტიანის სახლში, რომელსაც შემდეგ წაუკიდეს და ყველა გვამი იქ ამოიწვა. მე ასევე ვიცი, რომ მოკლეს მამა-შვილი კუკური და ტარასი დარსალიები თავიანთ სახლშივე, რომელსაც წაუკიდეს და ამოწვეს ისინი. ასევე 14 ოქტომბერს მოკლეს სომხური სკოლის გვერდით სოფელ მიასნიკოვიდან გიორგაძე. სომხებმა თქვეს, რომ მისი შვილები ომობდნენ აფხაზების წინააღმდეგ. მერხეულელი ქართველების სახლებს წვავდნენ აფხაზები, ხოლო ფშაფში სომხები." (ტ. 37; გვ. 339-340).

*მოწმე* — სიჭინავა ეთერი ალექსანდრეს ასული (დაბ. 1942, გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

„...მეშვიდე კლასის მოსწავლე, რომლის სახელი მე ამჟამად არ მახსოვს, დახვრიტეს მისივე სახლის აივანზე. ე. ჟ. და მისი მეშვიდე კლასელი და დახვრეტამდე გაუუპატიურებიათ. მკვლელები და მოძალადეები ყოფილან სომხები, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრადან. მათ ეხმარებოდათ ჩვენი მეზობელი სომხები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენი სახლის წინ, გვარად გასპარიანები. კერძოდ, გასპარიანის ცოლის დისშვილი ყოფილა ის, რომელიც ყველაზე მეტად აგრესიული იყო მკვლელებს შორის...

ჩვენთან მოსულან აფხაზები და საუბარში გარკვეულა, რომ ჩვენ და ისინი ვიყავით ნათესაურ კავშირში, ამიტომაც რაიმე ცუდი ჩვენი ნათესავების მიმართ არ ჩაუდენიათ. პირიქით, უთქვამთ, რომ ჩვენებს არავინ ხელს არ ახლებს და დამშვიდობების წინ მიუციათ ჩვენებისთვის იმედი, რომ ყველაფერი იქნებოდა კარგად. აფხაზებს შორის იმ დროს ყოფილა ერთი სომეხი, რომელსაც არ მოეწონა თურმე ის ფაქტი, რომ აფხაზები მეგობრულ-ნათესაურად მოექცნენ ჩვენებს და ნაწყენი ამით გაქცეულა გაბრაზებული იმ აფხაზების ჯგუფიდან იმავე დღეს. სწორედ ამ სომეხს მოუყვანია მეორე დღეს მკვლელთა სომეხი ეროვნების ჯგუფი, რამდენიმე კაცის შემადგენლობით, რომლებსაც დაუხოციათ ჩვენები ტყვიამფრქვევით..." (ტ. 37, გვ. 209-211)

*მოწმე* — ახალაია რაული მელიტონის ძე (დაბ. 1954, გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

„...1993 წლის 30 სექტემბერს ჩვენ სოფელში მოვიდნენ ჩვენი რაიონის სოფელ შაუმიანოვკის შეიარაღებული სომხები, რომლებმაც დაიწყეს იმავე დღეს ქართველების ხოცვა-ჟლეტა და ოჯახების ძარცვა. იმავე დღეს შაუმიანოვკის მცხოვრებმა გვარად მაზმანიანმა არდაშმა, რომელიც მუშაობდა გულრიფშის რაიონის მილიციაში, მკვლელი გამოუგზავნა ჩვენ მეზობელ ხუტა ნესტორის ძე ბოკუჩავას, რომელიც იყო 80 წლის. ის მოკლეს იმავე ღამეს, ე.ი. 30 სექტემბერს, რადგან ის ცხოვრობდა ჩვენი სოფლისა და შაუმიანოვკის საზღვარზე და ხედავდა ყველაფერს, თუ ვინ იყო მძარცველი სომხებიდან. აი, სწორედ იმ მიზნით, რომ არ დარჩენილიყო როგორც მოწმე მაზმანიან არდაშმა გაუკეთა ორგანიზაცია მის მკვლელობას. ხუტა ბოკუჩავა მკვლელობის შემდეგ ჩაწვეს მისივე სახლში... ჩვენ სოფელში მოკლეს მებონია ვახტანგის სახლში მებონია ლილი 70 წლის, მებონია იზო, მებონია მავრა 60 წლის და ნაჭყებია ნელი 55 წლის. მკვლელები იქ ამოსულან მანქანით დრანდიდან სამი მამაკაცი და ერთი ქალი ყველა ახალგაზრდები. ვარაუდობენ, რომ ისინი იყვნენ სომხები."
(ტ. 37, გვ. 291-292)

*მოწმე* — სამუშია დომენტი იოსების ძე (დაბ. 1931, გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშაფი):

„...1993 წლის 30 სექტემბერს შემოვიდნენ შეიარაღებული სომხები, რომლებმაც იმავე დღეს დაიწყეს ქართველების ხოცვა და ოჯახების ძარცვა, შემდეგ სახლების დაწვა. როგორც კი შემოვიდნენ იმავე დღეს მოკლეს ვალერიან სამუშია დაბადებული 1930 წელს, სოხუმის რაიონის სოფელ შრომიდან ჩამოსული იური გადილია 55 წლის, ჭუჭუ ზარანდია 75 წლის ქალი, ვალოდია სამუშია 50 წლის, მისი და ლენა სამუშია 65 წლის, ხუტა სამუშია 65 წლის, ლამარა სამუშია 30 წლის, მისი და ლეილა სამუშია 32 წლის, თინა ჩემია 70 წლის, ლუბა ჩემიას ოჯახის წევრები: თვით ლუბა ჩემია 70 წლის, მისი ქალიშვილი და მისი 2 შვილიშვილი, გოგოები; კატია სამუშია 80 წლის, მისი შვილი აბული სამუშია 67 წლის, მისი ცოლი ეთერი სამუშია 65 წლის, მურმან წურწუმია 45 წლის, მისი შვილი — ბიჭი 8-9 წლის, შოთა ქარდავა 70 წლის, მისი შვილი ლავეხი ქარდავა 45 წლის, ტარასი დარსალია 75 წლის და მისი შვილი კუკური დარსალია 55 წლის, შალიკო კვარაცხელია 60 წლის, გედევანი ჩხეტიანი 70 წლის, არველოდი არქანია 70 წლის, მისი რძალი 40 წლის, შოთა წურწუმია 70 წლის, მისი ცოლი ლილი წურწუმია 70 წლის, გუგული წურწუმია 43 წლის კაცი, მისი მეუღლე 40 წლის ქალი, აჩიკო ბებია 44 წლის, მუშნი შელია 66 წლის, შალიკო მირცხულავა 68 წლის, ოთარი კალანდია 64 წლის, ვალერი კვაშილავა 64 წლის, მოხუცი ქალი მიშიკო ჩიქოვანი 90 წლის, მისი რძალი ნუნუ 50 წლის, ჯალაღონია 70 წლის, მისი ცოლი ეროვნებით ბერძენი 65 წლის, ლადი სუდურია 55 წლის, ბიჭიკო ლატარია 50 წლის, მისი ძმა გივი ლატარია 49 წლის. ბევრი მათგანი დასაფლავებულია თავიანთ ეზოებში კუბოს გარეშე, ხოლო ნაწილი ჩაიწვა თავიანთ სახლებში. მაგალითად კუკური დარსალია და მისი მამა, მუშნი შელია, ვალერი აფშილავა და მასთან ერთად კიდევ 2 კაცი, რომლებსაც მე არ ვიცნობდი. ჩვენ სოფელში ცხოვრობდა 50-მდე ოჯახი. ამჟამად იქ გადამწვარია ყველა სახლი...

მე ასევე ვიცი, რომ ჩვენ სოფელში მოკლულია და და ძმა ქეთო ბებია 70 წლის და მისი ძმა რევაზ ბებია 68 წლის. ისინი მოკლა ჩვენმა თანასოფლელმა ეროვნებით სომეხმა, რომელიც ცხოვრობდა ჩვენი სახლის საპირისპიროდ გორაზე და დაახლოებით ნახევარ კილომეტრში. მის მამას ჰქვია ალბერტი, რომლის გვარი იცის სამუშიამ. ის და მასთან ერთად მკვლელი ჩვენი მეზობელი სომხები დადიოდნენ დანებით და იარაღით — ცეცხლსასროლით და გაიძახოდნენ, სისხლი გვინდაო. როდესაც მე შევატყვე, რომ ქართველებს ცოცხლებს არ ტოვებენ, იძულებული ვიქენი 1993 წლის 15 ოქტომბერს სხვებთან ერთად, დაახლოებით 60 კაცთან ერთად, გამომიყვანეს სომხებმა ენგურამდე. ჩვენ წამოსასვლელად გამზადებულები სომხებმა შეგვიყვანეს ფშაფის სომხურ სკოლაში, სადაც ვიყავით სამ დღეზე მეტი, სადაც სომხებმა წაგვართვეს ყველაფერი, თუ რამე ვინმეს თან ჰქონდა, გააუპატიურეს თითქმის ყველა ახალგაზრდა ქალი. ყველა ქალებს დედიშობილა ატიტვლებდნენ და ეძებდნენ ოქროებს. ვინც ახალგაზრდა იყო აუპატიურებდნენ, მაგრამ მე არ მინდა დავასახელო მათი გვარები. ეს დამამცირებელია. გაგვძარცვა ჩვენმა მეზობელმა სომხებმა, გვარი არ მახსოვს... მინდა აღვნიშნო, რომ სომხებმა მოკლეს გიორგაძე სოფელ მიასნიკოვიდან, რომელიც მე თვითონ დავმარხე ჩვენი სოფლის სასაფლაოზე, პირდაპირ შესასვლელი ჭიშკრის წინ. აქვე იყო დამარხული პატარა ბავშვები, იქვე ეყარა პატარა ბავშვების ტანსაცმელები და სათამაშოები. ჩვენთან ერთად იყო დასაფლავების დროს სომეხი, რომელიც ცხოვრობს სომხური სკოლის წინ, გვარი და სახელი არ ვიცი. ის იყო ზედამხედველი გიორგაძის დასაფლავების დროს. ჩემთან ერთად იყო კირთაძე ალიოშა, ხუხა ლატარია და სამუშია რომანი. სომეხი ჩვენ, ასე ვთქვათ, გვიცავდა იმ მიზნით, რომ გიორგაძის დამარხვის დროს ჩვენ არ მოვეკალით, რადგან ქართველებს ვინც ასაფლავებდა, მათ კლავდნენ. გიორგაძის დამარხვა მოხდა იმ დროს, როდესაც ჩვენ ყველა მეზობლები ვიმყოფებოდით სომხური სკოლის შენობაში და გამზადებული ვიყავით აქეთ წამოსასვლელად. აი, მაშინ მოვიდნენ ჩვენთან სომხები და გვიბრძანეს

გამოვსულიყავით და დაგვემარხა გიორგაძე. თვითონ მათ არ ეკადრებოდათ ქართველის დამარხვა." (ტ. 37, გვ. 302-305)

*მოწმე* — რობაქიძე ჯემალი ალექსანდრეს ძე (დაბ. 1954 წ., გულრიფშის რაიონი, სოფ განახლება):

„...1993 წლის 30 ოქტომბერს შეგვატყობინეს, რომ 1993 წლის 30 სექტემბერს ჩემი დედ-მამა მოუკლავთ სომეხი ეროვნების ჩვენ მეზობლებს ძმებს იურიკი, მესორი ჩემიანებს. იურიკი ჩემიანი ხელმძღვანელობდა გუდაუთის დაჯგუფების სომხების ბანდიტების და მკვლელების ჯგუფს. დედ-მამა მოკლულია პირადად იურიკი ჩემიანის მიერ ჩვენივე სახლის ეზოში, წამებით. დედაჩემზე იურიკ ჩემიანს სამ სხვა სომეხ ბანდიტებთან ერთად მოუმტვრევია ორივე ფეხები ავტომატის ჯერით და სიცილ-ხარხარი ჰქონიათ, როდესაც ის დაეცა მიწაზე, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ დედაჩემი უკვე გამხდარა ღონემიხდილად და არ შენაძლება კივილი და მერე მათ უსვრიათ ავტომატი პირდაპირ მკერდში და ასე მოუკლავთ ის. დედაჩემის წამების ყურებისა და სიკვდილს შემდეგ იურიკ ჩემიანს და სხვებს მოუკლავთ მამაჩემი. ე.ი. მამა და დედა მოკლული არიან მხოლოდ სომეხი ეროვნების მკვლელების მიერ. იურიკი იოსების ძე ჩემიანი არის 35 წლის, ხოლო მისი ძმა მესორიკი იოსების ძე ჩემიანი 42 წლის. მესორიკი ჩემიანი იყო სოფელ განახლების კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. იური ჩემიანი მუშაობდა სოხუმში, მაგრამ რა სპეციალობის და თანამდებობით, მე არ ვიცი. იურიკი და მესორიკი ჩემიანების ოჯახი შედგება 12 ძმისაგან. მისი ძმა რაფიკი ჩემიანი დრანდის ციხეში იქნა მოკლული რამდენიმე წლის წინათ თვით პატიმრის მიერ. იურიკი ჩემიანის ჯგუფს, გარდა ჩემი დედ-მამისა, მოუკლავს ნოდარ გიორგის ძე რაფავა 50 წლის, პარმენ რაფავა დაბადებული 1910 წელს, მისი ცოლი ვალია რაფავა დაბადებული 1914 წელს, და მათი შვილი რაისა რაფავა 47 წლის. მე ვიცი ასევე, რომ აფხაზების მიერ ჩვენ სოფელში მოკლულია ჟორა ჩოფლიანი 50 წლის, ვახტანგ ლეინჯილია 70 წლის და სხვები, რომელთა რიცხვი 100 აღწევს." (ტ. 37, გვ. 59-60)





*მოწმე* – კვანჭიანი ნანული ქიშვარდის ასული (დაბ. 1958 წ., ქ. გაგრა):

„...ჩვენ გამოსვლა ვერ მოვასწარით. ჩვენ – მე და ჩემი ერთი ბიჭი გაცვლილი ვიქენით სხვა აფხაზ ტყვეებზე... აგრეთვე ჩემი დედამთილი, რომელიც ბინაში დარჩა, თავს დაესხა სომხებისა და აფხაზთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა არდაშა, მგონი კალდახეშიანი უნდა იყვეს. იგი ცხოვრობდა ალახაძეში, პუშკინის ქუჩაზე 12 ან 13-ში. მათ უნდოდათ ბინა წაერთმიათ. უარი რომ მიიღეს, დედამთილი და ჩემი შვილი ადგილზე მოკლეს. ისინი დამარხული იქნენ ჩემი მეუღლისა და მეზობლის მიერ...

სოფ. ბზიფში მცხოვრებ მარი ხვისტანის ოჯახს თავს დაესხა აფხაზებისა და სომხების ჯგუფი, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს ეკატერინე ხვისტანი, თამილა კიკვიძე – 70 წლის, ხოლო მისი მეუღლე გივი კიკვიძე წაიყვანეს მძევლად და მის შესახებ დღემდე არაფერი იციან... ასევე ხდებოდა ახალგაზრდა გოგოების გაუპატიურება. ქართველების მიმართ აფხაზები და სომხები ყოველგვარ სიბინძურეს სჩადიოდნენ.“ (ტ. 31, გვ. 147).

*მოწმე* – რეხვიაშვილი ვენერა ალექსანდრეს ასული (დაბ. 1934 წ., ქ. გაგრა, ვაჟა-ფშაველას ქ. №151):

„აფხაზ სეპარატისტებს გვერდში ედგნენ და ეხმარებოდნენ ყოველნაირად ჩეჩნები, სომხები და სხვ. გაგრის სტადიონზე შერეკეს ქართველი ხალხი და ყველანაირად აწამებდნენ, თავებს ჭრიდნენ, შემდეგ ამ ადამიანების თავებით ბურთს თამაშობდნენ.“ (ტ. 51, გვ. 28-29).

*მოწმე* – ჩალიჩავა ტარიელ ვალიკოს ძე (დაბ. 1939 წ., ქ. გაგრა, გუდაუთის ქ. № 15):

„ქართველთა დარბევა-აწიოკებაში აფხაზებთან ერთად მონაწილეობდნენ კაზაკები, ჩეჩნები. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირ-

ჩეოდნენ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები. აფხაზ სეპარატისტებში აქტიურობდა და ხელმძღვანელი როლით გამოირჩეოდნენ ბზიფის სკოლის დირექტორი გვარად ბენია, რომელმაც შემდგომში გვარი გადაიკეთა კიხირბად.“ (ტ. 51, გვ. 71).

*მოწმე* — მუშკუდიანი იზა შოთას ასული (დაბ. 1964 წ., გაგრა, სოფ. ბზიფი):

„ჩვენი სოფლის მცხოვრები სომხები აფხაზების გვერდით იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ. სომხებმა ჩვენს ქუჩაზე დახვრიტეს ჩვენი სოფლელი ჯოჯუა ლამაზო და ზური ჯოჯუა. ასევე სომხებმა დახოცეს ცოლ-ქმარი პეტია და ნინუშა როგავები, გულია ვაჟა და მისი მეუღლე, რომლის სახელიც არ ვიცი. ამ სომხების სახელისა და გვარის დასახელება არ შემიძლია, ვინაიდან ისინი სხვა ქუჩის მცხოვრებნი იყვნენ. ისე კი ვიცი, რომ ისინი სომხები იყვნენ და მათი ცნობაც შემიძლია.

კოლხიდაში არის სომეხი კაცი ოგანიანი არტინა, მეტსახელად „გამბუზ“. ცხოვრობს კოლხიდაში სატვირთო ატეკის გვერდით, მარცხნივ პირველ სახლში. ეს ოგანიანი არტინა დადიოდა და აჩვენებდა ბოევიკებს — ეს ქართველია, დასახვრეტიაო.

ჩვენი სოფლელი სომეხი ანახასიანი ნოდარი ქივურის ძე კი არის გაგრის ბატალიონის უფროსი. ეს ბატალიონი არის ბაგრამიანის სახელობის. ეს ანახასიანი ნოდარი ცხოვრობს საქართველოს ქ. №18. იგი პირადად ხელმძღვანელობდა ქართველთა დარბევა-აწიოკებასა და დახვრეტას.“ (ტ. 111, გვ. 330 ან 121).

მთხრობელი იმასაც ამბობს, რომ აფხაზები, რომლებიც ჩვენთან კარგად იყვნენ, ფსოუზე გაყვანას გვპირდებოდნენო 100 ათას მანეთად (იქვე, გვ. 330).

*მოწმე* — ღარიბაშვილი მარეხი ვალერიანის ასული (დაბ. 1967 წ., გაგრა, ჟურნალისტი):

„სომხებმა დიდი ფულადი დახმარება გაუწიეს აფხაზებს იარაღის შესყიდვაში. საერთოდ ამ ერს აფხაზეთის ტერიტორიაზე ეჭირათ

ძალიან მერყევი პოზიცია. ებრძოდნენ იმათ, ვისკენაც სასწორი გადაიხრებოდა, თუმცა ბოლმა ქართველების მიმართ ყოველთვის ჰქონდათ." (ტ. 17, გვ. 28).

*იგივე მოწმე* — „ჩვენს ქუჩაზე ძირითადად ვცხოვრობდით ქართველები და სომხები. გვყავდნენ სომეხი მეზობლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ საზოგადოება „მაშტოცში" და გამორიცხული არ არის, რომ „კრუნკშიც". ძალიან დაახლოებული იყვნენ აფხაზ ექსტრემისტთა წრესთან. უწევდნენ ფულად დახმარებას... გაგრაში, ე.წ. ზემო კოლხიდაში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, დამრჩა მამა, რომლის ბედი დღემდე უცნობია. გადამწვარია ჩვენი და ჩემი ნათესავების სახლ-კარი." (ჩაწერილია 13.10.92 წ., იქვე, გვ. 28).

## სოხუმი და სოხუმის რაიონი

*მოწმე* — გოცირიძე ნატო მამანტის ასული (დაბ. 1975 წ., ქ. სოხუმი, კიროვის ქ.):

„1993 წლის 27 სექტემბერს დილით სომხების ბატალიონის ბოევიკებმა მოკლეს ჩემი დედა ეთერი აბრამია, მისი და ზაირა აბრამია და მისი ძმა გიგლა აბრამია, რომლებიც დაესაფლავებინათ რუს მეზობლებს. იმ მკვლელებს მოუკლავთ მზია იზორია-კალანდია — 50 წლის, ჩვენი მეზობელი, მისი მძახალი ქალი, რომლის გვარი და სახელი არ ვიცი და მეზობელი შერო, რომლის ეზოშიც დასაფლავებულია ჩემი დედა, და და მისი ძმა." (ტ. 23, გვ. 20-21).

*მოწმე* — ბერიძე მალვინა ნიკოლოზის ასული (დაბ. 1941, ქ. სოხუმი, ორჯონიკიძის ქ. № 38):

„ქვილითაიას უფროსი ვაჟი მერაბ ქვილითაია მოტყუებით გამოიძახეს ე.წ. სომხების ბატალიონის მებრძოლებმა, ტყვედ აიყვანეს და მისი ადგილსამყოფელი არ ვიცით. გადმოცემით ვიცით, რომ იგი

სომხებმა აწამეს... ჩვენს წინააღმდეგ მონაწილეობდა აფხაზების გარდა სომხების ბატალიონი, ე.წ. „ბაგრამიანის ბატალიონი." (ჩაწერილია 21.04.1994 წ. ტ. 23, გვ. 53).

აფხაზეთის ა/რ სოცუზრუნველყოფის მინისტრის შალვა მოსეს ძე წულეისკირის (დაბ. 1936 წ.) მოწმობით აფხაზეთში სომეხთა ჩამოსახლება განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 1954-1981 წლებში (ტ.23, გვ. 69).

*მოწმე* — გვარამია გია ალექსის ძე (დაბ. 1957 წ., სოხუმის რაიონი, სოფ. გუმისთა, რუსთაველის ქ. 34):

„მამის მკვლელები ჩვენ ვიპოვეთ. მკვლელები იყვნენ 1 სომეხი, 2 ჩეჩენი და 4 აფხაზი. ისინი გავანადგურეთ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის დროს." (ტ.25, გვ. 148).

*მოწმე* — ბირკაია ანზორ პეტრეს ძე (დაბ. 1941 წ., ქ. სოხუმი, ჭოჭუას ქ. 58, ბ. 48):

„...მე მინახია ძიძარიას ქუჩაზე ყველა ქართველების ოჯახში რამდენიმე მკვდარი, რომელთა დამსაფლავებელი არავინ იყო. უფრო მეტად ქართველების — მშვიდობიანი ქართველების ხოცვაში თავი გამოიჩინეს როგორც ადგილდობრივმა, ასევე ჩამოსულმა სომხებმა. როგორც ვიცით, მკვლელთა რიცხვში იყო სომეხთა ექვსი ბატალიონი. ისინი საერთოდ არავის არ ინდობდნენ." (ტ. 27, გვ. 24)

*მოწმე* — მაისაია თეიმურაზი პლატონის ძე (დაბ. 1951 წ., ქ. სოხუმი, მეორე ბზიფის შესახვევი):

„...მე ვიცი, რომ სატრანსპორტო მილიციის მუშაკი ემირი შონია მოკლეს სომხებმა. მაგრამ მკვლელობამდე მან მოასწრო ორი სომხის მოკვლა." (ტ. 27, გვ. 27).

*მოწმე* — ჯიმშელეიშვილი ნუგზარი ვარლამის ძე (დაბ. 1959 წ., ქ. სოხუმი, კუხალეიშვილის ქ. 73):





„...1993 წ. 28 სექტემბერს ჩამოვედი თბილისში. 3 ოქტომბერს ჩვენ დაგვირეკა ჩემმა ცოლის დამ იზორია ნანა მეთოდის ასულმა ზუგდიდიდან და შემატყობინა, რომ ქ. სოხუმში ჩემი სიდედრის სახლში, კიროვის ქ. 70ბ ნოემბერში სომეხ ბოევიკებს წამებით მოუკლავთ ჩემი დედა ფიფია ბაბუცა იოსების ასული, დაბადებული 1937 წელს, ჩემი სიდედრი კალანდია მზია ილარიონის ასული, დაბადებული 1936 წელს. ასევე ჩვენი მეზობელი აბრამია ეთერი და მისი და აბრამია ზაირა და მაგათი ძმა აბრამია, სახელი არ მახსოვს. ის ყველაფერი საშინელება უნახია ჩემ ცოლის დას იზორია ნანა მეთოდეს ასულს, რომელიც მე ენახე ზუგდიდში 15 ოქტომბერს.

ნანა იზორიას მოუხერხებია გარეთ დამალვა, იქვე, ახლოს. იქ ესმოდა, როგორ აწამეს, როგორ წამებით კლავდნენ ზემოჩამოთვლილ პირებს." (ტ. 27, გვ. 228)

*მოწმე* — აფხაზავა რევაზი მიხეილის ძე (დაბ., 1947 წ., სოხუმი, ეშბას ქუჩა 191, ბ. 8):

„...ვიმალებოდი სოფ. ფშაფში, შაუმიანის ქ. № 14. მე ვიცი, რომ ჩვენთან მოვიდნენ სომხები, რომლებმაც ყველაფერი წაიღეს სახლიდან 29 სექტემბერს (1993 წ.) და მოკლეს მეზობლები სიორდია ოთარი 60 წლის და მისი მეუღლე სიორდია დომნა იყო ასევე 60 წლამდე, სიორდია გივი 60 წლის, ოჩიგავა რეზო 60 წლის" (ტ. 27, გვ. 228)

*მოწმე* — კენტელაძე ვაჟა ომარის ძე (დაბ. 1971 წ., სამხედრო პოლიციელი — სპეცდანიშნულების რაზმი):

„...სოხუმში, შამბას ქუჩაზე მცხოვრები ქართველებისგან გავიგე, რომ სომეხი მოსახლეობიდანაც ჰქონდა ადგილი ქართველთა მიმართ ღალატს, გაცემის ფაქტებს, როცა ქართველები ტოვებდნენ სოხუმს სომხები ამას სიხარულით და ტაშისკვრით ხვდებოდნენ." (ტ. 28, გვ. 26)

*მოწმე* – ბერაია ლია გურგენის ასული (დაბ. 1972 წ., ქ. სოხუმი, წერეთლის ქ. №54):

„საერთოდ სომხები უფრო სასტიკად იქცეოდნენ, ვიდრე აფხაზები... თვითონ ერთმანეთსაც ერეოდნენ, როცა ვისამე სახლს ან ავეჯს ვერ გაიყოფდნენ. ასე ვერ გაიყვეს მამამთილის სახლი და დაწვეს. ბევრი სახლები დაიწვა ჩვენ სოფელში, სოფ. გუმისთაში." (ტ. 28, გვ. 28)

*მოწმე* – კაცაძე ლიანა შოთას ასული (დაბ. 1960 წ., სოხუმის გაზის აპარატურის ქარხანა).

„...1994 წლის 24 იანვრამდე ვიმყოფებოდი სოხუმში, ჩემ ბინაში...

2 თებერვალს ჩვენთან სახლში მოვიდა მილიციის მუშაკი, ეროვნებით სომეხი, რომელმაც ადრე სხვებთან ერთად გაძარცვა ჩვენი ბინა ჩვენივე თანდასწრებით და მითხრა, რომ ჩემი ქმრის გვამი აგდია აჩაგვარაში მარმარილოს საამქროს შენობაში. ჩემი მეზობლები წავიდნენ იმ ადგილას და მოასვენეს ჩემი მეუღლის გვამი, რომელიც იყო ნაწამები და ნატყვიარი სახის და თავის არეში...

შემდეგ მოვიდა აფხაზი ალიკა, რომელმაც წაგვართვა ხუთოთახიანი ბინის საბუთები და გადასცა ეროვნებით სომეხს, გვარად ასატურიანს, რომელიც იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ და ომში დატოვა ფეხი. ალიკამ გაგვაფრთხილა, ასატურიანმა უნდა იცხოვროს თქვენ ბინაში და თქვენ წადითო." (ტ. 28, გვ. 158)

*მოწმე* – ბერია თაიგული ნოდარის ასული (დაბ. 1968 წ., სოხუმის რაიონის სოფ. გუმისთა, რუსთაველის ქ. 3):

„...1993 წ. ნოემბერში თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენი მეზობლები სიჭინავა ტატაჩო და მისი მეუღლე სიჭინავა ლენა. მე გადმომცეს, რომ მამაჩემი, რომელიც დარჩა ოჯახში, გუმისთაში, 1993 წლის 5 ოქტომბერს მოუკლავთ სომეხი ეროვნების მეზობლებს, მაგრამ მათი გვარები არ ახსოვდათ. შემდეგ იმავე სომეხ მკვლელებს დაუწვავთ მამაჩემის გვამი." (ტ. 28, გვ. 161)

*მოწმე* – გერგედავა ნუნუ რაჟდენის ასული (დაბ. 1955 წ., სოხუმი, ბზიფის 6-ჩიხი, სახლი 6):

„ნაცნობებთან გავიგე, კერძოდ ჭოლარია გენადისაგან, რომ სომხები ასწავლიდნენ მისამართებს, სადაც ცხოვრობდნენ გვარდიელები, რადგან ჩემი ძმა იბრძოდა, დაურბევიათ ჩემი ოჯახი.“ (ტ. 26, გვ. 10)

მოწმე – წურწუმია ეთერი მიხეილის ასული (დაბ. 1932 წ., სოხუმი, ბზიფის გზატკეცილი, 2-6 ჩიხი, სახ. 6):

„გენო ჭოლარიასგან ვიცი, რომ ჩემს მეზობლებს ალექსანდრე დოროხოვს და ლოვა გეჩიანს მიუსწავლებიათ აფხაზი სეპარატის-ტებისათვის ის სახლები, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ და იმ სახლებს ძარცვავდნენ.“ (ტ. 26, გვ. 42).

*მოწმე* – ფოჩხუა ფატიმა ანზორის ასული (დაბ. 1964 წ., ქ. სოხუმი, ბათუმის ქ. 28):

„ჩემს მეზობლად ცხოვრობდა პავლიკ ზოპუნიანი, რომელიც მუშაობდა აფხაზეთის უშიშროების კომიტეტში მძღოლად. ეს პიროვნება აჩვენებდა ქართველებს, რომ მათთან იყო კარგ დამოკიდებულებაში, მაგრამ ამავე დროს პავლიკ ზოპუნიანი შეკრული იყო აფხაზ სეპარატისტებთან და მისი მითითებით სოხუმში ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას აწიოკებდა... სახლების დარბევა და დაწვა.“ (ტ. 26, გვ. 52)

*მოწმე* – მილორავა ტარიელ აპოლონის ძე (დაბ. 1930 წ., სოხუმი, ჭამბას ქ. მეოთხე ჩიხი, 14):

„...1993 წ. 30 სექტემბერს მე მომიკლეს სომეხთა ეროვნების მიერ შემდგარი გაგრის ბატალიონის ბოევიკებმა 30 სექტემბერს მამიდა – მილორავა თამარი ილარიონის ასული, 78 წლის, მისი შვილი ჯაფარიძე ლაურა ბაგრატის ასული, დაბადებული 1941 წელს. ისინი მოკლულები იყვნენ იმის მიზეზით, რომ მათ დაიცვეს გაუპატიურებულ ჯ.-ძე ლაურას შვილები – თამრიკო და ქეთინო ფ.-ები. ქეთო არის 15 წლის, ხოლო თამრიკო 24 წლის. ისინი

ცხოვრობდნენ ქ. სოხუმში, .....-ის ქ. №37. მე ასევე ვიცი, რომ ფშაფში მოკლეს ნოდარი ქვანია 50 წლის, მისი ძმა კალო ქვანია 45 წლის, თოდუა მზია 63 წლის... იმავე სოფელში სომხებმა და აფხაზებმა დაწვეს უამრავი სახლი." (ფშაფში) (ტ. 26, გვ. 39)

*მოწმე* – ჩუბინიძე ვალერი თომას ძე (დაბ. 1946 წ., სოხუმი, არძინბას ქ. №14):

„...ვიმყოფებოდი გულრიფშის რაიონის სოფ. ზემო ფშაფში 1993 წლის 18 ოქტომბრამდე. ვიცი, რომ მოკლული იქნა ოჩამჩირის რაიონის სოფ. ლაბრის სომხების მიერ სოფ. ფშაფის 26 კაცი.

ცოლისძმის რუდიონ საჯაიას გადმოცემით ვიცი, ქ. სოხუმში ასევე სომხებს 29-30 სექტემბერს მოუკლავთ არძინბას ქუჩის მცხოვრები ქარდავა კუკური 60 წლის, ქაჯაია ილუშა 60 წლის. ისინი დამარხული არიან მეზობელი ნაზი მილორავას და სულიკო ჭუჭულაიას მიერ თავიანთ ეზოში." (ტ. 26)

*მოწმე* – კეკუტია დემური ბაგრატის ძე (დაბ. 1946 წ., ქ. სოხუმი, უდანოვის ქ. №5):

ქართველ მეზობლებს მისთვის მოუყოლიათ შემდეგი ამბავი:

„...სომეხი ეროვნების მებრძოლები მივარდნილან ტუტუ ტორჩინავას ძმის ხუნტული ტორჩინავას ოჯახში. ხუნტული ტორჩინავა იყო მწოლიარე ავადმყოფი. ამ უკანასკნელისათვის მაშინვე დანით ყელი გამოუჭრიათ. ეს რომ დაუნახავს ხუნტულის მეუღლეს მადონა ტორჩინავას დაუწყია კივილი. კივილის ხმაზე პოზიციიდან გამოქცეულა ტუტუ ტორჩინავა, რომელსაც მოუკლავს ერთ-ერთი, ხოლო მეორე ჩასაფრებულს ავტომატის ჯერით დაუცხრილავს თვითონ ტუტუ. სროლის ხმაზე მოსულან ქართველი მებრძოლები, მაგრამ სომხები გაქცეულან. ქართველი მებრძოლების წასვლის შემდეგ მოსულან აფხაზთა მხარეს მებრძოლი სომხები, რომლებმაც მოკლეს ტუტუ და ხუნტული ტორჩინავები. მათ სახლისთვის ცეცხლი მოუკიდებიათ. ცეცხლის შედეგად მთლიანად დაიწვა ტორჩინავების სახლი და შიგ ჩაიწვა ხუნტული და ტუტუ ტორჩინავების გვამები." (ტ. 26)

*მოწმე* — ტორჩინავა მადონა შოთას ასული (დაბ. 1952 წ., ქ. სოხუმი, ძიძარიას ქ. №136):

„...ჩვენ მებრძოლებს მოუკლავთ ორი, აფხაზთა მხარეს მებრძოლი, ეროვნებით სომეხი. როგორც აღვნიშნე, ისინი იყვნენ სამნი. ერთი მოკლა ჩემმა მაზლმა, ხოლო ორი კი მოუკლავთ საღამოს. მათი ვინაობა ჩემთვის უცნობია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ისინი იყვნენ მეზობელ ჟორა აზნაურიანის ნათესავები, რადგან ჩემს დანახვაზე შევიდნენ მის ოჯახში.“ (კეკუტიას მიერ მოყოლილი ამბის გაგრძელება არის მადონა ტორჩინავას ჩვენების ბოლო აბზაცი) (ტ. 26. გვ. 161)

*მოწმე* — ტორჩინავა ჟუჟუნა ერასტის ასული (დაბ. 1937 წ., ქ. სოხუმი, ძიძარიას ქ. №4):

„...კითხვაზე გიპასუხებთ, როს ის სამი პიროვნება, რომლებმაც მოკლეს ჩემი მეუღლე და მაზლი (ტუტუ და ხუნტული ტორჩინავები, ი. კეკუტიას და მადონა ტორჩინავას ჩვენება ზემოთ, ბ.ა), იყვნენ ეროვნებით სომხები. როგორც შემდეგ შევიტყვე, ისინი იმ დღეს ყოფილან ჟორა აზნაურიანის სახლში. ერთი ადგილზე მოკლა ჩემმა მეუღლემ, ხოლო ორი კი ღამე მოუკლავთ ჩვენებს და ყოფილან სოხუმელი სომხები.“ (ტ. 26, გვ. 176)

*მოწმე* — თევზაძე ნანა აკაკის ასული (დაბ. 1959 წ., ქ. სოხუმი, ახალი რაიონი, კიერაზის ქ. №16):

„დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ: 1993 წლის 28 ივნისს. დაგვიჭირეს მაჭარის ხიდთან სომხებმა. ალმოგვაჩინეს 14 ადამიანი. გამოგვარჩიეს სამნი და დანარჩენი 11 კაცი და ქალი ავტომატით გაანადგურეს. ჩვენ გვიბრძანეს ის გვამები მეორე მხარეს გადაგვეყვანა. ამასობაში სომხები წავიდნენ და დარჩა ერთი აფხაზი სეპარატისტი, რომელმაც გინებით გვიყვირა, იჩქარეთ და ცოცხლებს გაგიშვებთო. ბოლოს მოხმარებაც დაგვიწყო. მართლაც გვამების გადაყვანა დავამთავრეთ და გაგვიშვა და გვითხრა, წყლით წადითო.“ (ტ. 26, გვ. 198)

*მოწმე* — მუხაშვილი დიმიტრი დავითის ძე (დაბ. 1941, გაგრის ზონა, დაბა ბიჭვინთა, აგრბას ქ. №4):

„...1960 წლიდან 1980 წლამდე როგორც მთელ შავიზღისპირეთში, ისე გაგრის ზონაში მიმდინარეობდა სომეხთა ინტენსიური ჩასახლება. თუმცა ეს პრობლემა უფრო ადრე, მაგრამ სომეხთა დემოგრაფიული ექსპანსია ძირითადად აღნიშნულ პერიოდში დასრულდა. ეს ყველაფერი ქართველ ხელმძღვანელთა რეზოლუციებით და მითითებით ხდებოდა. სომეხთა ჩამოსახლება უფრო ადრე დაიწყო. იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდს უკავშირდება. ეს შემდგომაც არ შეჩერებულა და საბჭოთა კავშირის 70-წლიანი ისტორიის მანძილზე შეუფერხებლად გრძელდებოდა. ერთ-ერთი ფაქტი აღნიშნულია გაზ. „სოფლის ცხოვრების" 1990 წლის 24 ივნისის პუბლიკაციაში „კომისიის მუშაობა ჩაიშალა." (ტ. 26, გვ. 254)

*მოწმე* — ლობჟანიძე სიმა მიხეილის ასული(სოხუმი, ვაჟა-ფშაველას №20):

„მესამე რეიდით მოვიდა სომხების პარტია. ისინი მთლად აგრესიულად იქცეოდნენ. ჯერ იარაღი მომთხოვეს, მერე შვილი სად არისო. ჩემი შვილი რომ გვარდიაში იყო, მეზობელმა სომეხმა გაგვცა — ხაჩატურიანი ნორიკი რუბენის ძე, მეორე მეზობელი — ხარია სამხიანი დიმიტრის ძე შეხვდა აფხაზებს სიმღერით. სომხებმა ჩემ ქმარს დაუწყეს ცემა-გინება. ეს სომხები იყვნენ ათონელები, ჩამოვიდნენ ჟიგულით. სამი რეისი გააკეთეს, იმდენი გაზიდეს ჩვენგან, ჩვენი მეზობლებისგან. ცემეს ჩემი მეუღლე მესამედ. ქართველებს გაგანადგურებთო ამ მიწა-წყალზე. ბოლოს მოვიდნენ აფხაზები დიდი სატვირთო მანქანით. ავეჯიდან დაწყებული ყველაფერი გაზიდეს. ყველა სახლი გაძარცვეს, გარდა ხაჩატურიანისა." (გაზ. „არჩევანი", 1994, აგვისტო-სექტემბერი)

*მოწმე* — ხურცილავა ზინაიდა ბეგლარის ასული:

„...200-მდე აფხაზს წინ მოუძღოდათ ადგილობრივი შეიარაღებული სომხები... მათი ხმაც მესმოდა სასიმინდედან (სადაც და-





მალული ვიყავი), სომეხმა როგორ უთხრა, წაუკიდეთ სახლსო. ხის სახლიდან ორივე გვერდით მდგომ სახლებს წაეკიდა ცეცხლი. სამივე სახლი დაგვეწვა. ორი სახლი ჩემი შვილებისა იყო. უბედურმა ქალმა დავკარგე გონება...

ჩემმა მეზობელმა სომეხმა გამოიყვანა ჩემი ოთხი ძროხა და ორი ხბო. ორ ძროხას შეუბეს რქები, ასე მეორე წყვილსაც. ეს რომ ვნახე, გავიქეცი აფხაზეთის შტაბში და ვუთხარი დამხმარებოდნენ. დაგეხმარებითო, შემპირდნენ და „დამეხმარნენ" კიდეც: ჩამაყენეს ბაწარსა და ბაწარს შუა ძროხებს შორის და დაარტყეს კეტი ძროხებს. ძროხები დატრიალდნენ, კინაღამ ორად გამგლიჯეს. ამ დროს იმ სომეხმა სახელით მომმართა (ვინაიდან ის ჩემი მეზობელი იყო): „ვოტ ტაკ ნადო ზინ-ულია ვამ. მი ვოევალი ვ ოკოპახ ცელი გოდ, ჩტობი ვას...." (გაზ. „არჩევანი?, 1994, აგვისტო-სექტემბერი)

*მოწმე* — მალიშევა მარინე (სოხუმი, ქვ. იაშიხვა):

„იაშიხვაში გრიშა სალიას (86 წლის) და მის მეუღლეს ელიკო კირთაძეს (76 წლის) სომხები მიუხტნენ სახლში, რომელიც ჯერ კიდევ სექტემბერში გაძარცვეს. ამჯერად იმ საბაბით, რომ სერგი საჯაიას ადგილსამყოფელი იციო, არ გვეუბნებითო, სტაცეს და სახლიდან გამოყარეს კინწისკვრით. ხელი მოტეხეს მოხუც ქალს ელიკოს." (გაზ. „არჩევანი", 1994 აგვისტო-სექტემბერი)

## ოჩამჩირის რაიონი

*მოწმე* — ბენდელიანი ზინა გიორგის ასული (დაბ. 1928 წ., ოჩამჩირის რაიონი, სოფ. ახალდაბა):

„ომის პერიოდში ჩვენი სოფლის დაბომბვაში და მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებაში აფხაზებთან ერთად იბრძოდნენ სომეხი ეროვნების მოქალაქეები. ჩვენი სოფლის ყველა მცხოვრები, ვინც ამ დროისათვის დარჩენილი იყო სოფელში, დაახლოებით ოთხასამდე ადამიანი წაიყვანეს სოფ. ათარაში და შეიყვანეს იმავე სოფლის

სკოლის შენობაში. თორმეტი წლის გოგონები გაჰყავდათ და აუპატიურებდნენ. ზოგი უკანაც არ დაუბრუნებიათ...

მთელი სისასტიკით სცემდნენ მამაკაცებს, აწამებდნენ მათ, ხოლო ქალები და ათი-თორმეტი წლის გოგონები გაყავდათ და აუპატიურებდნენ. ასევე წაიყვანეს ჩემი შვილიც, რომელიც აღარ დაბრუნებულა. თუ სად წაიყვანეს და რა ბედი ეწია, ჩემთვის ცნობილი არ არის." (ტ.29, გვ. 98-99)

*მოწმე* — გულუა გურამ დათუშის ძე (დაბ. 1947, ოჩამჩირის რ-ნი, სოფ. კოჩარა):

„ყოველნაირი პრივილეგიები ჰქონდათ აფხაზებსა და სომხებს, ხოლო ქართველები ვიჩაგრებოდით. მოწინააღმდეგის მხარეზე იბრძოდნენ სომხები, აფხაზები, ჩეჩნები, რუსები, კაზაკები." (ტ.29, გვ. 189).

*მოწმე* — ჭაბუკიანი ომარი გიორგის ძე (დაბ. 1955, სოფ. ცაგერა):

„მე ვარ თვითმხილველი, მოწმე და ვადასტურებ, რომ ქართველების წინააღმდეგ გენოციდს ეწეოდნენ როგორც აფხაზები, ისევე დაქირავებული ჩეჩნები, ადიღეელები, კაზაკები, სომხები. აღნიშნული ბოევიკები აწიოკებდნენ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას, უწვავდნენ სახლ-კარს და განურჩევლად წლოვანებისა და სქესისა ხვრეტდნენ ქართველებს ერთადერთი მიზეზით, რომ ისინი იყვნენ ეროვნებით ქართველები" (და ჩამოთვლის მათ მიერ დახვრეტილ ქართველებს. ტ. 29, გვ. 222-223)

## გალის რაიონი

*მოწმე* — დალი ჯუმუტია (ტყვარჩელი):

„საბერიოელი დედაბრები ა... 74 წ., თ... 65 წ, დ... 54 წ. ენგურთან დაიჭირეს სომხებმა და გააუპატიურეს. ისე ძალადობდნენ, ისე დასცინეს და ისეთნაირად აწვალეს, რა არ უქნეს, როგორ არ აუპატიურეს, შემდეგ სცემეს და უგრძნობლად დააგდეს.

საწყლები ძლივს გამოვიდნენ ენგურზე. საავადმყოფოში წაიყვანეს, ძლივს გადაარჩინეს.

* * *

აქვე ნინა დეისაძე გამოასახლეს მისი სახლიდან და შიგ არმავირელი სომეხი შეასახლეს.

* * *

ამ იანვარს იაშიხვას გამგებელი სედრაქ სარიანი სამარადიოროდ ყოფილა ოდიშში, სადაც მოუკლავთ.

* * *

იაშიხვას ქართველთა სიმწრის ოფლით აშენებული ქართულ სკოლაში ამჟამად სომხური სკოლა გაიხსნა, ამდაგვარადვე მოიქცნენ სოფელ თავისუფლებაშიც.

* * *

იაშიხვაში ნ. კ. სომხებმა გააუპატიურეს ჯგუფურად და მოკლეს 1993 წლის დეკემბერში.

* * *

1994 წლის 17 იანვარს გუდავაში რეზო ხაბურზანია და მისი დისშვილი თავის სახლში მოკლეს სომეხ-აფხაზებმა.

* * *

სომხებმა 1994 წლის იანვრის მეორე დეკადაში ოტობაიაში წამებით მოკლეს კაკო პაპავა და 83 წლის მეწისქვილე დომე ქეცბაია, რომლებიც საკუთარ ოჯახებში სურსათის „მოსაპარავად" შეიპარნენ.

* * *

სოფელ ბარღებში სომეხმა ბოევიკებმა, აფხაზელ თანმხლებთან ერთად, მარტო 1993 წლის დეკემბრის ერთ დღეს საეგზეკუციო შემოვლაზე გადაწვეს 97 სახლი.

* * *

ოტობაიაში სომხებმა (დაზარალებულის თხოვნით ვინაობას არ ვასახელებთ) დაიჭირეს 19 წლის ბიჭი, თავის სახლში შეპარული საჭმლისათვის, დაკიდეს თავდაღმა ეზოში, მსხლის ტოტზე, აქანავებდნენ და თან ესროდნენ, ვითომ მოვახვედრებთ თუ არაო. დაჭრილი ძლივს გადაარჩინეს.

* * *

ოტობაიაში სომხებმა მამა-შვილი სიგუები დაიჭირეს, გათოკეს და მერე დანით ყელი გამოსჭრეს.

* * *

29 იანვარს გალის რაიონის ჩაის ფაბრიკის დასახლებაში აფხაზ-არმენმა ბოევიკებმა მოკლეს ძმები ტურავები, როდესაც საკუთარი სახლიდან საჭმელი გამოჰქონდათ.

* * *

1994 წ. 27 იანვარს სოხუმის რაიონის სოფ, აკაფიდან გამოპარული პარტიზანის გურამ ყარამანის ძე ცაავას ცნობით: 29 სექტემბერს წებელდაში არმენებმა მოკლეს აკაფელი პედაგოგი იროდი ფიფია და მისი მეუღლე.

* * *

აკაფელი აფხაზი კაკო ხარაზია, რაც შეუძლია ამავე სოფლელი არმენი მარადიორებისაგან იცავს თავისი ყოფილი მეზობლების სახლკარს.

* * *

აკაფაში მცხოვრები ესტონელები თანასოფლელ არმენ მარადიორებს სთხოვენ არ დაარბიონ ქართველთა ოჯახები.

* * *

არმენი მარადიორების მიერ აკაფა-კელასურისა და ოდიშ-ბესლეთში ნაძარცვი ქონება თავმოყრილია კოლმეურნეობაში „პუტ კ კომუნიზმ“, სადაც თავმჯდომარედ მუშაობდა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი ქართველების მიერ დიდის წვალებით ცატურიანის ნაცვლად დეპუტატად არჩეული მისაკ დეპელიანი.

* * *

1994 წლის 4 თებერვალს გალის რაიონში მოეწყო მორიგი სადამსჯელო ღონისძიებები. შეურაცხყვეს და წამებით მოკლეს რაბი შონია, გალის რაიალმასკომის ყოფილი თავმჯდომარე.

გარდა ამისა, ზემო ბარღებსა და სიდაში აფხაზებმა და არმენმა ბოევიკებმა კონფედერაციელებთან ერთად დატყვევებული ქალები, მოხუცები და უიარაღო მამაკაცები დახვრიტეს.

* * *

1994 წლის 5 თებერვალს გალის რაიონის ზედა ზონის (ლაკადის) სოფლებში: წარჩეს, ბედიას, ოქუმის, ჩხირთულას, მუხერის, ლემურეშის, რეჩხის, საბერიოს, ლეკუხუნის მონაკვეთს ათასზე მეტი ბოევიკით (უპირატესად კაზაკ-არმენები და კონფედერაციელები) ოცამდე მძიმე ტექნიკით ალყა შემოარტყა და დაიწყო ე.წ. „გადავარცხნის“ ოპერაცია.

მოსახლეობა, რომელიც გაიქცა ენგურისაკენ გაღმა გასასვლელად — ჩახოცეს. დანარჩენები შეეხიზნენ მთის ტყეებს, სადაც თოვლის საფარი ერთ მეტრზე მეტია. ხიზნები იხოცებიან ასევე სიცივისაგან და შიმშილისაგან, რადგან თავდასხმის დროს ხალხს თბილად ჩაცმისა და საგზლის მომარაგებისათვის არ ეცალა.

დღეისათვის გაათრებული ბრძოლებია წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავას მისადგომებთან, საითაც დევნილთა ნაწილმა გააღწია და კვალში ჩამდგარი ბოევიკები მოსდევენ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზონის სოფლების თავკაცობასა და გუდაუთური რეჟიმის მესვეურთა შორის ე.წ. სახალხო დიპლომატიის

დონეზე არსებობდა გარიგება, რომლის თანახმად ამ სოფელში მცხოვრებლები მოაწყობდნენ საკუთარი ძალებით პიკეტირებას და დაიცავდნენ თავს მარადიორ-ბაცაცებისაგან. არ დაუშვებდნენ აფსუებთან შეიარაღებულ ანგარიშსწორებას. ეს ასე ხდებოდა. რის საფუძველზეც ამ სოფლებს ხუთასზე მეტი აქაური მოსახლე დაუბრუნდა, მათ შორის ქალი, ბავშვი, მოხუცი.

აფხაზურ მხარეს აქვს ვერაგული მეთოდი, რომელიც აფხაზეთის ომში ყველა ეტაპზე, ყველა ფრონტზე გამოიყენეს.

საქმე იმაშია, რომ საბრძოლო ხაზებზე დაპირისპირებული მხარეები საომარი მოქმედებების მიწყნარების მონაკვეთში ბოევიკები ქართულ მხარესთან ფარისევლურად იწყებდნენ პურ-ღვინითა და პურ-მარილით ქართველ მებრძოლთა კეთილგანწყობის მოპოვებას, არძინბას გინებას, ომის წყევლას და გასაყოფი რა გვაქვსო, ამის ქადაგებას. ადრე ეს მოხდა გაგრაში, გუმისთაზე, კოჩარაში, ბედიაში და სხვაგან.

ხსენებული ზონის სოფლებშიც „ნათლიმამობის" წყალობით მოიხვეჭეს ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესთაგან ნდობა, მით უმეტეს ქართული სატელევიზიო და სხვა საინფორმაციო საშუალებები ქადაგებდნენ ქართული დიპლომატიის გამარჯვებას, რუსული ფაქტორის მოხსნას, 10 თებერვლიდან გალელთა დაბრუნების დაწყებას და სხვა.

სეპარატისტთა მიერ თაფლა-კვერით შეტყუებული უმწეო მოსახლეობის ამ „ნათლიმამობის" ფასად მკვიდრი კაცის უფლებისათვის, როგორც ჩანს, მოსთხოვეს რჯულის დაგმობა, ანუ გააფხაზება, გამეგრელება მაინც უკიდურეს შემთხვევაში.

წააწყდა რა მოსახლეობის არაერთსულოვნებას ამ ქვეგამხედვარე „უმტკივნეულო წინადაცვეთის" მიმართ, რეჟიმის მესვეურებმა გალის რაიონის დანარჩენი მოსახლეობის შესაშინებლად ასეთი მასობრივი გენოციდი მოაწყვეს.

დღეისათვის სამიათასამდე უმწეო ადამიანი განადგურებულია, დანარჩენზე ნადირობა გრძელდება.

* * *

კოდორის ხეობაში დღემდე აღუმართავია აფხაზური პროვოკაციული დროშა. აქაურმა პარტიზანებმა უთანასწორო ბრძოლაში არაერთგზის უკუაგდეს მომხდურები, თავზე გადააფხრიწეს მტერს გარიგების ვერაგული „ფირმანიც“, ძმურად ვიცხოვროთო, ოღონდ ჭუბერთან ჩვენს დროშას აღვმართავთო. ამ გარიგებაში საინტერესო ისაა, რომ ხელგამოღებული არმენი ბოევიკები — „ბაგრამიანელები“ არიან.

სამწუხაროდ არც გუდაუთის რეჟიმი იმტვრევს თავს. დონალდოს თურანის, რუსეთის, არმენიზმის სტრატეგიის გზაშესაყარი, შავი ზღვისპირეთის გამშობლიურება, ე.ი. გააფსუება (09. 02. 94 წ.)

* * *

ნუცა ჩხეირკაიას ინფორმაციები: გალის რაიონი. სოფ. გუდავა

სოფელ გუდავაში 1994 წლის იანვრის შუა რიცხვებში დემიკო სალიას ოჯახს არმენი ბოევიკები დაესხნენ. ამ დროს დემიკო სახლში არ იყო. მისი უფროსი შვილი ბოევიკებმა სკამზე დააკრეს და დედისა და უმცროსი ძმის თვალწინ ნელ-ნელა წამებით სული ამოხადეს. ამის შემდეგ შვილის თვალწინ გაუბედურებული დედა გაუკულმართებულად გააუპატიურეს და დახვრიტეს. უმცროსი შვილი კი თან წაიყვანეს, რომლის გამოსასყიდად დემიკოს სთხოვენ 5 მილიონ რუსულ მანეთს.

* * *

სოფელ ოქუმში დაატყვევეს ბოევიკებმა ცოლ-ქმარი... და მათი არასრულწლოვანი ორი შვილი. ოთხივენი გააუპატიურეს, დედ-მამა ოჩამჩირეში წაიყვანეს, ბავშვები გაიქცნენ, მაგრამ არავინ იცის, საით და არც არავის უნახავს...

სხვათა შორის, ოქუმ-მუჟავას გზაზე ასობით გაუპატიურებული და მოკლელი ქალის გვამი საგანგებოდ საცვლებჩახდილი, შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყრია გამოსაჩენ ადგილებზე.

* * *

14. 02. 94 წელი. დღეს საქართველოს ტელევიზიით თითქმის ორი საათის განმავლობაში პროგრამა „მაცნეს“ შემდეგ გადაიცა ტელელაზღანდარობა „სიყვარულზე“.

ეს მაშინ, როცა ენგურის დათოვლილ და ჩაყინულ ნაპირზე ყველა სავარაუდო ფონს საბედიანოდან ათასობით ფეხშიშველი, სიკვდილს გადარჩენილი, საკუთარი ფუძიდან გამოძევებული, მათ შორის ასობით გაცივებული ბავშვი, შიმშილისაგან და ყინვისაგან დახოცილ ჩვილთა უწყვეტი ალალი მოადგა. მოადგა თავზარდამცემი ცნობებით: გადამწვარია სოფლები, ჩახოცილია ხალხი, გაუპატიურებულია ერი, ალარ არსებობს საბედიანოს ქართველური ხედი, ამავე დროს მძიმე არტილერია და ხელგამოლებული არმენები კოდორის ხეობისაკენ მიიწევენ. საქართველოს ტელევიზიამ არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ დღეს გვანამუსა არმენ-ქართველთა ძმობაზე, რის შემდეგაც, როგორც მოგახსენეთ, მთელი სალამო სიყვარულზე ილაზლანდარა. ბარაქალა, დედომოთქმის უუნარო ერო! (ზაურ აკობია)

* * *

გრძელდება ბაგადაში შეტევა. ჩვენები იგერიებენ. ღუმურიშში მომწამლავი ნივთიერებები უხმარია მტერს. სახლებთან ერთად ადამიანებსაც სწვავენ. მაგალითად, ბარლებში ვინმე კოკაიას 80 წლის მეუღლე დალოგინებული ჰყავდა. ასე მოადგნენ სახლს დასაწვავად, კაზაკ-სომეხი ბოევიკები. მოხუცმა უთხრა, აქ, მეუღლის ლოგინთან ჩამოვჯდები, არ გავალ და ბარემ ასე დაგვწვითო. ოჩენ ხარაშოო და რა გგონიათ? თხოვნა აუსრულეს, კარები ჩაკეტეს და სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ეს ის დღეებია, როცა თბილისი ზეიმობს 23 თებერვალს, წითელი არმიის დღეს, უწმინდესი და უნეტარესი ლოცვა-კურთხევას უგზავნის მათ, ხოლო საესტრადო მუსიკის მოყვარულები ემზადებიან 25-26 თებერვლის არმენული ესტრადის გალა-კონცერტისათვის. როცა ბლოკ სოიუზისაგან, მათ შორის არმენებისაგან, მშიერი და მწყურვალი, რამდენიმე თბილისელ არმენ ჯიბგირსა და ჰარამზადას წაკინკლავებია, და საქართველოს ტელევი-

ზია განგაშს სტეხს, სხვა ერის უფლებები რად ილახებაო საქართველოში.

* * *

ოთხ მარტს სოფელ გუდავაში სადამსჯელო ჯგუფი შემოშლიგინდა. ამჯერადაც „აფხაზ" ლობჟანიძეებს, ტყებუჩაევებს, კაციებს არმენი და კაზაკი ბოევიკები ახვავრიელებდნენ. 65 წლის მ. გ.-ვას გაუპატიურება მოუნდომეს, სიკვდილის პირზე მიიყვანეს ცემით. ნათელა ქარდავს ოქრო მოსთხოვეს. ოქრო არ მაქვს და საქონელი რაცა მყავს, წაიყვანეთო. რას ჰქვია, მყავსო, მყავს სიტყვა კიდევ არ დაგვიწყნიაო და ისევ სცემეს. მიმოზა ბეჟანიას თოკი მოატანინეს, ქართველს (მეგრელს) გვერდით რომ ეწექი, ჩვენს მტერს, თავი ჩამოიკიდეო. შემდეგ განაჩენი შეუცვალეს, ცემას დასჯერდნენ.

ძირძველი გუდაველი რიმა მარღანია, ქმარზე ბოჩია გიგავაზე მგლოვიარე, ლოგინად ჩავარდნილი, „გაასამართლეს". ცოცხლად თავის ლოგინზე დაწვითო ესეც, და წაუკიდეს ცეცხლი. თან გარეთ გავარდნენ საძროხის, სასიმინდის, სამზადის დასაწვავად. სასწაულად ძალმოკრებილი რიმა მარღანია გარეთ გამოვარდა.

და ასე, ამგვარად, მარღანიებს, ემხვარებს, შერვაშიძეებს, ანჩაბაძეებს, ზუხბაიეს, ზვამბაიებს და ა.შ. აფხაზეთის ფესვ-კაკალს უტრიალებდნენ, ვინ იცის, საიდან მოთრეული არმენ-კაზაკობა, ოდესღაც ნალომინაძარი, ნაკაციარი, ნატყებუჩავარი გააფხაზცებული ეთნოშეკოწიწება.

* * *

1994 წლის 6 აგვისტო. ეს მასალა გაზეთისთვის უკვე აწყობილი იყო, როცა ცხუმიდან გამოღწეულმა ვანი არდიამ შეგვატყობინა, რომ ქართველთა ჯერჯერობით ყოფილი სახლების ტრადიციულ აივნებზე ევროპიდან კონვეირული წესით ჩამოსახლებული საბჭოთა გენერლებისა და პოლკოვნიკების მუნდირები ჰკიდია გასამზეურებლად, ხოლო მათი პატრონები იქვე, ეზოში, „გუთნისდედობენ".

ზღვარდაუდები ვერაგობა და ფლიდობა კი ისაა, რომ ნახევარი საათის გადასარბენზე, ქალაქის ზურგში, კოდორის ასკილომეტრიანი, დღემდე ქართული ხეობა, სადაც ათასობით სიცოცხლის ფასად თავი ვერანაირად ვერ შეყო ოკუპანტმა, ამ დღეებში რუსულ „სამშვიდობო" ჩექმას ბარდება ძლიერთა ამა „იმედისა" დასტურით.

რომელი ერთი ვითავისტკივილოთ: აფხაზეთის ომში № ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა, გაგრელმა მეომარმა, ამჟამად დევნილმა, ბატონმა ოთარ აბრახამიამ ხელნაწერები მაჩვენა და მთხოვა გადახედეო. ვნახე პროფესიონალის თვალით შეფასებული აფხაზეთის გასხვისების მეთოდოლოგია, ომის წაგებისათვის გატარებული „ქუდზეკაცური" ღონისძიებები. მაგალითად, 1992 წლის სექტემბერში გაგრაში „ქართული სამხედრო დახლიდან" არმენები მასიურად ყიდულობდნენ სულ რაღაც 50-80 ათას მანეთად ავტომატებს.

არადა, არავის მოსვლია „გოგრაში" (ვითომ?), რომ მანდვე, გვერდით, ასევე დახლთან მდგარ მემწვანილე, არამეომარ ვიღაც ტიგრანასა და სირანუშას ბოსტნის გასათოხნად ან კიტრის ასაწონად არ სჭირდებოდა. მაინც, რაში მოიხმარეს?

ახლახან სოხუმელმა დიასახლისმა, ქალბატონმა ლაურა ჯაიანმა, რომელმაც რასაც ახლა გეტყვით, თავად იწვნია თავის სანათესაოში, მიამბო: აფხაზეთის ანტიხალხური, უკანონო მმართველობის წახალისებით დღემდე საკუთარი ოჯახისათვის თავმიუნებებელ „ჯიუტ" ქართველს თუ მოკლავენ, იმ სახლ-კარს სასწრაფოდ მკვლელს გადაუფორმებენ. მიუხედავად კანცელარიების მოხელეთა „ციბრუტივით ტრიალისა", ასობით ასეთი კომლია ქ. სოხუმსა და რაიონების სახლმმართველობებში ოქტაიზე, იბრაჰიმზე, კაზბეკზე, პეტროვზე, შულგაზე გადასაფორმებელი. მათ მარაქაშია ჩვენთვის ნაცნობი „კეთილმეზობელი" ტიგრანაცა და სირანუშაც.

აქვე უნდა შევეხმიანო მიხეილ ჩაჩუას. მისი მძახალიც, აფხაზეთში დაფასებული, ძირძველი 70 წლის გიგლა ძიძიგური, გულრიფშში ზედ საკუთარ ჭიშკართან ასეთი მიზნით მოკლა მომხვდურმა.

ამ დღეებში ილორიდან გამოპარულ ტატიანა მერკელიას კი ორი კვირის წინ ერთ დღეს მოკლულ სამ ძმაზე ძაძები აცვია...

მაგრამ ყველაზე სათავზარო იცით რაა? ამგვარად რომ „იფორმებს ჯინჯოლიას ნაჯაფს დეინდეოლიად ქცეული ჯინჯი (ჯინჯი – ფესვი, აქ ფუძის კაცის მნიშვნელობით).

*სერგი საჯაია, „დღეები ცხედართა უხმო კივილისა“,*
*გაზ. „არჩევანი“ 1994 წ., თებერვალი*

* * *

როგორც ცნობილია, სოხუმის დაცემის შემდგომ ქართულმა საჯარისო ნაწილებმა ხალხს გამოასწრო და მშვიდობიანი მოსახლეობა მძიმე ტექნიკით შეიარაღებულ, საგანგებოდ გაწვრთნილ რუსულ და კონფედერატთა ფორმირებების პირისპირ აღმოჩნდა.

გამარჯვების ეიფორიაში მყოფი კონფედერატები განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ გალის რაიონის მშვიდობიან მოსახლეობას. გალის აღების პირველსავე დღეებში საკუთარ ეზოში სრულიად უმიზეზოდ დახვრიტეს პატიოსნებითა და ინტელიგენტობით გამორჩეული პედაგოგები: ვახტანგ ემხვარი, ხუტა ფირცხალავა, ვერა სიგუა დითა და ძმით და ვინ იცის, კიდევ რამდენი უდანაშაულო მსხვერპლი.

ამ დამსჯელ ოპერაციაში თავი გამოიჩინეს ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის წევრებმა. ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, სახლებში იჭრებოდნენ, აწიოკებდნენ, ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ... თავიანთ მხეცურ საქციელს იმით ამართლებდნენ, რომ საბრძოლო მოქმედების პერიოდში ქართველები მათ მოძმეებს განუკითხავად ეპყრობოდნენ, და არ მალავდნენ, რომ ეს ბატალიონი შურისძიების მიზნით შეესია გალის რაიონს.

გალის აღების პირველსავე დღეებში ძნელაძის ქუჩაზე ჯავშანტექნიკის ხმაურით შეშფოთებული ხანდაზმული ცოლ-ქმარი, პროფესიით ბუღალტერი შოთა ჩხოტუა და პედაგოგი ვერა ჟორდანია-ჩხოტუა ეზოში გამოვიდნენ და ჭიშკრიდან თვალს ადევნებდნენ, დამსჯელი რაზმი როგორ უახლოვდებოდა მათ კარმიდამოს. შეშინებულმა ქალ-

ბატონმა ჭიშკარს ზურგი აქცია და სახლისკენ ფეხაჩქარებით გაეშურა. მათ ეზოს მოახლოებულმა დამსჯელებმა ავტომატის ჯერი დააყარეს ვერა ჩხოტუას. მის მისაშველებლად დაძრულ შოთა ჩხოტუასაც იგივე ბედი ეწია. ამგვარად გახდა ეს ორი ხანდაზმული ადამიანი განუკითხაობის მსხვერპლი.

დარბეული უბნის მაცხოვრებლები საღამოს სამალავებიდან გამოვიდნენ და ჩხოტუების ოჯახი მოიკითხეს. უდანაშაულოდ დახვრეტილი ცოლ-ქმრის ნეშტები გააპატიოსნეს, მდუღარე ცრემლით დაიტირეს და ცელოფანში გახვეულები სახლის წინ, ხეხილის ბაღში დაკრძალეს იმ იმედით, რომ ცოლ-ქმარს ოჯახის წევრები ჩამოაკითხავდნენ და გალის რომელიმე სასაფლაოზე ქრისტიანულად დაკრძალავდნენ. მაგრამ ამ საფლავის ირგვლივ უპრეცედენტო ამბავი დატრიალდა. გალში მოთარეშე ბაგრამიანის ბატალიონის წევრები როგორც კი ჩხოტუების ეზოში ფეხს დაადგამდნენ, მიუხედავად მეზობლების გულმოდგინე მტკიცებისა და მუდარისა, რომ აქ ახლო ხანში დაკრძალული ცოლ-ქმარი ჩხოტუები განისვენებდნენ, ცრუობთ, ამ ადგილას უეჭველად განძი იქნება ჩაფლულიო, ძალადობდნენ და საფლავის ამოთხრას იწყებდნენ... ეს საფლავი ამგვარად რამდენიმეჯერ გაითხარა. მეზობლებსაც რამდენიმეჯერ მოუხდათ ცოლ-ქმარ ჩხოტუების დაკრძალვა. ბარბაროსთა ხელყოფისაგან რომ დაეცვათ, იძულებულნი გახდნენ, საფლავი სამშენებლო მასალით დაეფარათ.

გალელები შემდგომშიც მრავალი ამგვარი ფაქტის მოწმე გახდნენ, მაგრამ შურისძიების შიშით დუმილს ამჯობინებენ. ამის მიზეზი კი ნამდვილად აქვთ.

ომამდე გალში თითზე ჩამოსათვლელი სომხური ოჯახი სახლობდა. ისინი ძირითადად საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში იყვნენ დაკავებულები. მათგან ერთ-ერთი, ობლობაში, მეზობლების ხელშეწყობით გამოზრდილი ჟორა იალოიანის ოჯახია. იგი ერთი ულიმღამო ტიპი იყო. სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმდამთავრებული, სადღაც მშენებლობაზე მუშაობდა და გალში მისი არსებობა არც არავის ახსოვდა, მაგრამ საომარი მოვლენების შემდგომ მნიშვნელოვან ფიგურად, ქალაქის მერის მარჯვენა ხელად გადაქცევა მოუხერხებია.

აფსუები მის დოსტებთან ერთად მართავენ გალის რაიონს. თვით-მხილველები მისი ავკაცობის არაერთ მაგალითს დაგისახელებენ...

როგორც კი თხილისა და ციტრუსების სეზონი მოახლოვდება, აფხაზური კლანები აქტიურ მოქმედებას იწყებენ. მათ მხარდამხარ ძალას არ იშურებენ სომხებიც. მათ მოქმედების სფეროები აქვთ დანაწილებული და თავიანთ „კუთვნილ" წილებს იღებენ.

აფხაზეთში მცხოვრები სომხები საკმაოდ მშვიდად გრძნობენ თავს. ისინი აფხაზებს „დამსახურების" დაფასებას სთხოვდნენ და მიიღეს კიდეც კუთვნილი პატივი, დაისაკუთრეს და ერთმანეთში დაინაწილეს ქართველთა კარ-მიდამოები და ყოველ ნაბიჯზე აფხაზები-სათვის ერთგულების დამტკიცებას ცდილობენ.

მაშინ, როცა აფხაზეთის ქართული მოსახლეობა დევნილობაშია და საკუთარი სახლ-კარის თუ ახლობელთა საფლავების მონახულებას წლობით ვერ ახერხებს, სომხები ისე ირჯებიან, თითქოს ამ მიწა-წყლის ბატონ-პატრონები იყვნენ. ის კი არა, სტუმრად იწვევენ თავიანთ მოძმეებს სომხეთიდან და თბილისიდან და საკურორტო სეზონზე ასვენებენ კიდეც.

გასაოცარია, რომ ამ ფაქტებს ქართული საზოგადოებრიობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს. სამთავრობო თუ სხვა დონის მოლაპარაკებებზე არვინ შეხებია, არადა, საჭირო იყო.

აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა ამ სიავეს არავის და, მით უმეტეს, იმ ხალხს არ აპატიებს, ვინც თავის დროს თვითონ დევნილი შეიფარა ქართველმა ხალხმა, ცხოვრების საუკეთესო პირობები შეუქმნა, დღეს კი დაუსჯელობით გათამამებული აფხა-ზეთის ტერიტორიაზე აფსუა სეპარატისტებთან ერთად ავტოქტონური მოსახლეობის ამოძირკვას ცდილობს.

*მწერალი ზურაბ თორია*
*2006 წელი*

# ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის წევრების არასრული სია

კუსიანი ვაღარშაკ არამის ძე — ბატალიონის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი. შემდგომში იგი ასეულის მეთაურად დაინიშნა, ხოლო მისი ძმა აშოტი — ოცმეთაურად. ამ დროის ბატალიონის მეთაურობა იკისრა ჯემალ ჩიკირბამ.

მარქარიანი ლენიუ ლეონის ძე — შტაბის უფროსი. დაბადებული 1939 წ., გადამდგარი პოლკოვნიკი, დაჯილდოებულია III ხარისხის ორდენით „За службу Родине".

მინოსიანი სურენ ბაგრატის ძე — ბატალიონის კომისარი, უფროსი ლეიტენანტი. ომამდე მუშაობდა ალახაძის საშუალო სკოლაში სამხედროს მასწავლებლად. სოფლის ყრილობაზე, სადაც სიტყვით გამოვიდნენ ვ. კოსოიანი და ს. ზებელიანი, ის სომეხთა საზოგადოება „მაშტოცის" ხელმძღვანელად აირჩიეს. სამი დღის შემდეგ კი მინოსიანი ბატალიონის კომისარი გახდა. მან დაიწყო ბატალიონის შევსება ახალი კადრებით, დადიოდა სოფლებსა და კოლმეურნეობებში.

ჩოლოქიანი სედრაკ გევორქის ძე — უფროსი ლეიტენანტი, ბატალიონის მეთაური შეიარაღებისა და ტექნიკის დარგში.

მარქარიანი გევორქ სოლომონის ძე — კაპიტანი

ზებელიანი სერგეი სააკის ძე — ბატალიონის მეთაური ზურგში, ზემდეგი.

დაშიანი ლეონ ვაღარშაკის ძე — დაჯილდოებულია ლეონის ორდენით.

აბიანი ამაზასპ (სოფ. სალამა, გაგრის რაიონი) — ბატალიონის წევრი, ინვალიდი

ქერექიანი სარქის — სალამას დაჯგუფებიდან

ქოჩოქიანი არმენ — სალამას დაჯგუფებიდან

ნარაგოზიანი კარპო — სალამას დაჯგუფებიდან

მუსელმიანი გრიშა — სალამას დაჯგუფებიდან

ქევსუზიანი გევორქ — სალამას დაჯგუფებიდან

ტევდენჯიანი რობიკ — სალამას დაჯგუფებიდან

მალარიანი ანდრეი — სალამას დაჯგუფებიდან
მალარიანი კარპო — სალამას დაჯგუფებიდან
მათოსიანი აკოპ — სალამას დაჯგუფებიდან
სტეფანიდი ვიტალი — სალამას დაჯგუფებიდან
მათულიანი ნუბარ ჰრანტის ძე (ბზიფის დაჯგუფების მეთაური) — დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. დაიჭრა. შემდეგ დაინიშნა გაგრის ასეულის კომისრად.
ტრაპიზონიანი გალუსტ — აფხაზეთის გმირი
სავოიანი ა.
კუნდაქჩიანი ა.
სტეფანიანი პეტროს — ოცეულის მეთაური
კრბაშიანი ურსენ — ოცეულის მეთაური
კიულიანი მისაკ მისაკის ძე — ლენინის ორდენის კავალერი, II ჯგუფის ინვალიდი
შიმშანიანი კარენ
ყარაგოზიანი ნშან — აფხაზეთის გმირი
მელქონიანი ედუარდ (სოფ. მახადური)
კივისიანი ედუარდ (სოფ. აჩმარდა)
დემირჭიანი (სოფ. ბარანოვკა)
მურადიანი არამ
ხაჩატრიანი მელიქ
თომასიანი სერგეი — აფხაზეთის გმირი
თომასიანი იშხან
დავთიანი ანდრე — აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.
ასატრიანი ვართან — ახლდა დავთიანს
ტოპოლიანი ალბერტ კასპარის ძე — პირველმა მიიღო ფიცი, შემდეგ მას მიყვნენ სხვებიც. *ფიცის მიღებას ესწრებოდა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა.*
უსტიანი ნშან არდაშის ძე — ასეულის მეთაური, აფხაზეთის გმირი
ჩაკრიანი არუთა — მედსამსახურის უფროსი
ჩაკრიანი ს. ი. — სურსათით მომარაგების უფროსი

ტერზიანი არუთიუნ — მინოსიანის შემდეგ ბატალიონის კომისარი, წარდგენილ იქნა ჯილდოზე „აფხაზეთის გმირი“.
თათულიანი ვ. ა. — ტერზიანი არუთინის ცუგუროვკაში დაჭრის შემდეგ დაინიშნა ბატალიონის კომისრად.
მინალიანი კ. — ავტობრიგადის მეთაური
კალაიჯიანი ზ. — ნაღმმტყორცნელთა ბატალიონის მეთაური
სელვიანი ლ. — კალაიჯიანის მოადგილე
რგანიანი ვაჰან ანუშავანის ძე — ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის მეთაური (აფხაზეთის გმირი)
კალაიჯიანი ტ. — დაზვერვის უფროსი
უსტიანი ჰაიკ — კავშირგაბმულობის ხელმძღვანელი
კეშიანი კ. — საზენიტო დანაყოფის წევრი
დანელიანი მ. დ. — სამეურნეო ნაწილი
კარსკიანი სარქის — I ასეულის მეთაური, აფხაზეთის გმირი
ყარაგოზიანი კარაპეტ — აფხაზეთის გმირი
თოვმასიანი სერგეი — III ასეულის წევრი, აფხაზეთის გმირი
ტრაპიზონიანი გალუსტ — აფხაზეთის გმირი

*ბატალიონის მედდები იყვნენ: ცვიჟბა ლამარა, ძიაპშა ზირაფინა, ყარაგოზიანი სვეტა, ხალბადი რიმა (სარა), ალმეშქა სვეტა, ხარაზია ლიალია, აგრბა ნინა, მინოსიანი მარინა, გაბლია ინგა (ზ. ეშერაში დაიღუპა) და მედძმა კინოსიანი არამ.*

*სომეხ მეომრებს და მათ ოჯახებს მატერიალურ დახმარებას უწევდნენ ს. ზებელიანი, ლ. მარკარიანი და ხ. ტ. მინასიანი.*

კოსიანი აშოტ არამის ძე — აფხაზეთის გმირი
პეჰლევანიანი ნორიკ („ავლანელი“)
კოსიანი ბორია
ზაქარიანი რაზმიკ
მანუციანი სერგეი — დაიღუპა 1993 წლის 16 მარტს
ავდჯიანი აველ
კირაკოზიანი კარპო (გაგრა)

მათოსიანი არტურ (გაგრა)
ზაბუნიანი ავაგ ანდრანიკის ძე — დაჭრილი სისხლისგან დაიცალა
კაპეკიანი რენიკ (სოფ. ფშაფი)
ჰოვანესიანი რაფიკ ხაჩიკის ძე
ტახმაზიანი გევორქ ტარიელის ძე
პარონიანი ალბერ
ზურნაჩიანი გევორკ — დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.
სოლომონიანი ლეონ
პაპაზიანი საak იშხანის ძე — ასეულის კომისარი
შაჰბაჯიანი სამველ — სექტემბერში გამოიჩინა თავი
მუმჯიანი გარიკ — სექტემბერში გამოიჩინა თავი
მელეთიანი არუთიუნ აშოტის ძე — სექტემბერში გამოიჩინა თავი
ტიროსიანი იურა — დაიღუპა სექტემბრისშემოტევისას
მელეთიანი გევორკ — მეორე სომხური ბატალიონის კომისარი
ხოროზიანი გ. ვ.
დელიანი ალბერტ — დაიღუპა
ხაზარჯიანი კარაპეტ
ტეკნეჯიანი ე. ა.
დავთიანი მ. ა.
დავთიანი მკრტიჩ — დაიჭრა
ტრაპზონიანი ანდრანიკ
ტრაპიზონიანი ანდრეი
ბაირაზიანი ზავენ — დაიჭრა ხელში
დემირჭიანი მარკოს
ქოჩქონიანი გევორქ კარაპეტის ძე — დაბ. 1968, სოფ. მწარა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. დაიღუპა 1993 წ. 15-16 მარტს
ბარუიკიანი აშოტ
ბოჯოლიანი აშოტ
იჩმელიანი სეირად
დოვარჯიანი არტავაზდ
გრიგორიანი ბენიკ

ხზრჯიანი ტორეს

სარიანი კარაპეტ (გაბრიელ) არუთიუნის ძე

თუისუზიანი მისაკ (ფედია) სურენის ძე – დაიღუპა ცუგუროვკაში (სოფ. ცანდრიფში)

სევოიანი ა. მეტყიამფრქვევე (ცუგუროვკა)

სუქიასიანი არკადი გარნიკის ძე – დაბ. 1965, გუდაუთა. დაიღუპა 21.07.93 წ.

ესოიანი სერგეი ხორენის ძე – დაბ. 1951, სოფ. აძაფაში (სიხარული), გაგრის რაიონი. ჭრილობებისგან გარდაიცვალა 29.07.93 წ.

ახაჯიანი სერგეი აშოტის ძე – დაბ. 1975, ახალი ათონი. დაიღუპა 3.07.93 წ.

ეკრუსიანი ანდრანიკ – დაიღუპა ვერტმფრენში

მინასიანი სამველ ანდრანიკის ძე – დაბ. 1974. ქვედა ეშერა, სოხუმის რაიონი. დაიღუპა 21. 07. 93.

ბაგრამიანის სომხურ ბატალიონს პირვანდელი სახელი შემორჩა, თორემ, ფაქტობრივად იგი დივიზია იყო თავისი დანაყოფებით. ამ ე.წ. ბატალიონში დაახლოებით 2000 წევრამდე ყოფილა გაერთიანებული (ავტორები).

# დამატებითი მასალები

# ივანე ჯავახიშვილის არქივიდან

*დიდ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს 1925 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობისათვის გაუგზავნია წერილი, რომელშიც მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული საბუთიანობით წარმოდგენილია ქართულ მიწა-წყალზე სომეხთა ჩამოსახლების ისტორია. ეს ისტორია მოიცავს XIX საუკუნეს და მასში ნათლადაა ნაჩვენები ცარიზმის მიერ მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ხელოვნურად აჭრელების სურათი ამ პერიოდის საქართველოში.*

*ეს მასალა ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობი იყო. პირველად გამოვაქვეყნე 1988 წელს გაზ. „ლიტერატურულ საქართველოს“ № 43-ში*

*ბონდო არველაძე*

9. 4717. №1 საქ. №6 ი. ჯავახიშვილის მოხსენება დაწერილი მისივე ხელით (ფურც. 82-111: დაცულია სახელმწიფო არქივში).

„რუსეთის მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსთ ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთის მხრივ სომეხთ მოხელეთა დაწინაურებით, მეორეს მხრით, რუს ნასალდათართა დასახლებით ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვასა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით, ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე თავიანთ ერთგულად სთვლიდნენ. უკვე 1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ-მაჰმადიანებმა თავიანთი მამა-პაპეული სამოსახლოთაგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს. გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთთაგან გადმოსახლებულ სომხთაგან 40 000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში

სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90 პროცენტს აღემატებოდა, 1832 წელს უკვე რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობით სომეხნი იქცნენ.

XIX საუკუნის სამოციან წლებითგან მოყოლებული რუსეთის პოლიტიკური წრეები უკვე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობითაც რუსულად ქცეულიყო. 1864 წელს მ. კატკოვს მარტო რუს ნასალდათართა დასახლება აღარ აკმაყოფილებდა და იმაზე ოცნებობდა, რომ რუს მთავრობას ისეთი პირობები შეექმნა ამიერკავკასიაში, მარტო ქალაქები კი არა, არამედ სოფლებიც თანდათანობით რუსებით ავსებულიყო. აბა, მაშინ რუსული გავლენა იქ როგორ გაიზრდებოდა. „Как бы усилилось (русское) влечение в стране, если бы допущены были это условия необходимые для того, чтобы и села могли постепенно наполняться "русскими людьми", (იხ. "Московские ведомости", 1864 г. №168, ან Собрание передовых статей "Московских ведомостей" 1864 წ. გვ. 467). ამისათვის ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებად მას კავკასიაში და კერძოდ შავი ზღვის სანაპიროზე რუს თავადაზნაურთა გადასახლება მიაჩნდა (იქვე).

მაგრამ ამ დროს რუსეთის მთავრობა რუსების ჩამოსახლებით პოლონეთის გარუსებას ცდილობდა, ამიტომ რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ ამდენი ხალხი არ ყავდათ, რომ ყველგან გასწვდომოდა. ამავე ხანებში სომეხმა მოღვაწემ კანანოვმა საკოლონიზაციოდ შავი ზღვის დასახლებად ოსმალეთითგან ზეითუნის სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. კატკოვმა ამ აზრს, რუსი კოლონისტების სიმცირის გამო, მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებით მიზანშეწონილად აღიარა, „სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი თან ფულსაც მოგვიტანენო" (იქვე, გვ. 500-502). ამ აზრს, რომ ამიერკავკასიაში დასასახლებლად სომხები ყოფილიყვნენ გამოყენებულნი, ასეთი გავლენიანი რუს შავრაზმელის დასტურის შემდგომ როგორც კატკოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლობა მიემხრო და დასახლებას შეუდგა. სომხებთან ერთად

გერმანელების და ესტონელების ჩამოსახლებასაც მიჰყვეს ხელი. რუსები ცოტანი ჩანდნენ. ამგვარად ის მოხდა, რომ თავისუფალი მიწების დასახლება რუსულ საკოლონიზაციო საქმეს სრულებითაც არ ქმნიდა, და თანაც ქართველებს გაფართოების საშუალებას უსპობდა. ეს უკანასკნელი გარემოება კი რუს პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აწუხებდა, პირველი — კი აღონებდა კიდეც და თანაც აბრაზებდა. 1867 წ. იგივე მ.კატკოვი უკვე გაჰკიოდა: შავი ზღვის სანაპიროზე ყველას ასახლებენ მცირე აზიითგანაც, ავსტრიითგან და გერმანიითგანაც, მხოლოდ რუსები არ ჩანან, რათგან ვისაც სურდათ იქ არ უშვებენო. კატკოვი საკოლონიზაციო საკითხს პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხად სთვლიდა და რუს მოახალშენეთა გაძლიერებას მოითხოვდა (იხ. "Моск. Ведомости", 1867 г. №264, და 282. Собр. перед. стат. "Моск. Вед." 1867, გვ. 687, 688).

სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულის ჩამდგმელად და მხურვალე და მარჯვე განმახორციელებლად ალ. და გ. ხატისოვების მამა ივ. სტეფანეს ძე ხატისოვი იყო, რომელიც 1865 წ-თგან-1875 წ. სახელმწიფო ქონებათა და სასოფლო მეურნეობის სამმართველოში ამიერკავკასიაში გავლენიანი თანამდებობის პირად ითვლებოდა, 1875-1883 წ. კავკასიაში მეფის მოადგილესთან საგანგებო მინდობილობათა მოხელედ იყო, ხოლო 1885-93 წწ. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. მის დროს და მისი დახმარებით ბევრი სომეხი ჩამოსახლდა საქართველოში — ბორჩალოს, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპიროს. რაკი შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა, ეს ადგილიც რომ სომხებისათვის ყოფილიყო განკუთვნილი, მან წამოაყენა აქ ორი მოსაზრება, რაკი ეს ქვეყანა უმაღლეს სამეურნეო კულტურის კერად უნდა იქცეს, აქ დასახლების უფლება ამგვარი კულტურის მცოდნეს უნდა მიეცეს. რუსები სულ სხვა ჰავასა და მარტო ხორბლეულის კულტურას არიან მიჩვეულნი და აქაური ციებისაგანაც დაიხოცებიანო. სომხები და ბერძნები ციებიანს ადგილებს მიჩვეულნი არიან, ამ კუთხეს გააშრობენ და ააყვავებენ და შემდეგ

სხვების ე.ი. რუსების დასასახლებლადაც გამოდგებაო. ამგვარი საბუთიანობითა და თავისი დიდი თანამდებობის წყალობით მან თავისი თანამოძმეების ჩამოსასახლებლად საქართველოში ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, რადგანაც ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს მთავრობას მიჩნეული და მათი მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ სთვლიდა, სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც კი მას ფიქრად არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხ ახალშენთა ჩამოსახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რადგან სამაგიეროდ ქართველთა მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის განუყოფელობის, როგორც მათ ეგონათ, უერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, სომეხთა გადმოსახლების აზრის მომწონებელმა მ. კატკოვმაც დაინახა, რომ აქ უბრალო ოინბაზობა იყო და 1887 წ. ის უკვე სწერდა, რომ თუ შავი ზღვის სანაპიროზე რუსები დაიხოცებიან, განა გერმანელ, სომეხ და ბერძენ მოახალშენეებს კი იგივე არ დაემართებათო. ცხადია რუსეთის პოლიტიკური აზრი აქ მხედველობაში მიღებული არ არის (Моск. В. №13), მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო და აღმოჩნდა, რომ სხვებისათვის თავისუფალი სამოსახლო ადგილი იქ თურმე აღარ არსებობდა. ამ დროს ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. თავის მამა-პაპეულ მიწაწყალზე დასახლება ყველაზე უპირველესად რომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუსეთის მთავრობას და არც მის სომეხ მოხელეს არ სურდათ. ქართველი გლეხკაცობის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას გადასახლების გზა თავის სამშობლოში, საქართველოშიც-კი შეკრული ჰქონდა იმ დროს, როდესაც უცხოეთითგან მოყვანილებს მიწაც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგნენ, მაშინ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება ოსმალეთისაგან დაბეჩავებული თავიანთ თანამოძმეთა

მარტო ფიზიკური გადარჩენის თვალსაზრისით კი არ აინტერესებდათ, არამედ რომ გარკვეული პოლიტიკური-ეროვნული გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენედ ადგილები არჩეული. სომხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრების ტფილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და გუმრთან (ამჟამად ლენინაკანი – ბ.ა.) შეერთება მოითხოვეს გუმრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ამ დროს მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდნენ, ხოლო მათ მესაიდუმლე „მრჩევლად", ხალხის უერთგულესი გრძნობების მხურვალედ და ენაწყლიანად გამომხატველად და ფეხთამტვრად ივ. ხატისოვის შვილი ალ. ხატისოვი იყო. სომეხთა ცხოვრების სადავე დაშნაკელებს ეკავათ, ხოლო ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომ გამოყოფა-შეერთების პროექტის განხორციელების საკითხი განხილული ყოფილიყო. 1913 წ. 6 ნოემბერს და 18 დეკემბერს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა, რომელშიაც სომხებს 6 წარმომადგენელი ჰყავდათ, ქართველებს კი მხოლოდ 2, ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით სრულებით შეუძლებლად სცნო. ტფილისის საგუბერნიო განსაკ. საბჭომაც ეს დადგენილება 1914 წ. 24 იანვარს დაადასტურა. ამავე წლებში და ამგვარმავე კომისიამ და ორგანოებმა ახალქალაქის მაზრის გამოყოფა და გუმბრთან შეერთება ამავე გეოგრაფიულ-ეკონომიური ურყევ მოსაზრებათა გამო ერთმხრივ უარყო და შეუძლებლად სცნო.

ამ დროს მსოფლიო ომი ატყდა. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად დაშნაკელებს ოსმალეთის სომხების აჯანყება ურჩია და თანაც ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებას და რუსეთის ფარგლებში ავტონომიას, თუ რუსეთის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებლობას შეჰპირდა. სომეხ პოლიტიკოსებმა და დაშნაკელებმა ეს რუსეთის პოლიტიკური ფანდი გულწრფელ დაპირებად მიიჩნიეს და რუს მთავრობის რჩევა განსაზღვრულ დროს აასრულეს კიდეც. მაგრამ საქმე უკუღმართად დატრიალდა და განრისხებული ოსმალები დაშნაკელების და თვით პოლიტიკოსების

მიერ გაბრიყვებულ სომეხთა ხალხის საზიზღარ ელეტას შეუდგნენ. ვინც მოასწრო გამოქცევა ამიერკავკასიაში, სპარსეთში ან სხვაგან სადმე, გადარჩა, მაგრამ დიდძალი სომხობა დაშნაკელების უგუნურ პოლიტიკასა და ოსმალთა სიმხეცეს მსხვერპლად შეეწირა. სომეხთა გამაბრიყვებელ რუსეთის მთავრობას ეხლა სომეხთა ლტოლვილების ამიერკავკასიაში დატოვება არ სურდა, ხოლო შემდეგში, როდესაც რუსეთის ჯარი კვლავ ოსმალეთში შეიჭრა, სომეხ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევდა და ოსმალეთის სომხეთში ვალაშკერტის (ეხლანდელ ალაშკერტის) და ბასიანის (პასიანის) ველზე რუსი ყაზახების დასახლების გეგმის შემუშავებასაც კი მიჰყვეს ხელი. რუსეთის რევოლუციამ და რუსთა ჯარის უკან დახევამ ოსმალეთს საშუალება მისცა ყველაფერი წართმეული უკან დაებრუნებინა, ყარსის ოლქიც ხელში ჩაეგდო და ქ. გუმბრს მისდგომოდა. მაგრამ გერმანიის დამარცხების შემდეგ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსმალეთიც ფრანგ-ინგლისელებს დაემორჩილა. სტამბოლში და შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელების და მის მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ გაჩნდა, დაშნაკელ სომეხთა მთავრობასა და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი კვლავ მიეცათ. დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს 1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის (ვითომ ისტორიული) ფანტასტიური რუკა, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვამდე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან ქ. არდევილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან მთავრდება; ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლი-ღა აქვს მიკუთვნებული.

ამავე დროს, იმავე სტამბოლში ზემოხსენებული ფანტასტიკური რუკისდა მიხედვით ახალი სრულიად სომხეთის სახელმწიფო რუკა იქნა გამოცემული, რომელშიაც სომხეთი უშველებელ სახელმწიფოდ არის წარმოდგენილი და თითქმის იმავე საზღვრებითაა აღნიშნული.

ოსმალეთის დიდი ნაწილი შიგ არის მოქცეული: ტრაპიზონი, ორდუ, ქ. კესარია, ადანა, ედესსა, თვით სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილიც ქ. თავრიზითა და არდებილით სომხეთის კუთვნილებად არის აღბეჭდილი. ფანტასტიკურ რუკასთან შედარებით აქ საქართველოს ოდნავ დათმობილი აქვს: შავ ზღვაზე საზღვარი ბათუმის სამხრეთით იწყება მახრიალის ჩრდილოეთით, იმიერხევი სომხეთისად არის აღნიშნული, მაგრამ ახალციხე საქართველოშია მოქცეული, სამაგიეროდ ახალქალაქი სომხეთშია აღნიშნული და აქეთგან მოსაზღვრე ხაზი ჩრდილოეთისკენ იწევს და საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოს შორის საზღვრადაა გატარებული. შემდეგ სომხეთის საზღვარი მტკვრის გასწვრივ მიემართება და ქ. განჯაც სომხეთის კუთვნილებად არის აღნიშნული. ცხადია, რომ ახალი სომხეთის სახელმწიფოსათვის ასეთი საზღვრები ეთნოგრაფიული პრინციპის მიხედვით არ არის შემოფარგლული, ეს გეგმა არც ისტორიულ საფუძველზეა დამყარებული, რადგან არასდროს ასეთი სომხეთი, რომელიც მე-11 საუკუნის შემდეგ პოლიტიკურად აღარ არსებობდა, არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ მის შემდგენელთ ოდნავი ლიტონი საღი გონიერებაც კი არ ატყვიათ.

სომხეთის მთავრობის დელეგაციამ ყველა ამის მიუხედავად ამგვარი რუკა მსოფლიო კონფერენციას წარუდგინა სომხეთის სახელმწიფოს ამ ფარგლებში დასამტკიცებლად. ასეთი ფანტასტიკური რუკის წინააღმდეგ ოსმალეთის დელეგაციას დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია, რადგან მან სტატისტიკური ცნობებით დაამტკიცა, რომ სომეხთა მოსახლეობის ომამდელი არსებული რაოდენობის მიხედვით ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ოთხკუთხა ვერსზე 2-3 სულზე მეტი სომეხი არც კი ეყოლებოდათ. სომეხთა დელეგაციის წარდგენილი რუკისა და სტატისტიკური ცნობების სიცრუე ყველასათვის ცხადი შეიქმნა და თვით ფრანგი, ინგლისელი და ამერიკელი წარმომადგენლების თვალში სომეხთა დელეგაციის ფანტასტიკურ გეგმებს ნდობა დაეკარგა. სომეხ დაშნაკელ მთავრობის და მმართვ. პარტიების მთელი ეს უცნაური და დაუჯერებელი სიბეცის მომასწავებელი უზარმაზარი სომხეთის გეგმა დაიმსხვრა და საპნის ბუშტივით გაქრა.

მაგრამ სანამ სრულიად სომხეთის ამ ახირებული გეგმის გან-ხილვამდე მიდგებოდა საქმე, დაშნაკ სომეხთა მთავრობა თავის რუკაზე დასახული გეგმის პრაქტიკულად შესრულებისათვის სამ-ზადისს შეუდგა. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ქართველი ერის მოსახლეობას არ გადასცილებია და საქართველომ თავისად მხოლოდ ტფილისის, ქუთაისის და ბათუმის ყოფილი გუბერნიები გამოაცხადა. სომხეთის რესპუბლიკა ოსმალეთის სომხეთის გარდა, რომელიც ხელითგან წაუვიდა, ერევნის გუბერნიის გარდა ყარსის მთელ ოლქსაც არტაან-ართვინითურთ ეპატრონებოდა. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულა. წინასწარი ფარული სამხედრო სამზადისის შემდგომ, ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროს გენერალ უოფესთან შეთანხმებით, 1918 წ. დეკემბრის დამდეგს სომხეთის დაშნაკელთა მთავრობამ თავისი ჯარი საქართველოს შემოუსია და თანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატუმად მოსთხოვა ქართლის საზღვრამდე დაეხია, რათგან ქართლად სომხები გორის მაზრას სთვლიან, ცხადია, რომ ეს ულტიმატუმი ტფილისის დაც-ლასაც გულისხმობდა და ამგვარად ეს მოთხოვნილება ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგან ყველაზე უფრო ფანტასტიური ვითომც ისტორიული რუკის საზღვრების აღდგენას ლამობდა. ოსმალეთში საქმის წაგებას სომეხ პოლიტიკოსთა მადა საქართველოს წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამც თუ არ დაუკარგვინებია, პირიქით, გაზრდიათ კიდეც — ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვ-რების აღდგენა საქართველოს და ქართველი ხალხის ხარჯზე უნ-დოდათ ეხლა რომ მოხერხებულიყო.

ამ უგუნურმა მეზობელთაშორისმა ომმა და სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა და დაშნაკელთა მთავრობას ისევ წინანდელით დაკმაყოფილება მოუხდა. ამგვარად, სომხეთის ვითომდა ისტორიული საზღვრების აღდგენის თავისი სამხედრო ძალით შესაძლებლობის იმედი გაუცრუვდა.

სხვა გზით და სხვა საშუალებით დაშნაკელთა ამ გეგმის განხორციელების მცდელობა შემდეგშიც არ შეწყვეტილა იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-

რების უმალ ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთა სურვილის გასაგებად მოხდენილმა შეკითხვამ მათი საქართველოს სსრ რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენის წადილი და გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრება-ინტერესებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება კვლავ დაადასტურა. ლორეს რაიონის სომხეთთან შეერთების გეგმის განხორციელებას სომეხთა წრეებმა მიაღწიეს, თუმცა ეს ქართველი ხალხის მესაქონლეობის ინტერესებისათვის საზიანო იყო და არის და ადგილობრივ მცხოვრებთათვისაც ეს საკითხი მოსაზრებით სასარგებლო არ იყო. 1922 წ. სომეხთა იმავე წრეების ახალი პროექტი იქნა წარმოდგენილი, რომლითაც ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან ყოფილიყო შეერთებული და ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული შექმნილიყო, რადგან სომეხთა ეროვნული ინტერესები ენისა, სკოლისა და ადგილობრივი მმართველობის მხრივ უზრუნველყოფილიყო, თანაც ბორჩალოს მაზრას და ჯავახეთს შორის არაფერია საერთო არც გეოგრაფიულად და არც ეკონომიურად, მათ შორის არსებული მაღალი და გაუვალი მთების გამო ფიზიკური კავშირიც კი შეუძლებელია; ცხადია ეს გეგმაც მხოლოდ ამ ორი მაზრის საქართველოს სს რესპუბლიკის საზღვრებითგან გამოყოფის და სომხეთთან შეერთებისათვის ოსტატურად მოგონილი პირველი საფეხურის პროექტი იყო, რომელსაც აუცილებლად მეორეც მოჰყვებოდა. საკმარისია ადამიანმა დაშნაკელთა რუკებს თვალი გადაავლოს, რომ მისთვის ნათელი გახდეს, რომ აქაც ბრძოლა მხოლოდ იმავე წინანდელი მიზნის სხვა გზით განხორციელებისათვის სწარმოებდა. სსრკ შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრის და ეთნოგრაფიულ-ეკონომიური ფაქტორების გამო ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო, რაც მან 26 თებერვალს 1923 წ. კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტს №291/1367 აცნობა კიდეც. ცენტრალური კომიტეტის მიერაც ეს დასკვნა დადასტურებულ იქნა. ამის შემდგომ სომეხთა იმავე წრეების შთაგონებით წამოყენებულ იქნა საქართველოს ყარაია-შირაქის ველის სომხებით დასახლების პროექტი. ეს ადგილი უნდა სარწყავი არხების გაყვანით მორწყულიყო

და აქ სომხებს მებამბეობის მეურნეობა უნდა მოეწყოთ, რომელიც მათი სიტყვით, რუსეთის საფეიქრო ინტერესებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია და საჭირო. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც ივ. ხატისოვისებური მოსაზრება იყო წარმოდგენილი, რომ ამავე დროს წყალი ქართველ ხალხს თავისთვისაც არ ყოფნის და ამ მინდვრების მორწყვა ქართულ სამეურნეო კულტურის განადგურებას უდრიდა, ამაზე სომეხთა პოლიტიკოსები არ ფიქრობდნენ.

სომეხთა ამ პროექტის განხორციელების სრული შეუძლებლობის დამტკიცება საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ამგვარად, ეს პროექტიც უარყოფილი იქნა. დამახასიათებელია, რომ ფრ. ნანსენმაც ტფილისში ჩამოსვლისთანავე ამავე საკითხზე დაიწყო ლაპარაკი და უნდოდა გაეგო, თუ რამდენად შესაძლებელი იყო საქართველოს ამ კუთხეში ლტოლვილი სომხების დასახლება. ცხადია, რომ ფრ. ნანსენსა და აქაურ სომეხთა პოლიტიკოსებს სულის წმინდის შთაგონებით არ მოსვლიათ ერთი და იგივე აზრი, არამედ აქ ჩვენ სომხეთისათვის პოლიტიკური ტერიტორიის ხელოვნურად შექმნის დაშნაკელთა ძველი ზემოთ დასახელებულ რუკებზე ალბეჭდილი გეგმის განხორციელების ხელახალ მცდელობასთან გვაქვს საქმე.

დასასრულ, ეხლა ორიოდე სიტყვა, ვითომ ახალ პროექტზე ჯავახეთისათვის ავტონომიის მინიჭებისა და გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, საითგან და რისთვის მომდინარეობს ეს პროექტი (ხაზგასმა ჩვენია — ბ.ა.). არც გეოგრაფიული და არც ეკონომიური პირობები არ შეცვლილა. სომეხთა ეროვნული ინტერესები ეხლა ხომ სავსებით უზრუნველყოფილია. მაშ რითღა არის ეს ვითომ ახალი გეგმა გამოწვეული, თუ არა იმავე პოლიტიკურ-ტერიტორიული მიზნის მისაღწევად? ამ გეგმის განხორციელებით ამავე დროს ქართველი მშრომელი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც მესაქონლეობას მისდევს, არსებობის უკანასკნელი ლუკმა უნდა ექნეს პირითგან გამოცლილი და მეცხვარეობა საქართველოში უნდა მოისპოს სრულიად. თუ წინანდელ რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში

ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუს და სომეხ მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში, ნუთუ ეხლაც შესაძლებელია, რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომეხ დაშნაკელ პოლიტიკურ ეროვნულ პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად? ეს იმდენად დაუჯერებელი რამეა, რომ დარწმუნებული ვარ სსრ მთავრობა ამ პროექტსაც უარყოფს იმდაგვარადვე, როგორც უარყოფილი იყო იმავე წრეებითგან გამომდინარე ზემოაღნიშნული ამისივე მსგავსი პროექტები.

# ღია წერილი
# სომხეთის რესპუბლიკის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს

*„სომეხი მოღვაწე, რომელიც საქართველოს დასაცავად თავს არ გამოიდებს, არაფერი გაეგება საკუთარი ხალხის და ისტორიის, ხოლო ის ქართველი, რომელიც არ დაიცავს სომხებსა და სომხეთს, იგი არ იცნობს თავის ხალხს და საქართველოს ისტორიულ გზას."*

*ოვანეს თუმანიანი*

კარგახნის ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე ღია წერილით მოგმართოთ თქვენ და გაგიზიაროთ ის შეშფოთება და გულისტკივილი, რომელიც გამოიწვია თითოეულ ქართველში თქვენი თანამემამულეების ღალატმა აფხაზეთში — ე.წ. ბაგრამიანის სახელობის ბატალიონსა და მის ქალაჩუნა მეთაურზე მოგახსენებთ. ამ ღვთის პირიდან გადავარდნილმა ადამიანებმა შებღალეს და შეარცხვინეს სომეხი ერი და აფსუა სეპარატისტების მსგავსად, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ქართველ ხალხს.

ბატონო სერო ხანზადიანო, აფხაზეთში სომეხმა ბოევიკებმა ლომის წილი დაიდეს ქართველთა გენოციდში და სისასტიკეში აფსუა სეპარატისტებსაც კი გადააჭარბეს. ალბათ, იტყვით, კონკრეტული, კონკრეტული ფაქტები სად არისო. სამწუხაროდ, არის და მერე რამდენი... სომხების მიერ ქართველთა წამებისა და ხოცვის ფაქტები აღირიცხა და პრესაში ქვეყნდება. რა თქმა უნდა, რის აღრიცხვაც მოხერხდა, რადგან ამ ოპერაციას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. კიდევ უფრო მეტი, სომეხი ბოევიკები დღესაც აწყობენ დამსჯელ ექსპედიციებს. მათი აქტიური მონაწილეობით მოხდა სოხუმის რაიონის სოფლების ეთნიკური წმენდა. არასრული მონაცემებით, მარტო 1994 წლის სექტემბრის თვეში გადაიწვა 14 ქართული ოჯახი, მოკლულია 27 კაცი. ამ დამსჯელმა ექსპედიციამ 1994 წლის სექტემბრის თვეში გალის რაიონში გააუბედურა და დახოცა 180 ოჯახზე მეტი. სომეხი ბოევიკები ძალიან აქტიურობენ კოდორის

ხეობის მისადგომებთან, სადაც მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენა. მათ სინდისზეა ასობით გაუპატიურებული, ნაწამები და დახოცილი ქართველი.

ბატონო სერო, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება გაგაცნოთ ზღვა სისხლიანი მასალიდან მცირეოდენი, რათა სრულად წარმოიდგინოთ, თუ რა უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს მიმართ, თქვენმა თანამემამულეებმა აფხაზეთში:

„მზია მ... 23 წლის ქალიშვილი (მამის თხოვნით არ ვასახელებ გვარს) სოხუმში, გოჩუას ქუჩაზე საკუთარ სახლში იმ დღეებში ჯგუფურად გააუპატიურეს არმენმა ბოევიკებმა. აწამეს და დაუძლურებული დააგდეს, მერე ქეიფი დაიწყეს. გონს მოსულმა გოგონამ მოახერხა და ავტომატით შეიდიდან სამი მოკლა, ოთხი დაჭრა. ვიღაც მეზობელს დაუმალავს, მაგრამ იქვე მოსახლე არმენს გაუცია. მოსულან ბატალიონიდან, წაურთმევიათ, ისევ გაუუპატიურებიათ და, უწამებიათ, ყური და თითები დაუჭრიათ, შემდეგ მისსავე სახლში, ჭიშკართან დაუხვრეტიათ და დაუგდიათ."

10 სექტემბერს გუდაუთის ბანკეტის მეორე დღეს, სოხუმის რაიონის ძირძველ ქართულ სოფელში — აკაფაში, სომხებმა საკუთარ სახლში ამოხოცეს რაული და ილია ფიფიები, ანზორ, ჯენერ და ოთარ გაგუები, ნორა არონიას, კუტა ქარდავას ოჯახის წევრები, ოჯახის თავკაცები, ხოლო ეზო-კარი გადაწვეს (გარკვეული მოსაზრებით ყველას გვარ-სახელს არ ვწერ). სულ 27 კაცი შეეწირა აკაფიაში ამ დღის თარეშს.

14 სექტემბერს იაშიხვადან სოჭის გზით გამოსულმა მარგო ნარსიამ და ნუნუ ჩაბანავამ აღნიშნეს, რომ 27 სექტემბრამდე უნდა დამთავრებულიყო რაიონისა და საერთოდ აფხაზეთის გაწმენდა ქართველთაგან. ამას სასოფლო კრებაზე აშკარად აცხადებდა ვინმე „პასუხისმგებელი პირი" — პეტროსიანი, წარმოშობით არმავირელი. ამ წმენდაში აქტიურობდნენ და განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდნენ არმენი მოხელეები და ბოევიკები. თვით მარგო ნარსიას სახლი მის იქ ყოფნაში თავის შვილისათვის დაისაკუთრა კარის მეზობელმა სურენმა.

ქ. ტყვარჩელში 17 სექტემბრისათვის ჩასახლებული იყო 1500 არმენი (სერგი საჯაია, „დღეები ცხედართა უხმო კივილისა", გაზ. „არჩევანი", 1994 წ., ნოემბერი.).

კიდევ რამდენიმე ფაქტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, ბატონო სერო.

„ზაზა სამუშია — გულრიფშის რაიონი, სოფ. ფშავი: — "ბოევიკების მესამე პარტია რომ მოვიდა, მოკლეს 11 კაცი, აქედან ნახევარზე მეტი ქალები იყვნენ. ისინი შეყარეს ერთ ეზოში და იქ დახვრიტეს. ყველა დამარხულია იმ ეზოში, სადაც მოხდა მკვლელობა. ეს ჯალათები არიან სომხები!.."

„ჩვენ თვალწინ დაწვეს ოცამდე სახლი. რაც ქონება იყო უძრავ-მოძრავი, გაზიდეს სომხებმა (ადგილობრივმა სომხებმა) წინ გაირეკეს პირუტყვი, გაანადგურეს სოფელი."

„მესამე რეიდით მოვიდა სომხების პარტია. ისინი აგრესიულად იქცეოდნენ. ჯერ იარაღი მომთხოვეს, მერე შვილი სად არისო, ჩემი შვილი რომ გვარდიაში იყო სომეხმა მეზობელმა — ხაჩატურიანმა ნორიკო რუბენის ძემ გაგვცა. სომხებმა დაგვიწყეს ცემა, გინება. ეს სომხები იყვნენ ათონელები, ჩამოვიდნენ ჟიგულით. სამი რეისი გააკეთეს. იმდენი გაზიდეს ჩვენგან, ჩვენი მეზობლებისაგან, ცემეს ჩემი მეუღლე. გვითხრეს: „ქართველებს არ გაგახარებთ ამ მიწაზეო".

მარინა მალიშევა, ქ. სოხუმი: „იაშიხვაში, გრიშა სალია (86 წლის) და მისი მეუღლე ელიკო კირთავა (78 წლის) ჯერ კიდევ სექტემბერში გაძარცვეს. ამჯერად, იმ საბაბით მოვიდნენ მათთან, რომ სერგი საჯაიას ადგილსამყოფელი იცითო, არ გვეუბნებითო, სცემეს და სახლიდან გამორეკეს. კინწისკვრისას ხელი მოტეხეს მოხუც ქალს — ელიკოს.

აქვე ნანა დეისაძე გამოასახლეს მისი სახლიდან და შიგ არმავირელი სომეხი შეასახლეს."

3 იანვარს იაშიხვას გამგებელი სედრაქ სარიანი სამარადჟოროდ ყოფილა ოდიშში, სადაც მოუკლავთ.

„იაშიხვას ქართველთა სიმწრის ოფლით აშენებულ ქართულ სკოლაში ამჟამად სომხური სკოლა გახსნეს. ამგვარადვე მოიქცნენ სოფელ თავისუფლებაშიც."

„იაშიხვაში 6... სომხებმა გააუპატიურეს ჯგუფურად და მოკლეს 1993 წლის დეკემბერში."

„1994 წლის 1 იანვარს გუდავაში რეზო ხაბურზანია და მისი შვილი თავის სახლში მოკლეს სომხებმა."

„სომხებმა 1994 წლის იანვრის მეორე დეკადაში ოტობაიაში წამებით მოკლეს კაკო ჯაბავა და 83 წლის მეწისქვილე დომე ქეცბაია, რომლებიც საკუთარ ოჯახში სურსათის „მოსაპარად შევიდნენ."

„სოფელ ბარღებში სომეხთა ბოევიკებმა, აფხაზებთან ერთად, მარტო 1993 წლის დეკემბრის ერთ დღეს საეგზეკუციო შემოსვლაზე გადაწვეს 97 სახლი."

„ოტობაიაში სომხებმა (დაზარალებულის თხოვნით ვინაობას არ ვასახელებთ) დაიჭირეს 19 წლის ბიჭი, თავის სახლში „შეპარული" საჭმლისათვის. დაკიდეს თავდაღმა ეზოში მსხლის ტოტზე, აქანავებდნენ და თან ესროდნენ მოვახვედრებთ თუ არაო. დაჭრილი ძლივს გადაარჩინეს."

„ოტობაიაში სომხებმა მამა-შვილი სიგუები დაიჭირეს, გათოკეს და მერე დანით ყელი გამოსჭრეს."

„29 იანვარს გალის რაიონის ჩაის ფაბრიკის დასახლებაში სომეხმა ბოევიკებმა მოკლეს ძმები ტუმავები, როდესაც საკუთარ სახლიდან საჭმელი გამოჰქონდათ."

„1994 წლის 27 იანვარს სოხუმის რაიონის სოფ. აკაფიდან გამოპარული გურამ ყარამოს ძე ცაავას ცნობით, 29 სექტემბერს წებელდაში არმენებმა მოკლეს აკაფელი იროდი ფიფია, გული ამოაჭრეს და ძაღლებს მიუგდეს საჯიჯგნად."

„აკაფელი აფხაზი აკაკია ხარაზანია, რაც შეუძლია თავის სოფლელ ქართველების, ე.ი. „მეზობლების" სახლ-კარს იცავს სომეხი მარადიორებისაგან."

„აკაფაში მცხოვრები ესტონელები თანასოფლელთ არმენ მარადიორებისაგან იცავენ, რათა არ დაარბიონ ქართველთა ოჯახები."

ციალა ისიდორეს ასული კვარაცხელია — „ნანახით გაოგნებული ვარ, სოხუმში და გულრიფშის სომხები მუდამ წინ და აფხაზები უკან მოყვებოდნენ. სომეხი მეგზურები აჩვენებდნენ მეზობელთა სახლებს და ისინი ცეცხლს უკიდებდნენ... (გაზეთი „არჩევანი", 1994 წლის აგვისტო).

ბატონო სერო, ხომ ხედავთ გაუბედურებულ ქართველებს ზოგიერთი კეთილშობილი აფსუა და ესტონელი იცავს, მაგრამ იშვიათია შემთხვევა სომეხს დახმარების ხელი გაეწოდოს ქართველისათვის და ძმური თანაგრძნობა გამოეჩინოს. პირიქით, მთელი ვერაგობით

ჯდა სისასტიკით უსწორდებოდნენ და უსწორდებიან მკვიდრ ქართველ მოსახლეობას?!.. საიდან ასეთი დაუნდობლობა? 1905 წელს ბაქოში სომხების ჟლეტის დროს ასეულობით გასაცოდავებული სომეხი ბავშვი — ქალი გადაარჩინა მეფის ოფიცერმა ბაბუნაშვილმა, თავისი ასეულით დაიცვა და სამშვიდობოს გაიყვანა. ეს ქართველი ამ საქმეს შეეწირა.

ბატონო სერო, მოტანილი ფაქტები კარგად მეტყველებს იმ საზარელ დანაშაულზე, რაც სომეხმა ბოევიკებმა ჩაიდინეს აფხაზეთში. აქვე შევნიშნავთ, ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოში მცხოვრები ყველა სომეხი აფხაზეთში მცხოვრებ ბოევიკებთან გავაიგივო და მათ შორის ტოლობის ნიშანი დავსვა. რასაკვირველია, არც ისაა დასავიწყებელი, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა ზოგიერთმა სომეხმა აფსუა სეპარატისტებს მხარი არ დაუჭირა, და ამის გამო ლტოლ-ვილად იქცა. არასდროს დავივიწყებ იმ სომხებსაც, რომლებიც ქართველების გვერდით იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ზოგი მათგანი გმირული სიკვდილით დაეცა კიდეც.

ბატონო სერო, ქართველი და სომეხი ხალხის მეზობლური ურთიერთობის ისტორიაში იყო პერიოდი, როცა ამ ხალხთა ძმობას ერთგვარი ჩრდილი მიადგა. ეს იყო 1918 წელს როცა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ ომი გააჩაღა დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ. ამ ომმა შეაძრწუნა სულმნათი ოვანეს თუმანიანი. მან ერევანში ჩარჩენილ თავის შვილებს შეუთვალა — ქართველთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობა არ მიეღოთ, თორემ ის დასწყევლიდა და შეაჩვენებდა, როგორც მშობელი. ეს იყო სიყვარულის დიდებული აქტი და დადასტურება, ასეც შევიდა ეს ფაქტი ჩვენი ხალხის ურთიერთობის ისტორიაში. ამას არ დასჯერდა ბრძენი ოვანეს თუმანიანი და სასწრაფოდ მიმართა სომხეთისა და საქართველოს მთავრობას — შეეწყვიტათ ძმათა მკვლელი ომი. მან ყველაფერი გააკეთა, სისხლისღვრა რომ შეჩერებულიყო და ამით მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი ერის წინაშე. მის ამ კეთილშობილურ საქციელს ქართველ პოეტთაგან ტიციან ტაბიძე გამოეხმაურა და ძმური თანადგომა გამოუცხადა. ბუნებრივია, ისმის კითხვა, სად ან ვის მხარეზე იყვნენ და არიან თანამედროვე სომეხი მწერლები, მათი თანამემამულეები აფხაზეთში ქართველთა ეთნიკურ წმენდას

რომ ეწეოდნენ და ეწევიან? ნუთუ ერთი სომეხი მწერალი არ აღმოჩნდა, ოვანეს თუმანიანის მსგავსად ხმა აემაღლებინა და წინ აღდგომოდა ამ საშინელებას. რუსის ჯარის და უახლესი რუსული სამხედრო საომარი ტექნიკის დახმარებით, ყარაბაღის ფრონტზე დროებით წარმატების ეიფორიით მოცულმა თქვენმა თანამემამულე მწერალმა, ვინმე ჰრანტ ბაგრამიანმა, თანამემამულეებს გონიერებისაკენ კი არ მოუწოდა, არამედ სიხარულის ყიჟინა დასცა და ამავე დროს ნიშანი მოგვიგო ქართველებს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დროებით წარუმატებლობის გამო. ვაი, სირცხვილო!

ისტორიაში არ არის შემთხვევა, ქართველ მოღვაწეს სომხეთზე რამე კრიტიკული გამოსვლა პირველს წამოეწყო. ქართველები, მაშინ იღებენ ხმას, როცა იძულებული არიან თავი დაიცვან. ჰაოსისა და ქართლოსის ძმობის მომღერალმა არცერთმა სომეხმა პოეტმა არ ინება ხმის ამოღება და ამ საქმისაგან ხელის დაბანა არჩია. ის კი არა და, აქ, ჩვენ გვერდით, თბილისში მცხოვრებმა მწერლებმაც კი პირში წყალი ჩაიგუბეს და მუნჯებად იქცნენ. ისე კი, აფსუა სეპარატისტებმა სომეხი ბოევიკები ქართველთა წინააღმდეგ რომ გამოიყენეს, შემდეგ მიდგნენ მათ და ერთი დღე აყარეს. ამას მოწმობს სოხუმში, გალსა და სხვა რაიონებში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკება აფსუა პოლიციელებსა და სომხებს შორის. ასე რომ, კაცთმოძულე აფსუა სეპარატისტებს ქართველები თუ არ მოსდით თვალში, არც სომხები ეხატებათ გულზე.

ბატონო სერო, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის ზოგიერთი მაღალი რანგის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არ გააჩნიათ არავითარი საშუალება, რათა აფხაზეთში მცხოვრებ სომხებზე მოახდინონ ზეგავლენა. ეს, რომ იტყვიან, მტკნარი სიცრუეა და ბალღიც არ დაიჯერებს. აფხაზეთის სომხებს, ისე როგორც ყარაბაღის სომხებს, ერევნიდან მართავდნენ და აკვალიანებდნენ. აი, ერთ-ერთი ფაქტი, რაც ჩემი თვალით ვნახე. ყარაბაღის ომი რომ დაიწყო, მე ერევანში მოვხვდი. ყარაბაღელ სომეხ ლტოლვილებს შევხვდი და გავესაუბრე. მათ გულახდილად მითხრეს, ძალიან კარგად ვიყავით ყარაბაღში, მაგრამ წლების განმავლობაში, ერევნიდან არ გვასვენებდნენ და აგიტაციას გვიწევდნენ, გვაქეზებდნენ: ყარაბაღი სრულიად მოგვეწყვიტა აზერბაიჯანისაგან და მისი დამოუკიდებლობა ან სომ-

ხეთთან შეერთება მოგვეთხოვა. აფხაზეთის სომხებს რაც შეეხება, არც იქ დაიმალა „შუბი ხალთაში“, როცა აფხაზეთში სომხების მიმართ შემთხვევითმა ადამიანებმა გარკვეული უხეშობა და სიმკაცრე გამოიჩინეს, ერევანმა შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა და სომხეთის მთავრობამ მთელი დელეგაცია გამოგზავნა ჯერ თბილისში, შემდეგ აფხაზეთში და დაიწყეს თანამემამულეთა უფლებების დარღვევების ფაქტების გამოძიება. ე.ი. სომხეთის მთავრობა პატრონობს აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს და ზრუნავს კიდეც მათზე. დასკვნა თავისთავად გასაგებია. კიდევ მეტი, ერევანი პატრონობს და მართავს თუ მსოფლიოს არა, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაფანტულ სომხურ დიასპორებს მაინც. ეს ბუნებრივია და ამის უარყოფა სომხების მიერ იწვევს მხოლოდ ნაღვლიან ღიმილს და სინანულს.

ბატონო სერო, მე თქვენ მოგმართავთ, როგორც სომხეთის უპირველეს მწერალსა და სომეხი ხალხის სულის მესაიდუმლეს. იმედია, თქვენ გამოიყენებთ თქვენს უდიდეს ავტორიტეტს, პოპულარობას და მოუწოდებთ თქვენს მთავრობასა და ხალხს, რათა აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა დაადგონ სატანის გზა, გაეცალონ კაციჭამია აფსუა სეპარატისტებს და ქართველებთან ძმობას დაუბრუნდნენ. მართალია, რომაელებს ნათქვამი აქვთ: „შურისძიებას საზღვარი არა აქვსო“, მაგრამ ქართველი კაცი ბუნებით მიმტევებელია და დარწმუნებული ვარ, კაენის ცოდვასაც შეუნდობს სომეხ სეპარატისტებს. ეს თხოვნა არ გეგონოთ, ეს არის მეგობრული შეგონება, რათა სამარადისოდ არ შეიბღალოს ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ძმობა.

ულრმესი პატივისცემით, ბონდო არველაძე.

1995 წლის თებერვალი

*(ეს მიმართვა გამოქვეყნდა რუსულად ქ. მოსკოვში „Новая кавказская газета“-ში, აგრეთვე თბილისში, გაზეთში „ივერია-ექსპრესი“, 1995 წ., 24-27 თებერვალი)*

# სრულიად სომეხთა კათალიკოსს გარეგინ მეორეს, სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ რობერტ ქოჩარიანს

*აფხაზეთის ომის სისხლიანი ეპოპეა ათ წელზე მეტია დამთავრდა. რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის ძირძველი ქართული ტერიტორიის ანექსია და დაამყარა სეპარატისტული რეჟიმი.* ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსების, აფხაზების, ჩრდილოკავკასიელების გვერდით იბრძოდა აფხაზეთში მცხოვრები სომეხთა მიერ შექმნილი ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი. ეს ბატალიონი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით და ქართველ მშვიდობიან მოსახლეობას დაუნდობლად უსწორდებოდა. მათ სინდისზეა ათასობით ქართველი ბავშვის, ქალისა და მოხუცის სიკვდილი. *ამ „გმირობისათვის“ 15 სომეხ ბოევიკს აფხაზეთის სახალხო გმირის წოდება მიენიჭა. მათი „საგმირო“ საქმეების შესახებ აუარებელი დოკუმენტური მასალაა და მალე გამოქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე.*

*შეგახსენებთ,* როცა დაშნაკურმა მთავრობამ ომი დაიწყო მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ, ოვანეს თუმანიანის რამდენიმე შვილი ერევანში ჩარჩა. დიდმა ჰუმანისტმა შვილებს შეუთვალა — ქართველების წინააღმდეგ ომში მონაწილეობას თუ მიიღებთ, დაგწყევლით, როგორც მშობელი და შეგაჩვენებთო. *ეს იყო ძმობის, სიყვარულის დიდი აქტი და ასეც იქნა შეფასებული ქართული საზოგადოების მიერ.* აფხაზეთის ომის დროს ღია წერილით მივმართე სომხეთის მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს და ვთხოვე, შეექმნა სომხური საზოგადოებრივი აზრი და მოეწოდებინა სომეხი ბოევიკებისათვის, შეეწყვიტათ ქართველთა ხოცვა-ჟლეტა აფხაზეთში. ჩემი წერილი გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ პრესაში, სამწუხაროდ, იგი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ბატონებო, ახლა თქვენ მოგმართავთ. აგერ, ამდენი წელი გავიდა და აფხაზეთში ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ ჩადენილ დანაშაულს ოფიციალურ შეფასებას არ აძლევთ და დუმხართ. ეს დუმილი უკვე აღიქმება ამ საუკუნის დანაშაულის გამართლების ტოლფასად, ეს კი, მერწმუნეთ, არ შეშვენის დიდი ოვანეს თუმანიანის მემკვიდრეებს.

ამ წერილს გწერთ გულისტკივილით ადამიანი, რომელსაც ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობებისა და თანამეგობრობის შესახებ არაერთი მონოგრაფია აქვს გამოქვეყნებული, და წლების განმავლობაში კითხულობდა საჯარო ლექციებს ამ ხალხთა ძმობის შესახებ. ამდენად, ჩემი მოკრძალებული ღვაწლი ამ სფეროში მაძლევს მორალურ უფლებას, მოგმართოთ ღია წერილით და გულახდილად გითხრათ: — ვიდრე თქვენ, სრულიად სომეხთა კათოლიკოსი და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოფიციალურად არ მოუხდით ბოდიშს ქართველ ერს ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის დანაშაულის გამო აფხაზეთში, მანამდე ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობაზე ლაპარაკი ფარისევლობაა და მეტი არაფერი. ქართველი ხალხი ვერ დაივიწყებს ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის მიერ ჩადენილ დანაშაულს აფხაზეთში. ამიტომ მეტის დახანება აღარ შეიძლება. დროა, აღდგეს ძველი მეგობრული ურთიერთკავშირი ქართველ და სომეხ ხალხს, მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მოღვაწეებს შორის. გაბზარული მეგობრული სულის გამთლიანება, ღია ჭრილობების მოშუშების საპატიო მისია განგებამ თქვენ დაგაკისრათ და იმედია, ამ ღვთიურ ვალს პირნათლად შეასრულებთ!

ბონდო არველაძე,
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არმენოლოგი

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ № 33, 2006 წ.

# ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის დანაშაულებანი – დროა, ბოდიში მოიხადონ!

*„სომხური შეიარაღებული ფორმირება ჩამოყალიბდა არა სომხეთში, არამედ სხვის სამშობლოში, იმ ქვეყანაში, რომელმაც შეიფარა სომხები, თავად სომეხი ხალხისათვის მნიშვნელოვანი და საამაყო მოვლენაა და ჩვენ, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები, ჩვენ სამშობლოდ ვთვლით აფხაზეთს და ვამაყობთ ზემოხსენებული მოვლენით (ბაგრამიანის სომხური ბატალიონის შექმნით!).* მინდა ვთქვა, რომ ამ სამამულო ომის დროს სომეხ ხალხს კარგად ესმოდა საქმის არსი. ყველაფერს აკეთებდნენ არა ჯოხის და შიშის ქვეშ, არამედ საქმისა და სამშობლოს სიყვარულით. *სომეხ ხალხს ესმოდა, რომ მიზანი ერთი იყო – გათავისუფლებაა აფხაზეთი ოკუპანტი ქართველებისგან."* [1]

*ლევონ მარქარიანი*

*აგვისტოს ბოლოს საქართველოში სრულიად სომეხთა კათოლიკოსს გარეგინ მეორეს ელოდებიან. სომეხთა სულიერი მოძღვარი საქართველოში ეკლესიების გადაცემის საკითხის განსახილველად ჩამოდის, მაგრამ, როგორც ჩანს, სომეხთა კათოლიკოსს სხვა რამეზეც მოუწევს საუბარი. ქართველი მეცნიერები მას კიდევ ერთ საკითხზე სთხოვენ აზრის გამოთქმას. კერძოდ, არმენოლოგმა ბონდო არველაძემ სომეხთა კათოლიკოსს გარეგინ მეორეს და სომხეთის პრეზიდენტს უკვე მიმართა ღია წერილით. არმენოლოგი აფხაზეთის ომში ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის*

---

[1] *გაზ. „კვირის პალიტრა", № 45, 2006 წ.* საუკუნენახევარზე მეტია სომხები ბინადრობენ აფხაზეთში, მაგრამ დღემდე ვერ გაუგიათ, თუ არ უნდათ გაიგონ ერთადერთი ჭეშმარიტება – ისინი ძირძველ ქართულ მიწაზე ცხოვრობენ და მასპინძლები არიან ქართველები (ბ. ა.).

*სომეხთა სულიერი თუ ეროვნული მოძღვრებისაგან ამ ფაქტების დაგმობას და ბოდიშის მოხდას ითხოვს...*

*აფხაზეთის ომში ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის სისასტიკე ქართველი და სომეხი ხალხის ძმობის ისტორიას დამღასავით აზის, მაგრამ მთელი 13 წლის განმავლობაში სომხეთის ოფიციალურ პირებს ამ ფაქტებისათვის შეფასება არ მიუციათ. სირაქლემის პოზაში ყოფნა კი ქართველებს მოსწყინდათ და ბევრმა მეცნიერმა თუ საზოგადო მოღვაწემ, რომლებიც ქართულ-სომხურ ურთიერთობებს აქამდე დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ, ფაქტებისათვის სახელის დარქმევა გადაწყვიტა. სწორედ ამ მიზეზით საქართველოში მალე გამოვა წიგნი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც ზედმიწევნით იქნება ასახული აფხაზეთში ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის დანაშაულებანი.*

*წიგნის გამოსვლის იდეამ შოკში ჩააგდო სომეხი საზოგადოება, მაგრამ ბოდიშის მოხდასა და ფაქტის შეფასებას ჯერჯერობით არ ჩქარობს...*

ბონდო არველაძე (მეცნიერი, არმენოლოგი): მთელმა საქართველომ კარგად იცი, რომ აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ სომხები იბრძოდნენ, უფრო სწორად კი ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი, რომელმაც სისასტიკით გაითქვა სახელი. მისი მებრძოლების სინდისზეა ასობით მშვიდობიანი ქართველის წამებით სიკვდილი. თავად არმენოლოგი ვარ და ეს ფაქტი ყოველთვის მაწუხებდა. ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს მივმართე ოფიციალური წერილით სომხეთის მაშინდელ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მწერალ სერო ხანზადიანს. ჯერ შევახსენე ქართველი და სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორია, შემდეგ კი ვთხოვე, სომხეთის მთავრობასა და ინტელიგენციას, მოწოდებით მიემართათ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი ბაგრამიანელებისათვის, რათა ქართველების ხოცვა-ჟლეტა შეეწყვიტათ. სამწუხაროდ, არავინ გამომხმაურებია. ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენიათ თანამემამულეების შესაჩერებლად. მას შემდეგ 14 წელიწადი გავიდა,

მაგრამ სომხეთის მთავრობას ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ოფიციალური შეფასება ჯერაც არ მიუცია. ამიტომ გადავწყვიტე, შემეხსენებინა სომხეთის მთავრობისათვის, რომ ბაგრამიანელების დანაშაულებისათვის ქართველი ხალხის წინაშე ბოდიში აქვთ მოსახდელი. სწორედ ამიტომ მივმართე სრულიად სომეხთა კათოლიკოსს გარეგინ მეორეს და სომხეთის პრეზიდენტს ქოჩარიანს, მაგრამ ამაოდ. სომხეთის მთავრობის დუმილს ქართველი ხალხი ბაგრამიანელთა საქციელის გამართლებად აღიქვამს. ნამდვილად არ ეკადრებათ ეს ოვანეს თუმანიანის მემკვიდრეებს. 1918 წელს, როდესაც ქართველთა და სომეხთა შორის ომი დაიწყო, თუმანიანის რამდენიმე შვილი ერევანში ჩარჩა. მაშინ ოვანეს თუმანიანმა შვილებს შეუთვალა, თუ თქვენ ქართველების წინააღმდეგ იბრძოლებთ, შეგაჩვენებთ, უარს ვიტყვი თქვენზეო (!)

თუ სომხეთის მთავრობა შეფასებას არ მისცემს ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის ნამოქმედარს, ქართულ-სომხურ ძმობასა და მეგობრობაზე ლაპარაკი ფარისევლობა იქნება. ქართველები ვერ დაივიწყებენ ბაგრამიანელების დანაშაულს აფხაზეთში. ქართველ ხალხს ისიც კარგად ახსოვს, როგორ იბრძოდა ზოგიერთი სომეხი საქართველოსათვის აფხაზეთში. ზოგი ამ ომში დაეცა კიდეც. მათ ქართველი ერი სათანადო პატივს მიაგებს. მაგრამ, ვიმეორებ, იმის, რაც ბაგრამიანის ბატალიონმა აფხაზეთში ჩაიდინა, დავიწყება შეუძლებელია. მათ საუკუნის დანაშაული ჩაიდინეს ქართველების წინააღმდეგ და ამას ვერ გაექცევიან ვერც სომხები და ვერც ქართველები.

**— კონკრეტულად რა დანაშაულებზეა ლაპარაკი? ალბათ, არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელიც ბაგრამიანის ბატალიონის სისასტიკეს და დანაშაულებრივ საქმიანობას ადასტურებს.**

— კონკრეტული ფაქტების დასახელებისაგან მიზეზთა გამო ამჯერად თავს შევიკავებ. არსებობს წერილობითი დოკუმენტური და ვიდეომასალა, რომელიც ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის დანაშაულებებს ასახავს. მასალა ამჟამად მუშავდება და სულ მალე ყველა ფაქტი ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოცემულ წიგნში მოიყრის თავს. სხვათა შორის, დოკუმენტებისა და ფოტო-

მასალების გარდა, არსებობენ სასწაულებრივად გადარჩენილი თვითმხილველებიც. მათ კარგად ახსოვთ ბაგრამიანის ბატალიონის „საგმირო“ საქმეები.

— როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცნენ სომხები ასე?

— ზოგიერთი სომეხი ბაგრამიანის ბატალიონის გამართლებას ცდილობს და ამტკიცებს, რომ თურმე აფხაზებმა სომხები ავტომატების შიშით აიძულეს ბატალიონი შეექმნათ და ქართველების წინააღმდეგ ებრძოლათ, მაგრამ რაც უნდა გაიძულონ, მშობელ დედას უნდა ესროლო?! სომხები აფხაზეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაასახლეს. ქართველებმა შეიფარეს, მიწა-წყალი, სარჩოსაბადებელი გაუყვეს და ამ ხალხისათვის იარაღი უნდა მიეშვირათ? ვთქვათ, ბატალიონის შექმნა აიძულეს (რაც მთლად ასე არ ყოფილა), ქართველების დაწვასა და წამებასაც აფხაზები აიძულებდნენ?! როგორც შევიტყვე, სწორედ ბაგრამიანის ბატალიონის წევრები დაბინავეს გაგრის სანაპიროზე, ქართველთა სახლებში. ამას წინათ სომხეთის პრესაში გამოქვეყნდა წერილი, სადაც ავტორი ტრაბახობდა, სომხებს აფხაზეთის ომის 15 გმირი ჰყავთო. სწორედ ბაგრამიანის ბატალიონიდან არიან ისინი, ვინც აფხაზეთის სეპარატისულმა მთავრობამ ქართველების ხოცვა-ჟლეტისათვის „გმირებად“ აღიარა.

— იმედი გაქვთ, რომ სომხეთის მთავრობა შეფასებას მისცემს ამ ფაქტს ან ბოდიშს მოიხდის?

— სიმართლე გითხრათ, არა, მაგრამ სომხებს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ბრიყვები არ ვართ, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცით და გვახსოვს.

რამდენიმე დღის წინ ერევნელი დოცენტი, გვარად შნასიანი შემხვდა. მითხრა, ბოლო დროს არმენოლოგიურ საკითხებს ძალზე კრიტიკულად უდგებით, ჩვენ ეს გვწყინს და მიზეზიც გვაინტერესებსო. ვუთხარი, ეკლესიებს ითხოვთ, რუკები გამოეცით და ქართულ მიწაზე გაიძახით, სომხურიაო, ანბანიდან დაწყებული ყველა დიდი ქართული კულტურული მემკვიდრეობა სომხურად გამოაცხადეთ; აფხაზეთში ბაგრამიანის ბატალიონმა ისე ამოხოცა ათასობით ქართველი, ბოდიშიც კი არ მოგიხდიათ და ეს საკმარისი არ არის კრიტიკისთვის-მეთქი? შემპირდა, ამ საკითხებზე სომხური პრესით გაგცემთ პასუხსო, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს.

# ბაგრამიანის მიზნებიდან ბაგრამიანის ბატალიონამდე

სერგი საჯაია (საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და აფხაზეთის აკადემიის წევრი): „ბაგრამიანის ბატალიონის შექმნა ბოლო ეტაპი იყო იმ შეთქმულებისა, რომელიც ქართველების წინააღმდეგ ათეულობით წლის წინ მზადდებოდა. ბატალიონს ბაგრამიანის სახელი შემთხვევით არ დარქმევია. სომეხთა შეფარულ აგრესიას ქართველების წინააღმდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითისათვის სოხუმისა და გულრიფშის რაიონებში მომხდარის შესახებ შემიძლია გიამბოთ. სომხური მოსახლეობის აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოყვანა მუშახელის ნაკლებობის საბაბით დაიწყო. მეთამბაქოეობა პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადეს და რატომღაც დაამკვიდრეს აზრი, რომ ამ საქმეს ქართველები ვერ გაუმკლავდებოდნენ. ამ დარგის განვითარების მიზნით, ქართველებს ჩამოაჭრეს მიწები და სომხებს დაურიგეს. მუშაობას ისინიც შეუდგნენ, მაგრამ მალე იმ ტერიტორიაზე თუთის ხეების დარგვა დაიწყეს, თითქოს მეაბრეშუმეობის გასავითარებლად. თითო თუთის ხის დარგვისათვის პრემიასაც კი აძლევდნენ სომხებს. თუთის ხეს რომ მოაშენებდი, ის ადგილი თამბაქოს მოსაყვანად აღარ ვარგოდა, ამიტომ ახალ მიწებს აძლევდნენ თამბაქოს მოსაყვანად. ერთი-ორ წელიწადს სომხები თითქოს უვლიდნენ აბრეშუმის ჭიებს, ხელს უწყობდნენ მეაბრეშუმეობის განვითარებას, მერე ნაკვეთებში ფიცრულების ჩადგმა დაიწყეს. რამდენიმე წელიც და, თუთის ხეები ციტრუსების პლანტაციამ შეცვალა; ფიცრულებში საცხოვრებლად ჩასახლდნენ. ასე შერჩათ სომხებს „თამბაქოს მოსაყვანად“ დარიგებული მიწები. ასე მოექცა სოხუმი და ქართველი მოსახლეობა სომხურ ალყაში. ამ მიზანმიმართულმა პოლიტიკამ მთლიანად შეცვალა დემოგრაფიული სურათიც და ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ პარტიულ მუშაკებსაც. ეს იყო დიდი არმენიის შესაქმნელად გადადგმული გეგმაზომიერი ნაბიჯი და ამაში ერთმა შემთხვევამ სამუდამოდ დამარწმუნა. 70-იანი წლების დასაწყისში მე და ჩემმა დეიდაშვილმა მოსკოვში წასვლა გადავწყვიტეთ. მაშინ მოსკოვი-ერევნის მატარებელი დადიოდა. ბილეთები ვერ ვიშოვეთ და გამცი-

ლებელს ვთხოვეთ წაყვანა. გამცილებელმა საერთაშორისო ვაგონი შემოგვთავაზა. დავსხედით. ჩემი დეიდაშვილი ბერძენია, მეც დედით ბერძენი გახლავართ და ბერძნული საუბარი გავაბით. უცებ გვერდით კუპიდან სპორტულად ჩაცმული კაცი შემოვიდა. ქართველები არ ხართო? — გვკითხა და თავის კუპეში შეგვიპატიჟა. არაფერი მითქვამს, მისი აზრები მაინტერესებდა... ამოალაგა სომხური დელიკატესები, გაშალა პურ—მარილი, ცოტა დავლიეთ კიდეც... ერთი სიტყვით, ერთი-ორი ჭიქის შემდეგ ჩვენს მასპინძელს ენა გაეხსნა. დიდი ინტერესით გვკითხა, აფხაზეთში რა ამბავია, ქართველები ხომ არ გავიწროვებენო. ვუთხარი, არის პატარ-პატარა გაუგებრობები, მაგრამ ისეთი არაფერი-მეთქი... დაგვამშვიდა, ცოტა მოითმინეთ და აფხაზეთში ქართველების ჭაჭანება აღარ იქნება, აფხაზეთი მალე „ველიკაია არმენიას" ნაწილი იქნება; აღმოსავლეთ საქართველო უკვე ამ გზას ადგას, მაგრამ აქ მეგრელები გვიშლიან ხელსო და მეგრებლების მისამართით ისეთი ეპითეტები იხმარა, რომ არც ღირს მოხსენიება. ჩვენმა მასპინძელმა ის გეგმა გაგვაცნო ზოგადად, რომლითაც სომხები რუსეთთან ერთად აფხაზეთიდან ქართველების და აფხაზების განდევნას აპირებდნენ. ის კაცი კი მარშალი ბაგრამიანი აღმოჩნდა. მასთან საუბრის შემდეგ დავრწმუნდი, რომ აფხაზეთის გაარმენება რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო. რუსებს ეს ხელს აძლევთ, რადგან სომხები მუდამ რუსეთის იმპერიის სტრატეგიულ მოკავშირეებად ითვლებოდნენ. აფხაზეთიდან ქართველთა განდევნის გეგმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში შემუშავდა. სხვათა შორის, ესეც ბაგრამიანმა გვითხრა. ისე, ამ საქმეს ქართველების ხელშეწყობის გარეშე ვერ მოახერხებდნენ.

სოხუმის რაიონში არსებობდა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა. საცხოვრებლად სამოთხე იყო. 1989 წელს სწორედ ამ კოლმეურნეობიდან გამოიყო 19 სამოსახლო მიწის ნაკვეთი. აქედან მხოლოდ ორი ერგო ქართველს და ისიც სომხების დახმარებით (?!). ერთ-ერთს თურმე სომეხი საყვარელი ჰყავდა. იმავე წელს ხელში ჩამივარდა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შუამდგომლობა, ვისთვის უნდა გამოეყოთ აფხაზეთში მიწის ნაკვეთები. მაგალითად, მთელი გულრიფშის რაიონიდან აფხაზეთში 0,15 ჰექტარი გამოუყვეს ერთადერთ ქართველს, მაშინ, როცა სომხებს დაუბრკოლებლად აძლევდნენ 0,25 ჰექტარს.

ის ერთადერთი ქართველიც ბაბუშერის ეთერზეთების მეურნეობის მთავარი ბუღალტერი იყო, ფული თავზე საყრელად ჰქონდა. ამისთანა კაცმა 0,15 ჰექტარის მეტი ვერ აიღო და უფულო ქართველი რას გააწყობდა? თავად სოხუმელი კაცი გახლავართ, ძირძველი, ნამდვილი აფხაზი. სოხუმის რაიონში რომ არის ბერკეთის ხეობა, სწორედ იქიდან ვარ, სოფელ აკაფიდან. ერთხანს სხვა სოფელში ვმუშაობდი. დასასახლებლად მიწის ნაკვეთი მჭირდებოდა. მის ნაცვლად ჩემი საგვარეულო მიწის ჩაბარება გადავწყვიტე, მაგრამ მაინც ექვსი წელიწადი ვიწვალე, რომ ჭაობიანი მიწა მოეცათ, მაშინ, როცა სომხებს უპრობლემოდ ურიგებდნენ საუკეთესო მიწებს. ის სოფელი, სადაც დავსახლდი, იმ ექვსი წლის მანძილზე, ჩემ თვალწინ იქცა სომხურ სოფლად. ასე ხდებოდა სომეხი მოსახლეობის მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური მომზადება და ჩამოყალიბდა კიდეც სომხური მოძრაობა „წერო“, მოგვიანებით კი, სისასტიკით განთქმული ბაგრამიანის ბატალიონიც შეიქმნა.

ომში ტყვეები და მკვლელობა არ არის გასაკვირი, მაგრამ აქაც არსებობს ზნეობრიობის კრიტერიუმი. სწორედ ეს არ გააჩნდათ ბაგრამიანის ბატალიონის ბოევიკებს. ქართველებს ხომ უმოწყალოდ ხოცავდნენ, ქართულ წიგნებსაც ანადგურებდნენ, წვავდნენ. ბაგრამიანელებმა, რომელთა შორის ჩემი სომეხი მეზობლებიც იყვნენ, მე რომ ვერ მომიხელთეს, სახლიდან ჩემი პალტო გამოიტანეს, ხეზე დაკიდეს და დაცხრილეს. მოკლედ, სიმბოლურად დამხვრიტეს, ჩემი უმდიდრესი ბიბლიოთეკა კი ცეცხლს მისცეს...

სამწუხაროდ, ამ ტრაგედიას თვითონვე შევუწყვეთ ხელი, ქართველი პარტიული მუშაკები ქრთამის სანაცვლოდ ყველაფერზე მიდიოდნენ.

სპიტაკში მიწისძვრის შემდეგ სომხები საბჭოეთის სხვადასხვა ქალაქში დაანაწილეს, მაგრამ მითითება იყო, არსად არ უნდა ჩაეწერათ. აფხაზეთში სპიტაკიდან დროებით ჩამოსახლებულმა კი ეს იოლად მოახერხეს ქართველი პარტიული მუშაკების მეშვეობით. მე კი, როგორც სკოლის დირექტორს, 25-ბავშვიანი ქართული კლასი რომ დამემტკიცებინა, ჯერ სოხუმში, მერე თბილისში ქრთამი უნდა მიმეცა, მაშინ, როცა 15 ბავშვზე სომხური, რუსული და სხვა ეროვნების კლასებს უპრობლემოდ ამტკიცებდნენ. ასე რომ, ბევრმა ქართველმა 30 ვერცხლად გაყიდა თავისი ქვეყანა.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტში ეთნოკრატიის კვოტით ინიშნე-ბოდა ხალხი. ასეთ ადგილებზე საგანგებოდ ნიშნავდნენ სულით ხორცამდე გახრწნილ ქართველებს, რომელთა შეგნება და მენტალი-ტეტი ქართველობის იდეისაგან ძალიან შორს იყო. ჭირი როგორ შეიძლება მარგებელი იყოს, მაგრამ იმ ჭირმა ასეთ ქართველებს დაანახა, რომ არ შეიძლება მშობლიური მიწით ვაჭრობა.

ბაგრამიანის ბატალიონის სისასტიკეზე უამრავი შემზარავი ფაქტი ვიცი. ტყვედ ჩავარდნილ ან მშვიდობიან მოსახლეებს (მათ შორის, ომის შემდგომაც) ხეზე აბამდნენ, თავზე საბურავებს აცმევდნენ და ისე წვავდნენ. რამდენი ქალი გააუპატიურეს... სოფელ იაშიხვაში ერთი ახალგაზრდა ქართველი ქალი ჩარჩა და სომხების ოჯახში იმალებოდა. მათ გასცეს ქალი და ჯალათებს მიუგდეს. მთელმა ბაგრამიანის ბატალიონმა გააუპატიურა საბრალო და ჭკუიდან შეიშალა.

რამდენი ასეთი ტრაგიკული ისტორიაა, რომელი ერთი გავიხსენო. შესაძლოა, ვინმემ ანტისომხური ფსიქოზიც დამწამოს, მაგრამ მათ გასაგონად ვიტყვი: მე ვიყავი ის მასწავლებელი, რომელიც რუსუ-ლი სკოლის მოსწავლე სომეხ ბავშვებს ფაკულტატურის ხარჯზე სომხურ წერა-კითხვას ვასწავლიდი, რომ მშობლიური წერა-კითხვა და მშობლიური ქვეყნის ისტორია სცოდნოდათ. სამწუხაროდ, ჩვენი შემწყნარებლობა და მოთმინება სიბრიყვეში გადაიზარდა და დროა, ხმა ამოვიღოთ. ამას წინათ თბილისში გამოვიდა ვინმე იშხანიანის წიგნი, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ქართველთა გადაშენება დემოკრატიისა და პროგრესის გამარჯვებაა, რომ მას უფრო სი-ცოცხლისუნარიანი ერი უნდა ჩაენაცვლოს (!) ყოველივე ამის შემდეგ არ მაქვს იმედი, რომ სომხები ბოდიშს მოიხდიან ბაგრამიანის ბატალიონის დანაშაულებისათვის. ჩვენ არ უნდა გავჩუმდეთ, მსოფ-ლიოს გასაგონად უნდა ვთქვათ ყველაფერი.“

ნოდარ ნათაძე. „ბაგრამიანის ბატალიონს უამრავი სასტიკი დანა-შაული აქვს ჩადენილი. ომი უკვე დამთავრებული იყო, როცა ქართ-ველმა პატრიზანებმა სომეხი ეროვნების მებრძოლი აიყვანეს ტყვედ. ტირილი და მოთქმა-გოდება დაიწყო. შეეცოდათ ქართველებს და მის გაშვებას აპირებდნენ, როცა გულზე დაკიდებული პარკი შენიშნეს. გახსნეს და შიგ ქართველების დათხრილი თვალები, მოჭრილი ყურები

და ცხვირი ნახეს. ეს სომეხი ბაგრამიანის ბატალიონის წევრი აღმოჩნდა. აფხაზები ბაგრამიანის ბატალიონის წევრებს თითოეული ქართველის მოკვლაში 100 დოლარს უხდიდნენ, ამის დასადასტურებლად მათ მოკლული ქართველის რაიმე ორგანო უნდა წარედგინათ..."

*ამის თვითმხილველი გერმანე ბესელია შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. მხოლოდ მის სოფელში სომხებმა და აფხაზებმა 67 ქართველი გამოასალმეს სიცოცხლეს.*

გერმანე ბესელია. „სახლ-კარის დატოვება ბევრს არ უნდოდა. ზოგს მწოლიარე დედა, და ან ძმა ჰყავდა სახლში. სომხების ჯგუფი შემოვიდა სოფელ მერხეულში. მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის დახვრეტა რომ დაიწყეს, ჩემმა მეზობელმა ქალმა თავის ზვინში დამალვა მოახერხა. სომხებმა შენიშნეს, თივის ზვინი თოკით მაგრა შეკრეს, ცეცხლი წაუკიდეს და შორიდან უყურებდნენ. ჩემს მეზობელ მოხუც ქალს მთელი სოფლის თვალწინ ნაჯახით წააცალეს თავი... აი, ასე სასტიკად ექცეოდნენ ისინი ქართველებს."

ბატალიონი ომის დაწყებისთანავე შეიქმნა. ძირითადად, გაგრელი და გუდაუთელი სომხებისაგან იყო დაკომპლექტებული და მას ვინმე ტრაპიზონიანი ხელმძღვანელობდა.

P.S. გენერალურ პროკურატურაში აფხაზეთის ომში ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ მრავალტომიანი მასალა ინახება. ყველაზე შემზარავი ბაგრამიანის ბატალიონის დანაშაულებია. როგორც ამ მასალებში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, გილაევისა და ბასაევის რაზმების სისასტიკე ბაგრამიანელების „გმირობებთან" მოსატანიც არ არის.

თივაში ჩამწვარი და ნაჯახით თავწაკვეთილი ქართველი ქალების და ბავშვების სისხლი ბაგრამიანის ბატალიონელთა სინდისზეა.

*ხათუნა პაიჭაძე*

*„კვირის პალიტრა", №34, აგვისტო, 2006 წ.*

# როცა ჩასაფრება ცხოვრების მიზანია

*ამ დღეებში ხელში ჩამივარდა აგრესიული სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, ვინმე ხოჯაას (სინამდვილეში, რაც არ უნდა იუაროს, ხოჯავას) წიგნი ი.ქ. ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის საბრძოლო გზაზე, რომელიც აფხაზეთში ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.*

*გადავშალე და ბატალიონის სისხლისმსმელ თოფოსანთა სიაში არაერთი ჩემი თანაქალაქელის, ჩემგან დაპურებულის, ხელგამართულის, გზაზე დაყენებულის, მეზობლის, თანამშრომლის გვარი ამოვიკითხე.*

*ეს ყველაფერი ადრეც ვიცოდი, მაგრამ, როცა ხელშესახებად დამიდეს წინ, თვალებს მაინც არ დავუჯერე, ნუთუ შეიძლება ლალატის ასეთი ოდენობა დამალო და ასე ატარო.*

*ერთი კია, ვიღაც ხოჯაა (ხოჯავა), რომელსაც ახლა უხვი ჰონორარებით ასაჩუქრებენ, დრო მოვა და თვით არმენი ხალხისაგან შეჩვენდება, რადგან ასეთი ვერაგული ფურცლები, ნივთმტკიცებად რომ ლაღადებენ, დაუტოვა ისტორიას.*

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ ცხუმ-აფხაზეთში) ადგილობრივი არმენი მოსახლეობის ერთი საგრძნობი ნაწილის მიერ ჩადენილი პირუმტკიცობა და მუხანათობა, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე ზნეობრივ-სამართლებრივი შეფასება არ მიეცა, გახლავთ ისეთი მეტასტაზი, ჩვენი ხალხების კეთილმეზობლობას ეჭვქვეშ რომ დააყენებს ხოლმე.

არადა ისტორიის გადაკეთება, შელამაზება, როგორც წესი, თავისი შედეგებით ხელს უწყობს გაუგებრობათა დაქსელვას, თავსმოხვევას, გაუგებრობას, საბედისწერო დაპირისპირებას.

სიმართლე, რაც უნდა მწარე იყოს იგი, გახლავთ ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც საგაკვეთილო დასკვნები უნდა გაკეთდეს. აქ კი საჭიროა ჩვენი არმენი კეთილი მეზობლებისა და ძმების (საბედნიეროდ, არის ასეთი ხალხიც) წინდახედული, მიუკერძოებელი და მკაცრი გამოხმაურება ყოველივე იმისადმი, რაც დიდი ოვანეს თუმანიანის ანდერძის საწინააღმდეგოდ, იმპერიის დაკვეთის შესაბამისად, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს დაუპირისპირდება.

ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, საკუთარ თავზე

გვაქვს გამოცდილი ის ზნეობრივი, პოლიტიკური თუ მილიტარისტული დემარშები (ეს, რბილად რომ ვთქვათ), სხვა მიზეზებთან ერთად, რომლის წყალობითაც ამ დღეში აღმოვჩნდით.

ამასთან დაკავშირებით, რომელი ერთი უნდა გავიხსენო. მაგონდება 1989 წლის აგვისტო, როცა უკვე ჩავლილი იყო სოხუმში 15-16 ივლისის სისხლიანი მოვლენები. სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთაში გაიხსნა საბავშვო ბაღი რუსული, არმენული და ქართული განყოფილებებით. სოფელ გუმისთის არმენულმა მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა ქართული განყოფილების გახსნით და წინ აღუდგა მას (ბავშვები გარეთ გაყარა).

იმავე წლის 5 სექტემბერს გაზეთ „ვრასტანის" რედაქციაში, სოხუმის საზოგადოებრიობის რწმუნებით, მეგობრებთან ერთად შევხვდი ბატონ ვან ბაიბურთსა და არმენული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მესვეურებს და გადავეცით მომხდარის სახიფათო შინაარსი. მათ აღგვითქვეს ვითარების მოწესრიგება, ანუ შესაბამისი განმარტებითი მუშაობა არმენ მოსახლეობასთან. სამწუხაროდ, ზოგიერთს, სურს ასეთი პროვოკაციების ფაქტები იუარონ, მაგრამ ის შემთხვევა და შეხვედრები არმენ საზოგადო მოღვაწეებთან დაწვრილებითაა მოთხრობილი სოხუმის რაიონის სახალხო დეპუტატთან აღმასკომის გაზეთ „შრომაში" (1989 წლის 23 სექტემბერს).

თუ როგორი ახსნა-განმარტებითი მუშაობა „ჩატარდა" გუმისთაში, ამის მკაფიო მაგალითია 1990 წლის 30 აპრილს იმავე სოფელში მომხდარი დაპირისპირება, რომლის ჩაქრობა ქართულ ეროვნულ ძალისხმევას ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გავლად დაუჯდა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ სოფელში უსახლკარობით წლების მანძილზე განგებ გაწამებულმა ქართველებმა თვითნებურად მიიღობეს არმენებზე საეჭვო დაინტერესების საფუძველზე გაცემული საიჯარო მიწები. ნაჯახით და ხელჯოხებით შეიარაღებული მოიჯარეები დაესხნენ ქართველებს (საბედნიეროდ, ჩვენ მაშინ შევძელით მდგომარეობის განმუხტვა).

თუ ამ სამწუხარო ამბის გახსენება ვინმეს ანტიარმენული განწყობის ქადაგებად მოეჩვენება, მის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: 1987-89 წლებში სოხუმის რაიონის ახალშენის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სადაც სწავლება ქართულ-რუსულ სექტორებზე მიმდინარეობდა, მე, სკოლის დირექტორმა, წინააღმდეგ არსებული სასწავლო გეგმისა, არმენი მოსწავლეებისათვის ფაკულტატიის საათების ხარჯზე შემოვიღე არმენული ენის, ლიტერატურისა და

ისტორიის სწავლება, რათა ამ ბავშვებში არ ჩაკლულიყო მშობლიური სული და ცნობიერება. 1989 წელს ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით ამირჩიეს ახლად გახსნილი სოხუმის რაიონის თავისუფლების ქართული საშუალო სკოლის დირექტორად. ეს სკოლა არმენულ სკოლას შეხიზნული ქართული კლასების ბაზაზე გაიხსნა. დიახ, დიახ, იმ კლასებზეა საუბარი, რომელთა არსებობის 15 წლის მანძილზე ხდებოდა მათი დარბევა, სკოლის შენობიდან არმენი მასწავლებლების მიერ ქართველი მოსწავლეების გაძევება, დათრგუნვა, ხელის შეშლა, აბუჩად აგდება. სხვათა შორის, ამის შესახებ თავის დროზე წერდა ზვიად გამსახურდიას თაოსნობით გამომავალი ხელნაწერი ჟურნალი „ოქროს საწმისი". მიუხედავად ამისა, არავინ დავპირისპირებივართ, პირიქით, ახალგაზრდულ ქართულ სკოლაში ქართველ ბავშვებს, რომლებიც არმენულ ენას ფლობდნენ, არმენ თანატოლებთან ყოველდღიურად ურთიერთობა ჰქონდათ, იმავე ფაკულტატივის ხარჯზე გავუხსენი ოვ. თუმანიანის სახელობის ლიტერატურულ-შემეცნებითი წრე, სადაც მოსწავლეები სასაუბროდ დაუფლებული არმენული ენის წიგნიერ დახვეწაზე მუშაობდნენ, მოწვეული გვყავდა მაღალი კვალიფიკაციის ეროვნებით არმენი მასწავლებელი, რომელსაც ყველა პირობა ჰქონდა სამუშაოდ. ამის შესახებ გაზეთ „ერასტანშიც" იწერებოდა და ამას ხალხთა ნამდვილი მეგობრობის გამოვლენას არქმევდნენ. ასეც იყო ჩვენი მხრიდან, მაგრამ როდესაც ამის საპასუხოდ გავიგე, რომ 1990-93 წლებში, ომის დროს, სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფლების ქართული მოსახლეობის დანაზოგით აშენებული ქართული სკოლა ჩემმა არმენმა კოლეგებმა მიწასთან გაასწორეს, ჩემი ტანჯვით ნაშენები სახლ-კარი გადამიწვეს, აწამეს ათასობით მშვიდობიანი თანამოძმე, მუხანათურად გამისხვისეს სამშობლო, უფლებას ვიტოვებ, მოვლენას საკუთარი სახელი დავარქვა — ღალატი, ზურგში მახვილის ჩაცემა, ანუ დიდი ოვანეს თუმანიანის ანდერძისგან განდგომა, ამ ბრძენკაცის მოძღვრების გათელვაა ეს. ეს მარტო მე კი არა, თვით არმენმა საზოგადოებამ უნდა განაცხადოს, დაგმოს.

სწორედ „აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში)" ე.წ. არმენი საზოგადო მოღვაწეების მტრული დამოკიდებულება ქართველთა მიმართ (ისევე, როგორც რუსული ინტერფრონტული მოძრაობა) გახდა იმის მყარი საფუძველი, რომ აგრესული სეპარატიზმის მესვეურებს ვ. არძინბას თაოსნობით, თანამიმდევრულად განეხორციელებინა ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

რომ არა არმენული „კრუნკი“, „სლავიანსკი დომი“ და მისთანა შენიღბული ბოლშევიკური მოძრაობები, 1991 წლის დეკემბრის საბედისწერო დღეებში, როცა თბილისში იმპერიის ერთჯერადი მოხმარების ხელისბიჭებმა ქართველი ერის თავისუფლებასა და სახალხო ნებას ესროლეს. ვ. არძინბა 29 დეკემბერს ვერ გაბედავდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მიეღო დადგენილება ე.წ. დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ, რომელმაც მონონაციონალური ნების გამოხატულებით დაიქვემდებარა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) დისლოცირებული სამხედრო ნაწილები, ანუ აგრესიული სეპარატიზმის მიერ შექმნილი მილიტარისტული ორგანო დროში უსწრებდა 1992 წლის 2 იანვარს მოსკოვის მიერ ხელდასხმულ სათბილისო „სამხედრო საბჭოს“. ნიშანდობლივია, რომ ვ. არძინბას სამხედრო „მთავარბანაკში“ თავმჯდომარის მოადგილეებად დაინიშნენ ეროვნებით აფსუა პოლკოვნიკი არშბა და არმენი პოლკოვნიკი ლ. გოგოჟიანი. ამ ე.წ. მთავარბანაკის 9 წევრიდან ქართველი (თუნდაც მოღალატე) არც ერთი არ იყო, წარმომადგენლობა აფსუებთან ერთად გაინაწილეს რუსებმა და არმენებმა.

აგრესიული სეპარატიზმის თვითდამკვიდრებას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ყოველთვის — 1917 წლიდან 1922 წლამდე, და დღემდე, ყოველთვის საიმედო ზურგის ქარად ედგა არმენთა აქტიური და ტენდენციური, უფრო სწორად, ქართველთა საწინააღმდეგოდ დასაქმებული „ნეიტრალიტეტი“ (აქვე პატივს მივაგებ იმ არმენ მოღვაწეებს, რომელთაც იგაკვეთილეს ოვ. თუმანიანის ანდერძი — სააკიანი, ბანდურიანი, დეპელიანი).

და მაინც, ჩვენი სახლიკაცი არმენი, თუნდაც ის ჩვენს უბანში იყოს გამოპურებული, არც თუ იშვიათად რაღაცნაირი შთაგონებით ცდილობს, შემთხვევა თუ მიეცა, შუაკაურით მოგვეპაროს: ამერიკაში (ნიუ-იორკში) გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის „Новое русское Слово“-ს ვრცელ პუბლიკაციაში ჟურნალისტი ანატოლი ფედოროვი წერს: „На холмах Грузии лежит тень России“.

დაუხანებლად, იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში ვინმე ვ. შახბაზიანმა, საშუალება მიეცა და საქართველოზე მორიგი დეზინფორმაციის გავრცელება სცადა:

„Абхазия никогда не была в составе Грузии. Ее население состаялся преимущественно из абхазов, мингрелов, греков и армян (последние — беженцы из Турции 1906 года).

Во время этнических чисток очень многие представители этих национальностей были уничтожены или высланы. Их место заняли грузины.

От своей исторической памяти не могут отрешиться ни евреи, ни армяне, ни прибалты, ни абхазы. Тоталитаризм оставил ужасные шрамы в душах людей, и это отзывается в виде этнических конфликтов. И Абхазия, и Аджария, и Южная Осетия не были частью Грузии, они были включены в ее состав в годы правления Сталина."

არა, ზღვარგადასული სულაც არ იქნება, თუ ვიტყვით, ამ სიმართლით გევლოს-მეთქი. ის, რომ ეს ყველაფერი თეთრი ძაფით ნაკერია და დაბოლმილი სიცრუის მეტი არაფერია. ჩვენ კი ვიცით, მაგრამ საქართველოს ისტორიაში გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაში დივერსიულ სტერეოტიპად მკვიდრდება. რაც შეეხება ჩასაფრებულის შთაგონებას. აი, რა გენეტიკური უმადურობა და სიძულვილი კვებავს მას: „Мне, родившемуся и выросшему в Грузии, легко на него ответить: грузинский шовинизм периода сталинщины был намного тягостнее российского. Здесь, пожалуй, уместно поговорка: "Уж если пан плох, то из хама пан во сто раз хуже".

ამ სიძულვილის გამო, აი, რა მიზნობრივ თვითგვემას იხვევს თავზე იგი: „Я, находясь в Москве, никогда не хотел пить продающиеся там грузинские вина..."

ძალიან მინდა, ვ. შახბაზიანის ხმაბოდვითი საუბარი გამონაკლისი იყოს, მაგრამ, როგორც ჟამთაბერი ადასტურებს, იგი, ჯერჯერობით, ჩვენი კარის მეზობლის სახეზოგადობაა!.. აქ კი, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაიბადოს კითხვა: — რატომ, სწორედ ჩვენი ყოფნა-არყოფნის ჟამს, რად ხდება ამგვარი ვერაგობა?!

დიდია არმენი საზოგადოებრიობის მხარდაჭრა 1992 წლის 23 ივლისს, როცა საქართველოში მიზნობრივად თავსმოხვეული სამართლებრივი განუკითხაობა დათარეშობდა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის სახელით სეპარატისტული ხროვის მიერ აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტასა და ე.წ. აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის ამოქმედებაში.

ეს, რაც შეეხება ე.წ. სამართლებრივ სივრცეს. იმავდროულად მიმდინარეობდა გაუხმაურებელი მზადება აფხაზეთიდან ქართველე-

ბის განდევნისა და მათი გენოციდისათვის. ამ საქმეში, რომელიც დადგენილი იყო 1992 წლის აგვისტოს შუა რიცხვისათვის, განსაკუთრებულ დაინტერესებას არმენი მოხალისეები ავლენდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროა, საზოგადოება განთავისუფლდეს იმ თავზე ნაცრის გადაყრის უსაფუძვლო სურვილისაგან, თითქოს ავანტიურის ინსპირირებაში ვ. არძინბა ბოჩოლასავით უმანკო იყოს. არ არის ასე. ჯერ ერთი, ე. შევარდნაძეც და ვ. არძინბაც ერთი და იგივე იმპერიული ძალის მხარდამჭერი, ანუ ერთი სხეულის ორი ჩექმა იყო ქართული ეროვნული ხელისუფლების გასათელად. მეორეც, 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ნაწილმა მას (ვ. არძინბას) მიმართა, დაეცვა მოსახლეობა, მათ შორის ქართველი მოსახლეობა, მან ქართველები კანონგარეშედ გამოაცხადა და აგრესიული სეპარატიზმის პროპაგანდით გზაკვალარეულ თანამოძმეებს ქართველობა სამიზნედ დაუდგინა.

ყოველივე ამის სისრულეში მოსაყვანად განსაკუთრებული მონდომება და მოხალისეობა გამოიჩინეს ბაგრამიანის ბატალიონის თოფოსნებმა. იგი შეიქმნა 1993 წლის 9 თებერვალს (ბრძანება №55). მათი სისასტიკე ქართველთა მიმართ განსაკუთრებული, ზღვარსგადამცდარი და დაუნდობელი იყო: 1993 წლის 27 სექტემბერს და შემდგომ დღეებში, როცა ისინი ენით აუწერელი სიამოვნებით ხვრეტდნენ უმწეო ქალებსა და ბავშვებს საკუთარ საკარმიდამოებში, ცინიკურად ბღაოდნენ: — იყო თქვენი, ახლა ჩვენიაო, აფხაზეთი ჩვენი პატარა არმენიაა, დიდი არმენიის დასავლეთ სანაპიროო. მარტო არმენთა ჯგუფმა, რომელმაც ქ. სოხუმში ტურბაზის რაიონში ქსენია ცქვიტაიას სახლში, ამ დედაბრის მიერ გაწყობილ სუფრაზე იქეიფა, მუცლის ამოყორვისთანავე, გალეშილებმა ერთმანეთის მიყოლებით თავთავიანთ ეზოებში, გასართობად დახვრიტა ქ. ცქვიტაია (მასპინძელი), ზურაბ კემულარია, დარეჯან თურქია, ოთარ გეგეჭკორი, ვალოდია კალანდია მეუღლესთან და დედასთან ერთად, ლადო ბენიძე და მისი ოჯახი, ბერიძეები, შარდენ კალანდიას ოჯახი, ძმები ფაცაციები... (თვითმხილველ ტოგო ჭელიძის მოგონება).

ზემოთ მოგახსენეთ, რომ არმენ ბავშვებს მათ მშობლიურ ენასა და ისტორიას ვასწავლიდით-მეთქი. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა შემდგომში გახდა ჯაშუში და მოძალადეთა მეგზური, მდინარე გუმისთის ხეობაში მტერს ინფორმაციებს უგროვებდნენ, აწვდიდნენ და შესაბამის დროს შემოუძღვნენ კიდეც ამ ხეობის ქართული სოფლების

ამოსაწყვეტად. დიახ, ისინი ერთგვარი აღმაფრენით უთითებდნენ მტერს ქართველთა ადგილსამყოფელს. მაგალითად, საკუთარმა სომეხმა მოსწავლემ ამოწყვიტა სოფ. ახალშენში საშა ცხვარაძის ოჯახი. მე არ ვიცი, ახლა რას განიცდიან ის ადამიანები, რომლებსაც 1992-93 წლებში სითბოსა და პურს ვუყოფდით, ხოლო ისინი თავიანთი ტელეფონებით სამეზობლოდან საქმის ვითარებას აცნობდნენ მტერს. საერთოდ, ამ საომარ ავანტიურაში ჩამოთვლა არა აქვს ქართული მხარის დოყლაპიობას.

არსებობს საკმაო მტკიცებულებები, რათა ხმამაღლა ითქვას, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) თუ არმენი მოსახლეობიდან ორი ათასამდე კაცმა ჩვენ წინააღმდეგ იარაღს მოკიდა ხელი, ამ მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა ჯაშუშური საქმიანობა გააჩაღა, იმავდროულად, ყოფით ყოველდღიურობაში „კეთილმეზობლობდა“ ქართველებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ წუთებში, როცა იმ მუხანათობას ვიხსენებ, ასევე მახსენდება, დიდი ოვანეს თუმანიანის ანდერძის ერთგული, ვიმეორებ, კაცურ კაცად დარჩენილი არაერთი არმენი, თავს უფლებას არ მივცემ მივჩქმალო საუკუნის ვერაგობა, რომლისთვის არმენი საზოგადო მოღვაწეების მხრიდან შეფასების მიუცემლობაც კიდევ ერთ დამამძიმებელ ცოდვად დააწვება ჩვენი ხალხების თანაარსებობის წესრიგს.

ნუთუ მრავლისმთქმელი არაა ის, რომ სწორედ 1989 წლის 9 აპრილისა და 15-16 ივლისის შემდეგ, როცა კრემლის მითითებით დაარბიეს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართულ მამულში, როგორც საზურგე მახვილი, გამოიჭედა ე.წ. „კრუნკი“ — თავისი შინაარსით საქართველოს დამოუკიდებლობის თანამიმდევრული მტერი და ქართველთმოძულე პოლიტიკური ფაქტი?!

ის კი არადა, სწორედ ამ ანტიქართული ხელგამოღების რიგებში გაწევრიანდა ასობით სპიტაკელი ხიზანი, რომელთაც 1988 წელს მიწისძვრისაგან თავს დამტყდარი უბედურებისაგან თავშესაფარი თუ ხელგაწვდენა ქართველთა შორის ჰპოვეს.

არმენები, რომლებიც განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს შავიზღვისპირეთის დენაციონალიზაციის მიზნით თურქეთიდან მასობრივად შემოასახლეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში). ე.წ. ადგილებზე ყოველთვის ახორციელებდნენ რუსისტულ პოლიტიკას, აქედან გამომდინარე, ისინი დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ განსაკუთრებული წინააღმდეგობით გამოირ-

ჩეოდნენ ამ მხარეში 1917-21 წლებშიც, ხოლო აფხაზეთის გასაბჭოების შემდეგ ცდილობდნენ აფხაზეთის ჩამოცილებას საქართველოდან. ამ მხრივ საგანგებოდ გამოირჩეოდნენ ე.წ. რევოლუციონერები, სინამდვილეში ყაჩაღები: გ. ჩოლოკიანი, ს. მინასიანი, ა. გურუნიანი, გ. ათარბეკოვი, ა. კეშიანი, კ. მელქონიანი და მრავალი სხვები, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ჩემს სახლიკაც არმენებს უნდა შევახსენო: როცა სულნათელ ოვანეს თუმანიანთან ერთად დიდი ანდრონიკი 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს სასაუბროდ შეხვდა, მათ გულღიად, ისე, როგორც სუფთა ადამიანებს შეჰფერით, 1918 წლის არმენთა საომარ ავანტიურაზეც ისაუბრეს. მაშინ დიდმა ანდრონიკმა განაცხადა: ჩვენმა ხალხებმა უნდა იცოდნენ, თუ დილით არმენი ერი დაიმარხება, საღამოს ქართველს მიადგებიან დასამარხად, ხოლო თუ დილით ქართველს დაუპირებენ დამარხვას, ელოდეთ, საღამოს უსათუოდ არმენთა ჯერი დადგება...

ვერაფერს ვიტყვი, წამგაუცდენლად დასამახსოვრებელი სიბრძნეა!..

ვიგაკვეთილოთ აფხაზეთში საომარი ავანტიურის შედეგები, რომელიც ვერანაირად ვერ იქნება საბედნიერო არმენული სახელმწიფოსათვისაც. კეთილმეზობლობა არ არის ცალმხრივი ურთიერთობა, იგი მხარეთა ურთიერთპატივმიგებაა, რომლის გარეშე მშვიდობიან კავკასიაზე ოცნება მკვდრადშობილ სურვილად რჩება.

სხვა, ქვეგამხედვარე სურვილი მე არა მაქვს.

სერგი საჯაია
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და
აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №220, 2006 წ.

Опубликовано 15:1425.12.2006
Документ: http://www.regnum.ru/news/760495.html

## Эксперт: Власти Грузии ведут активную антиармянскую пропаганду, которая основана на фальсификациях и лжи

Власти Грузии ведут активную антиармянскую пропаганду, которая основана на фальсификациях и лжи. Об этом 25 декабря на обсуждениях "Политика Грузии и региональная безопасность", организованных аналитическим центром "Митк", заявил эксперт центра **Эдуард Абрамян**.

Как передает корреспондент **ИА REGNUM**, по его словам, после распада Советского Союза армяно-грузинские отношения перешли на новую стадию развития, никак не связанную с общим прошлым обоих народов, и все больше и больше усложняются. Он отметил, что на сегодняшний день периодически предъявляемые друг другу различные претензии и обвинения, в основной массе своей, не соответствуют действительности и имеют чисто пропагандистский характер. В частности, Эдуард Абрамян указал на обвинения грузинской стороны, предъявляемые Армении в связи с участием батальона абхазских армян - "Баграмян" в боевых действиях против грузинских ВС на стороне абхазской армии в 1992-1993 гг. В этой связи он отмечает, что в современной грузинской историографии немало фальшивых "фактов" о деятельности армянского батальона, основная мысль которых заключается в обвинении армянских солдат в участии в заранее спланированной депортации и уничтожении грузинского населения края. Рассматривая так называемее "научные" труды тех немногих грузинских историков, апеллирующих к вышеуказанным "фактам", Эдуард Абрамян, в частности, остановился на работах арменоведа **Бондо Арвеладзе**, в которых содержится масса безосновательных, не базирующихся на конкретных фактах обвинений. К примеру, обвиняя солдат батальона "Баграмян" в актах массового насилии в отношении мирного грузинского населения, Арвеладзе отмечает лишь, что "наверное, существуют докумен-

тальные материалы, которые доказывают жестокость и преступления баграмяновского батальона". Особое негодование Абрамяна вызвал тот факт, что, не имея каких-либо доказательств, Арвеладзе представляет обвинения не только к армянскому населению Абхазии, но в первую очередь руководству Республики Армения и требует признать и попросить прощение у грузин за так называемый "грузинский геноцид". По оценкам Абрамяна, все вышеперечисленное говорит лишь об одном - Арвеладзе выполнял политический заказ. Не меньшее негодование вызывают и безосновательные обвинения историка **Нодар Натадзе**, который в своих статьях утверждает, что знает нескольких беженцев, которые якобы подвергались насилию со стороны армян. "При этом, в своих работах господин Натадзе не только не представляет четкие документы, доказывающие его "факты", но он даже не пишет конкретно из каких селений его так называемые свидетели", — заявил Абрамян.

© 1999-2006 REGNUM

## ბ-ნო აბრამიანო!

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ნათელია ვინ ეწევა ფაქტების ფალსიფიკაციას, ვინ ცდილობს ნაცარი შეაყაროს თვალებში მკითხველს და ვინ ასრულებს პოლიტიკურ შეკვეთებს.

ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ ჩატარებული ქართველთა ეთნოწმენდა და გენოციდი დოკუმენტურად სახეზეა. ასე რომ ერთი ქართული ხალხური ანდაზის არ იყოს — თქვენი ფიცი კი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს!.. ესეც იცოდეთ, საქართველოში არავითარი ანტისომხური პროპაგანდა არ მიმდინარეობს, მაგრამ სომხეთში ანტიქართულ სიძულვილის ისტერიას კი აღვივებს ზოგიერთი სომეხი მეცნიერი — სამველ კარაპეტიანი, ალ. ქანანიანი, სურენ აივაზიანი და სხვანი. ბ-ნო აბრამიანო! სჯობია ამგვარ ქართველთმოძულეებს მიხედოთ და დაიცვათ მათგან ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ძმობა.

# სირცხვილი, რომელსაც ვერც ერთი გაიანე ვერ ჩამორეცხავს

თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალებააო, ნათქვამია. აქედან, ოქროს წესი: სანამ შენ გამხელენ, უნდა მოასწრო და შენი იმას დააბრალო, ვინც გამხელს.

ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა საქართველოს სომხური ეპარქიის ორგანო „ნორაშენის" 2006 წლის № 5-ში ამ სომხურ-რუსულენოვანი ჟურნალის რედაქტორის გაიანე ბოსტანჯიანის წერილი წავიკითხე. კოლეგა ქალბატონი ქართულ გაზეთებს თავგამოდებით უტევს „სომხური თემების" არასწორად გაშუქებისათვის.

ღმერთი, რჯული, კალამს არ დავასველებდი ამ გამოხმაურების დასაწერად, იმდენად „ჩვეულებრივი", „რიგითი" და „ნაცნობია" იქ ყველაფერი. „სადავო" ამ ორ მეზობელს, ილიას „ქვათა ღაღადიდან" მოყოლებული, გვქონდა, გვაქვს და გვექნება. ამაში არც მოულოდნელია არაფერი და არც დიდად გასაკვირი. მაგრამ სომხურ პრესაში ამ ბოლო ჟამს მომძლავრებული ანტიქართული გამოსვლების ფონზეც კი ძალიან გამიკვირდა „ნორაშენის" რედაქტორის მიერ ისეთი მტკივნეული მოვლენის (უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მოძმე და მეგობარი სომხებისთვის, თუ საუკუნეთა მანძილზე, თანაცხოვრებასა და ერთობლივ ბრძოლას დავდებთ სასწორის პინაზე), როგორიც სისასტიკითა და მძვინვარე ქართველთმოძულეობით გამორჩეული ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის შექმნა იყო აფხაზეთში, მსგავს ღალატსა და არაკაცობას ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც რომ ვერ წარმოვიდგენდით, გამართლება და ამ გამართლების „დასაბუთებაა".

აი, რას წერს დანაშაულებრივი სამხედრო ფორმირების დაფუძნების მიზეზზე ქალბატონი გაიანე: „ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი იმ მამებისა და ძმებისგან შეიქმნა, ვისი ცოლები, დები და დედები აფხაზეთის ომის მონაწილე მაროდიორებმა დახოცეს. ისიც სათქმელია, რომ ზემოხსენებულ ბატალიონში შედიოდნენ აფხაზები, ყაბარდოელები, რუსები, ჩეჩნები, აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობისაგან."

გააცხადა ეს „უტყუარი სიმართლე" რედაქტორმა და ნარნარად გადავიდა შემდეგ თემაზე, იმის ნაცვლად, რომ ამ ფორმირების სისხლიანი ნაკვალევის გამო სირცხვილის ოფლი მოეწურა, როგორც,

მჯერა, ყველა პატიოსანი სომეხი იწურავს და კიდევ ძალიან დიდხანს მოიწურავს.

მაგრამ, მოდით, მორალურ-ეთიკურ წიაღსვლებს შევეშვათ და „ნორაშენის“ რედაქტორის მტკიცებულება ფაქტებით განვიხილოთ. ოღონდ, ამ „მტკიცებულებების“ უსაფუძვლობას ქართული წყაროებით კი არ გავაბათილებ, არამედ ამ შემთხვევაში მართლაც უტყუარითა და მიუკერძოებლით — აფხაზურით.

ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი იმ მამებსა და ძმებისგან შეიქმნა, ვისი ცოლები, დები და დედები აფხაზეთის ომის მონაწილე მაროდიორებმა დახოცესო (ბუნებრივია, ქართველი მაროდიორები იგულისხმება)... მართლა ასე იყო, მართლა წმინდა შურისძიება ამოძრავებდათ ცოლებ-დებ-დედებამოხოცილ მამებსა და ძმებს?

2005 წელს სოხუმში გამოიცა (მეორე გამოცემა) „ფსიქოლოგის, აფხაზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის ფსიქოლოგიური ცენტრის უფროსის, მილიციის პოლკოვნიკ რ. ხოჯაას წიგნი „სომხური ბატალიონი აფხაზეთის ხალხთა სამამულო ომში. 1992–1993 წწ“ (სხვათა შორის, გამოიცა ს. ტ. მინასიანის, ა. ა. მინასიანის, გ. ე. კალაიჯიანის, რ. გრიგორიანისა და ს. კერესელიანის ფინანსური დახმარებით, რისთვისაც მათ ავტორი მადლობას უხდის). როგორც წინათქმაში „აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა გენშტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი, ლენინის ორდენის კავალერი“ ვ. გ. არშბა წერს: „რ. ხოჯაა ყველაზე სრულად აღადგენს ქართველ–აფხაზთა ომის პერიოდში XIX საუკუნის დასასრულიდან აფხაზეთში მცხოვრებ სომეხთა გმირულ გზას“ (ვ. არშბა ტყუილად არ უსვამს ხაზს სომხების აფხაზეთში XIX საუკუნის დასასრულიდან ცხოვრებას, ეტყობა, შიშობს, დოკუმენტები არ ამოალაგონ, რომ ნოეს კიდობანიდან გამოსვლის უმალ დავმკვიდრდით აფხაზეთშიო).

ჰოდა, ეს ხოჯაა (ანუ, ყოფილი ხოჯავა) შავით თეთრზე წერს: „ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის შტაბის უფროსი, თადარიგის პოლკოვნიკი ლიონია. მარქარიანი 1990 წელს, პენსიაში გასვლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში — აფხაზეთში. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ-ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ (!) თავის სოფელში (გაგრის რაიონი) შექმნა თავდაცვისა და წესრიგის დაცვის ჯგუფი. თვით ლ. მარქარიანის სიტყვებით, „სომხური შეიარაღებული სამხედრო ფორმირებების შექმნა არა სომხეთში, არამედ სხვის სამშობლოში,

რომელმაც შეიფარა სომხები, მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნავი მოვლენაა სომეხთათვის. ჩვენ აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები აფხაზეთს ჩვენს სამშობლოდ ვთვლით და ამ ფაქტით ვამაყობთ".

ამრიგად, ეს ლიონია მარქარიანი, რომელმაც პირველი სომხური შეიარაღებული რაზმი ომამდე რამდენიმე თვით ადრე ჩამოაყალიბა, ამ იდეამდე ცოლის, დის ან დედის მკვლელობას არ მიუყვანია. იგი, უბრალოდ, „სხვისი სამშობლოსთვის იბრძოდა, რომელმაც სომხები შეიფარა და რომელიც სომხების სამშობლოდ იქცა".

ხოჯაა გველის ტყავში ძვრება, რათა ომში სომხების ჩაბმის „სამართლიანობა" დაამტკიცოს. ბატალიონის მებრძოლს, ვინმე ამაზასპ აბიანს (გაგრის რაიონის სოფელი სალმა) იმოწმებს: „ადგილობრივი სვანები და მეგრელები არ ჩქარობდნენ ჩვენს გაძარცვას, რადგან ქალაქ გაგრაში ძარცვით იყვნენ დაკავებული. ფიქრობდნენ, რომ თავიანთი სოფლის გაძარცვას ყოველთვის მოასწრებდნენ. ამბობდნენ, რომ მათი „მშობლიური" სომხების გაძარცვას ყოველთვის მოასწრებდნენ".

ანუ, ამაზასპი არა თუ ქართველთა მიერ სომეხი მეზობლების მკვლელობა-გაუპატიურებას, ძარცვის ერთ ფაქტსაც ვერ ასახელებს. ხოლო ის, თუ რას „ფიქრობდნენ" ქართველები სამომავლოდ მათ გაძარცვაზე, ამაზასპთან ბოდიში, მაგრამ მხოლოდ „ლირიკაა" და მეტი არაფერი, ბრალდებად არ გამოდგება.

ახლა სომხური ბატალიონის ორგანიზატორსა და მთელი ომის მანძილზე მის უცვლელ მეთაურს ვალარშაკ კისიანს მოვუსმინოთ: გაგრის რაიონის „ოკუპირებულ სომხურ სოფლებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის პატრიოტთა იატაკქვეშა უჯრედები. ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ გაგრის რაიონის გათავისუფლების შემდეგ, მოკლე დროში შეიქმნა სამხედრო ფორმირებები სომეხი ეროვნების პირთაგან: სოფლებში მეხადირსა და სალმაში — ორი ასეული (РОТА), სოფ. ბარანოვკაში — ოცეული (ВЗВОД), ხაშუპსაში — ოცეული. ბატალიონის დანარჩენი ნაწილი სხვა სოფლებიდან შეივსო". სოფ. ბზიფის მცხოვრებთა კრებაზე გადაწყვეტილა, „დაეცვათ ის მიწა, რომელზეც ცხოვრობდნენ, რომელმაც შეიფარა და ჭერი მისცა მათ წინაპრებს ძნელბედობისას..."

ისევ და ისევ არც ერთი ფაქტი მათი ცოლების, დებისა და დედების შეურაცხყოფისა და მკვლელობისა, რასაც მამაკაცები რისხვითა და შურისძიებით უნდა აევსო.

არა, უბრალოდ, აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა იარალი აიღეს „ოკუპანტი ქართველებისგან მშობლიური აფხაზეთის დასაცავად", რომელმაც მათი „წინაპრები შეიფარა და ჭერი მისცა".

ხოჯაას წიგნში მოყვანილია გაზეთ „ჰამშენის" 1998 წ. №9 (15)-ში დაბეჭდილი ვლადიმერ წვიჟბას სტატია, რომელშიც „უფრო სრულად" არის წარმოჩენილი აფხაზების მხარეს სომეხთა ბრძოლის „იდეური" საფუძველი.

„როცა გაგრაში ქართული დესანტი გადმოსხეს, ვაგარშაკი მიხვდა, რომ ეს სერიოზული რამ იყო და არა რკინიგზის დაცვა. შეიკრიბა ახალგაზრდობა, რათა გადაეწყვიტათ: ებრძოლათ ოკუპანტების წინააღმდეგ? დამორჩილებულიყვნენ და ეცადათ, სანამ ისინი მთელ აფხაზეთს დაიკავებდნენ? რუსეთში გაქცეულიყვნენ? ბოლო ორი კითხვა პირველსავე წუთს უკუაგდეს. დადგა საკითხი, სად ეშოვათ იარაღი, სანადირო თოფებით ხომ ავტომატების წინააღმდეგ ვერ წახვალ". თურმე საიმედო ბიჭებისგან შეიკრა ჯგუფის ღერძი. მათ დაიწყეს იარაღის მოპოვება. „უმამაცესმა" კარენ შიშმანიანმა ერთ-ერთ სახლში დაბინავებული ორი პოლიციელი მოსპო, ამრიგად ორი ავტომატი და ხელყუმბარა იშოვეს. ვაგარშაკის საშუალო ძმამ აშოტმა სამლიტრიანი ბალონით ჭაჭა და „ბალახი" წაიღო გასამასპინძლებლად და იმ სახლში მივიდა, სადაც 6 გვარდიელი ცხოვრობდა. როცა დათვრნენ და მიეძინათ, აშოტმა ისინი გულცივად დახვრიტა და ჯგუფი იარაღის ახალი პარტიით გაამდიდრა."

მოკლედ, ასე აღწერენ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის ჯერ ცალკეული ნაწილების, შემდეგ კი მთელი შენაერთის შექმნას აფხაზი ავტორი და ბატალიონის ვეტერანები. როგორც ვხედავთ, აქ ბატალიონის შექმნის მიზეზები უფრო სხვაგვარად არის წარმოჩენილი, ვიდრე ქალბატონი გაიანე გვარწმუნებს. ეს მიზეზი ჩვეულებრივი ღალატი, მოღალატური ბუნების წარმოჩენა იყო, რასაც იარაღის „შოვნის" არაკაცური „მეთოდებიც" ადასტურებს — ვითომ გამასპინძლება და მძინარეთა დახოცვა და ა.შ. დაბოლოს, ალოგიკურობითა და უაზრობით პირდაპირ გამაოგნებელი დასკვნა: „ამრიგად ჩვენ, სომხებს, ნეიტრალიტეტის დაცვის არავითარი შანსი არ დაგვიტოვეს".

რაც შეეხება იმას, რომ ამ „ბატალიონში შედიოდნენ აფხაზები, ყაბარდოელები, რუსები, ჩეჩნები აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობიდან", მინდა პატივცემულ გ. ბოსტანჯიანს დავეთანხმო,

რომ ამ შენაერთში გარკვეული რაოდენობით მართლაც შედიოდნენ სხვა ერების წარმომადგენელი ბოევიკები, ოღონდ არა „აფხაზეთის მშვიდობიანი მოსახლეობიდან", არამედ მთელი ჩრდილო კავკასიიდან და მოკრებილ კაცისმკვლელთაგან. ამით ერთგვარად მიგვანიშნებს, მხოლოდ ბაგრამიანელები კი არ არიან ამ ბატალიონის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებში დამნაშავენი, არამედ აფხაზებიც, ყაბარდოელებიც, რუსებიც და ჩეჩნებიცო. თუმცა, ის „ავიწყდება", რომ იმ გარეშეებში, გარედან შემატებულებში, უმრავლესობა არმავირელი, კრასნოდარელი და სხვა მხარეთა სომხობა იყო.

მიდით გმირთა მოედანზე და წაიკითხეთ ომში დაღუპულთა სიაში ქართველთა შემდეგ სომხებზე მეტი რომელი ეროვნების წარმომადგენლები არიანო. წაკითხული გვაქვს, გენაცვალე, ვიცით, რომ იმ მარმარილოს ფილებზე ბევრი გმირულად დაცემული სომხის გვარია ამოკვეთილი. ვიცით ეს და პატივსაც მივაგებთ, გვეამაყება. და, იცით კიდევ რა, ძვირფასო გაიანე? — წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ ასე არ იყოს, იმდენი საერთო სიხარული და მწუხარება გვაქვს გადატანილი ჩვენ და სომხებს, იმდენი ზღვა სისხლი დაგვიღვრია ერთად და ერთმანეთისთვის.

და ახლა ამიტომ გვაოცებს და გვეზიზღება აფხაზეთში მცხოვრები სომხების ღალატი და სივერაგე, მათი ბინძური უმადურობა. თურმე საუკუნის წინათ შემოხიზნული ლტოლვილები საქართველოს კი არა, მისი ერთი, დღეს განმდგარი ნაწილის — აფხაზეთის მოქალაქენი ყოფილან, საქართველო კი არა, მისი მხოლოდ ერთი, დღეს განმდგარი ნაწილი — აფხაზეთია მათი სამშობლო. რა თქმა უნდა, ასეთი გამყიდველი ადამიანები ხვალ თავიანთ „ძმა" აფხაზებსაც ისეთივე ხალისით და უკანმოუხედავად გაყიდიან, როგორც ქართველები და ქართველთა მხარეს მებრძოლი სომხები გაყიდეს ამ ომში.

პატივცემულო გაიანე, ნაწყენი დარჩენილხართ, ერთ-ერთ ქართულ გაზეთში სომხების გენოციდის დასაწყისი კურიოზულად არის წარმოჩენილიო. დიახ, საწყენი და შეურაცხმყოფელია, მაგრამ, მაშინ, რატომ აძლევთ თავს უფლებას თქვენი სერიოზული ჟურნალის ფურცლებზე მსგავსადვე წარმოაჩინოთ მკვლელთა და მძარცველთა ბატალიონის დაფუძნების მოღალატური საფუძველი, „გააკეთილშობილოთ" ის?

თქვენ რომ ის დოკუმენტები გქონდეთ წაკითხული, ყოვლად აუხსნელი. გაბოროტებით ჩადენილ მკვლელობათა, გაუპატიურებათა, ძარცვისა და ცემა-ტყეპის შესახებ, რაც ბაგრამიანელებმა ჩაიდინეს ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, დარწმუნებული ვარ, შეძრწუნდებით. იმას როდი ვამბობ, რომ ქართველ სამხედროებს ან გაურკვეველი წარმოშობის სამხედრო დაჯგუფებათა წევრებს დანაშაული არ ჩაუდენიათ. რა თქმა უნდა, ჩაიდინეს და ამისათვის ადამიანთა სასამართლოს თუ აარიდეს თავი, ღვთის სამსჯავროს მაინც ვერ გაექცევიან. უზენაესი ყველას განსჯის და დამსახურებისამებრ მოჰკითხავს.

ისე რომ, ძვირფასო რედაქტორო, ჩვენ ჩვენს ცუდს ვხედავთ და თქვენც გთხოვთ, ნუ აჰყვებით ზოგიერთი თქვენი თანამემამულის პირდაპირ საანეკდოტო მცდელობებს, ყველანაირად დაამცრონ ქართველობა და, შესაბამისად, განადიდონ საკუთარი მოდგმის უღირსი წარმომადგენლები.

სომეხ–ქართველთა დიდ ისტორიას ეს არ ეკადრება!

სხვაფრივ კი დავშთები თქვენი პატივისმცემელი და ა.შ. და ა.შ.

ალეკო ასლანიშვილი
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“,
№1 (5602), 5 იანვარი, 2007 წ.

# სარჩევი

შესავალი ........ 3
ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის
სისხლიან ნაკვალევზე ........ 11
ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის წევრების
არასრული სია ........ 72
დამატებითი მასალები ........ 77
ივანე ჯავახიშვილის არქივიდან ........ 78
ღია წერილი სომხეთის რესპუბლიკის
მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ........ 89
სრულიად სომეხთა კათალიკოსს გარეგინ მეორეს,
სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს,
ბატონ რობერტ ქოჩარიანს ........ 96
ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის დანაშაულებანი –
დროა, ბოდიში მოიხადონ! ........ 97
ბაგრამიანის მიზნებიდან ბაგრამიანის ბატალიონამდე ........ 101
როცა ჩასაფრება ცხოვრების მიზანია ........ 107
Документ: http://www.regnum.ru/news/760495.html ........ 115
სირცხვილი, რომელსაც ვერც ერთი გაიანე
ვერ ჩამორეცხავს ........ 117

ბონდო არველაძე
✝ თეიმურაზ მიბჩუანი

# ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში

თბილისი
2007

გამომცემლობის რედაქტორები: მანანა უკლება
ნინო გიორგაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამარ ბუჯიაშვილის

გამომცემლობა „ცოდნა“
თბილისი, რუსთაველის გამზ. 42
ტელ. 93 29 96
E-mail: ph_tsodna@yahoo.com